ქართველობის გადასარჩენად

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ილორი

www.ilori.ge

№118 (179) 10-17 მაისი 2011 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

დიმიტრი მედვედევი ქართველ ხალხს ფაშიზმზე გამარჯვების დღეს ულოცავს და კეთილდღეობას უსურვებს!

რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა გამარჯვების დღესთან დაკავშირებით საქართველოს მოქალაქეებს სადღესასწაულო მიმართვა გაუგზავნა, რომელშიც ვეტერანებსა და ქართველ ხალხს 9 მაისი მიულოცა და აყვავება და კეთილდღეობა უსურვა.

„გულითადად გილოცავთ მნიშვნელოვან დღესასწაულს – გამარჯვების დღეს. გაზაფხულის ამ დღეებში საქართველოსა და რუსეთის ხალხები კვლავ იხსენებენ ჩვენს საერთო მდიდარ ისტორიას და პატივს მიაგებენ გმირ განმათავისუფლებლებს, რომლებიც მხარდამხარ იბრძოდნენ ფაშისტი დამპყრობლების წინააღმდეგ და შეძლეს, დაეცვათ მამულის თავისუფლება და დამოუკიდებლობა“,– ნათქვამია მიმართვაში.

„გამარჯვება საშინელ ფასად დაგვიჯდა – ყოველ ოჯახში დანაკარგით გამოწვეული მწუხარება იგრძნობოდა. ჩვენი საერთო ვალია, გავუფრთხილდეთ გამარჯვებულთა გმირობის წმინდა ხსოვნას, ჩავუნერგოთ ახალგაზრდა თაობას პატრიოტიზმისა და საერთო გამარჯვებით გამოწვეული სიამაყის გრძნობა“,– აღნიშნა მედვედევმა მიმართვაში.

„რუსეთი ყოველთვის იყო და რჩება ქართველ ხალხთან კეთილმეზობლობისა და მეგობრობის საუკუნეებით განმტკიცებული ტრადიციების ერთგული. ჩვენ გვსურს, საქართველო ვიხილოთ მეზობლებთან მშვიდობიანად მცხოვრებ აყვავებულ და თავისუფალ სახელმწიფოდ“,– ნათქვამია იქვე.

„ამ დიად დღესასწაულზე მინდა, სამამულო ომის ქართველ ვეტერანებს გადმოგცეთ კეთილი სურვილები, ჯანმრთელობა და დღეგრძელობა, საქართველოს ხალხებს კი კეთილდღეობა და სტაბილურობა ვუსურვო“,– აღნიშნულია მედვედევის მიმართვაში საქართველოს მოქალაქეებისადმი.

ვინ მოყვარეა, ვინ არა, ქვეყანამ დაინახოსა!..

დიდმა ვაჟამ ეს სიტყვები მაშინ ამოიკვნესა, როცა საქართველოში ყველაფერი აირ-დაირია და მტერ-მოყვარის გარჩევა შეუძლებელი გახდა.

ეს არ გახლდათ დიდი პოეტის შეტირება მხოლოდ იმ დროისათვის არსებულ პოლიტიკურ აბსურდზე, ეს გახლდათ იმ ჩვენი ისტორიული სიბეცის გაკილვაც, რომელმაც ბევრი რამ დაგვიკარგა! სწორედ მტერ-მოყვარის გაურჩევლობა გახდა იმის მიზეზი, რომ ერთ დროს ზღვიდან ზღვამდე გადაჭიმული საქართველო შაგრენის ტყავივით შემოგვადნა ხელში!

საქმის სასიკეთოდ შემოსაბრუნებლად კი აუცილებელია, რომ რუსეთთან ნორმალური კეთილმეზობლური ურთიერთობები აღდგეს!

ამას კი, ხალხის სურვილის გარდა, ქვეყნის ხელისუფლების ნებაც სჭირდება!

ამ ნებას კი ჯერჯერობით ვერ ვხედავთ და ალბათ ვერც დავინახავთ, ვიდრე ქვეყნის მართვის საჭეს სიხარბის მონებად ქცეული არაქართველები უსხედან.

მართლაც, ვერ გაგვიგია, რა ხდება!

თენგიზ კიტოვანმა ომი წამოიწყო აფხაზეთში, შემდეგ ყოველ თავის წარუმატებლობას იმით ამართლებდა, რომ რუსებს ვეომებიო, რომ გაუჭირდა, მაშინვე რუსეთს მიაშურა და დღესაც იქ ცხოვრობს მშვიდად და ბედნიერად!

შევარდნაძე მთელი თავისი “მეორედმოსვლის” შემდეგ დღემუდამ გვიმტკიცებდა – რუსეთი ჩვენი დაუძინებელი მტერიაო, მისი შვილისშვილი სოფიკო კი რუსეთის ერთ-ერთი ტელეარხის დირექტორია!

სააკაშვილი გვარწმუნებს, რომ ვიდრე რუსეთი არ დაიშლება, საქართველოს საშველი არ იქნებაო. თავად კი, თუ საქართველოში თუ რაიმე სტრატეგიული ობიექტი იყო, დაწყებული “ენგურჰესით” თუ სატელეკომუნიკაციო ქსელ “ბილაინით”, და დამთავრებული ბენზინის პატარა ჩამსხმელი პუნქტებით, ყველაფერი რუსებს მიჰყიდა!

ეჭვი არ მეპარება, რომ გაუჭირდეს, სააკაშვილიც რუსეთს შეაფარებს თავს!

როგორ დავიჯერო ამის შემდეგ, რომ ისინი მტერს ხედავენ რუსეთის სახით?

წარმოიდგინეთ, ახლა, მეორე მსოფლიოს ომის წაგების რეალობის წინაშე მდგარი ადოლფ ჰიტლერი რომ საბჭოთა კავშირში გამოქცეულიყო თავის გადასარჩენად.

აი, როგორი მტერია მათთვის რუსეთი!

ამის შემდეგ კი, მე მარწმუნებენ, რომ რუსეთი შენი მტერიაო, და დილით, რუს მეზობელს რომ გულიანად მივესალმო, შეიძლება “კრემლის აგენტად” შემრაცხონ!

არაფერს ვამბობ იმაზე, რომ რესტორნებში რუსული სიმღერის შესრულებისათვის 500-ლარიანი ჯარიმაა დაწესებული.

მართლაც სასაცილოა, სატირელი რომ არ იყოს!

ედუარდ შევარდნაძე რომ შიდასახელმწიფოებრივი სიტუაციების ხელოვნურად დაძაბვის დიდოსტატი გახლდათ, ეს მრავალგზის დადასტურდა. ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის ოთხმოციან წლებში, როცა იგი კრემლიდან იძლეოდა განკარგულებებს, იმდენი მოახერხა, რომ საქართველოს რეგიონებში დაძაბულობის მუხტის შეტანით ოსეთი და აფხაზეთი ააჯანყა და ძმები დაუპირისპირა ერთმანეთს, რასაც ასიათასობით ქართველის დევნა და მშობლიური კუთხიდან გამოძევება მოჰყვა!

ამ კურსს შესანიშნავად აგრძელებს სააკაშვილი, რომელმაც დღემდე შეინარჩუნა დაძაბულობის მუხტი, შემდეგ კი იმდენი “მოახერხა”, რომ უდაკარგულს ახალი დანაკარგი მიუმატა და ქართული ტერიტორიების საქართველოსაგან მოწყვეტა იურიდიულადაც დაგვიკანონა. ყველაზე დამაფიქრებელი კი ისაა, რომ ამის შემდეგ დაძაბულობის მუხტი სულაც არ შენელებულა და იგი კვლავ მძლავრია, რაც იმის ვარაუდის საფუძველს გვაძლევს, რომ რუსეთთან მორიგი უაზრო შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად საქართველო კიდევ დაკარგავს რომელიმე ტერიტორიას. ჩვენ, ქართველებს, მიხეილ სააკაშვილისა და სხვა არაქართველების წყალობით რუსებთან დიალოგის ყველა გზა მოჭრილი გვაქვს, თავად კი გამუდმებით ნერგავენ აზრს იმის თაობაზე, რომ დღეს საქართველოზე დიდი და საშიში მტერი რუსეთს არ ჰყავს!

ასე გვიქციეს მოყვარე მტრად!

სამწუხაროა, რომ ზოგ რუსს ეს სჯერა!

ამ ორი ქვეყნის ურთიერთობა, დღეს, ჩვენდა საუბედუროდ, სწორედ ამგვარ გაიძვერულ მითებზეა აგებული. გულუბრყვილო რუსის დაჯერება კი სრულიად არ გახლავთ ძნელი საქმე, მაგრამ რუსს რას ვემართლებით, როცა დღეს ჩვენთანაც ბევრს სჯერა, რომ ჩვენი დაუძინებელი მტერი სწორედ რუსეთია!

დამერწმუნეთ, ესეც მტრების მიერ შემოგდებული მითია!

ეტყობა რუსების გარკვეულ ნაწილსაც არა აქვს წაკითხული შესანიშნავი რუსი პუბლიცისტის ვასილ ველიჩკოს “კავკასია”, სადაც იგი თავის თანამემამულეებს აფრთხილებს, რომ კავკასიაში რუსეთის ერთადერთ საიმედო საყრდენს გულღია და უკეთილშობილესი ქართველები წარმოადგენენ და სხვას ნუ ენდობითო.

ჩვენ არც იმის შიში უნდა გვქონდეს, რომ თუ რუსებთან კეთილმეზობლურ ურთიერთობას აღვადგენთ, ისინი ზედამხედველებად შემოვლენ ჩვენთან და სახლის პატრონების პოზაში ჩადგებიან. ამას წინ ურთულესი დიალოგი წაუძღვება, რადგან რუსებთან ჩვენ უამრავი რამ გვაქვს გასარკვევი, პირველ რიგში კი ის, თუ, ზოგიერთი არაკეთილსინდისიერი პოლიტიკოსის ნებით, რატომ გადაიქცა საქართველო სისხლიანი პოლიტიკური გარჩევების პოლიგონად!

უპირველესად დიდ მადლობას გადავუხდიდი რუსებს იმისათვის, რომ მიუხედავად ჩვენს ქვეყნებს შორის დღეს არსებული დაძაბულობისა, მილიონი ქართველი რუსეთში შოულობს ლუკმა-პურს და იქიდან არჩენს ოჯახებს, თორემ, ეს სიკეთე რომ არ გვქონდეს, მაშინ გენახათ თქვენ საქართველოში ხალხის შიმშილით სიკვდილი (მომრავლებულ თვითმკვლელობებზე რომ არაფერი ვთქვათ)! მაგრამ, აქვე ავუხსნიდი, რომ საქართველოს წინააღმდეგ მიღებული ეკონომიკური ემბარგო აზარალებს მხოლოდ ქართველ ხალხს და არა სააკაშვილს, რომლის ოჯახს “ოკუპირებული” აქვს ყველა მომგებიანი ბიზნესი!

შიმშილისაგან მისუსტებული ხალხი კი ვერასოდეს მოიკრეფს ძალას საიმისოდ, რომ საძულველი ხელისუფლება გარეკოს ქვეყნიდან და დაამკვიდროს არა ყალბი, არამედ რეალური დემოკრატია!

შემდეგ კი უნდა განვუმარტოთ მათ, რომ საქართველოს დასუსტება არ შედის რუსეთის ინტერესებში, რადგან აქტიური და ძლიერი საქართველოს გარეშე კავკასიაში ნამდვილად გაჭირდება მშვიდობის დამყარება!

ასევე უნდა ავუხსნათ რუსებს, რომ აფხაზები და ოსები ჩვენი ძმები არიან, ხოლო 2008 წლის უაზრო ომი წამოიწყო ქართველმა ხალხმა, არამედ საქართველოს მოძულე ხელისუფლებამ, რამაც დიდად აზარალა თვით ქართველი ერი!

ისტორიულად აფხაზები, ოსები და ქართველები ერთად ვცხოვრობდით, ერთად ვებრძოდით მტერს და რუსეთისა და ევროპის სამმო საფლავებში ერთად ასვენია ჩვენი მამებისა და პაპების ძვლები! მხოლოდ ამ საფიცარი საფლავების შეურაცხყოფაა ის, რომ დღეს ჩვენ მტრული თვალით ვუმზერთ ერთმანეთს!

და რაც მთავარია, რუსებთან დიალოგი უნდა ვაწარმოოთ არა ისტერიული წივილ-კივილით და ამერიკელების იმედით გულზე მოსულებმა (რაც ვერანაირ გავლენას ვერ ახდენდა და ვერც მოახდენს რუსეთზე), არამედ მშვიდად, იმ პოლიტიკური ძალის მეშვეობით, ვისაც ექნება რუსი და ქართველი ხალხის ლეგიტიმაცია და, რაც მთავარია, შესაბამისი ავტორიტეტი რუსეთის პოლიტიკურ წრეებში.

ასეთი ძალა კი საქართველოში არსებობს და სწორედ მასზე უნდა აიღოს გეზი ქართული საზოგადოების იმ ნაწილმა, ვისთვისაც მართლაც სანუკვარია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა!

სხვაგვარად, დავრჩებით ასე დალეწილები და ხერხემალდამსხვრეულები, რაც ჩვენი სამხრეთელი “მეგობარი-მეზობლის” მრავალსაუკუნოვანი ოცნებაა!

ვინც ასე არ ფიქრობს, ვთხოვთ არგუმენტირებულად გამოგვეხმაურონ!

ასევე, ვთხოვთ გამოგვეხმაურონ ისინიც, ვინც ჩვენს ამ თვალსაზრისს იზიარებს!

გაზეთ “ილორის” რედაქცია

სერგეი კრემლიოვი
ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი
4 თარგმანი როლანდ ჯალაღანიასი

გური ოტრობაია 11
მეტრომეტი

6 სამეგრელო დაგით დადიანის დროს

6 უმეცართა ხმა სიბნელიდან...

8 გია ყრუაშვილი: რკინიგზის ნგრევა სწორედ ონოფრიშვილის დროს დაიწყო, ეზუგბაიას დროს კი მთლად განადგურდა

მოხუცი ფხოველი 5
ვინ ვინ არის?
პატივცემულო ილორელებო 5

3 როგორ მოვიგოთ არჩევნები

იერი
აფხაზეთის ღირსეული შვილები

სახელგანთქმული აფხაზი პედაგოგ-განმანათლებელი ანდრია მაქსიმეს ძე ჭოჭუა

ამას წინათ ჩვენმა აფხაზმა მეგობრებმა აფხაზეთიდან მოგვაწოდეს არველოდი კუპრავას სქელტანიანი წიგნი "ხალხი: დრო და ცხოვრება", რომელშიც შესულია ბიოგრაფიული ნარკვევები და ისტორიული პორტრეტები იმ აფხაზი მოღვაწეებისა, რომელთაც ნათელი კვალი დასტოვეს აფხაზეთისა და საქართველოს ისტორიაში. რუბრიკით "აფხაზეთის ღირსეული შვილები", ვაგრძელებთ წიგნში დასტამბული ბიოგრაფიების გამოქვეყნებას.

ანდრია ჭოჭუამ ჯერ კიდევ ცარიზმის მძიმე წლებში მოჰკიდა ენერგიულად ხელი აფხაზი ხალხის ზოგადი განათლების საქმეს. ეს საკმაოდ სახიფათო საქმე გახლდათ, რადგან ყოველი არასანქცირებული ქმედება მეფის რუსეთს იმპერიის ინტერესების შელახვად მიაჩნდა. ანდრიას კი ბრმად სწამდა ბუნებით შემოქმედი აფხაზი ხალხის განათლებისადმი სწრაფვისა, რომელსაც ხალხური ფოლკლორისა თუ მატერიალური კულტურის თვალსაჩინო ძეგლები ჰქონდა შექმნილი საუკუნეთა განმავლობაში. შესანიშნავი დემოკრატიული ტრადიციების შენარჩუნება კი მასებში განათლების მუხტის შეტანის გარეშე გაძნელდებოდა. სწორედ ამიტომ, ანდრია ჭოჭუას არაფერი დაუშურებია დასახული მიზნების განსახორციელებლად, რადგან საჭირო იყო მრავალი თაობის მიერ შექმნილი საუკეთესო კულტურული და ყოფითი ტრადიციების შენარჩუნება. ამ პატრიოტული გრძნობებით აღსავსე ანდრია აფხაზი ხალხის მოწინავე ინტელიგენციის მცირე ჯგუფთან ერთად შეუდგა ხალხის განათლების საქმეს, ქმნიდა სოფლებში დაწყებით და საშუალო სკოლებს, ხელს უწყობდა სასწავლო დაწესებულებებში აფხაზური ენის სწავლების შემდგომი წინსვლის საქმეს. მისი თაოსნობით გამოდიოდა ჟურნალ-გაზეთები აფხაზურ ენაზე და საძირკველს უყრიდა სხვა პროგრესულ წამოწყებებს. ანდრია ჭოჭუას არ აკრთობდა სიძნელეები და არც იმ მუქარების ეშინოდა, რომელსაც მას ხშირად უთვლიდნენ შავრაზმელური ძალები.

აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე ანდრია ჭოჭუა აქტიურად ჩაერთო კულტურულ და საგანმათლებლო საქმიანობაში, რომლის ცხოვრებისეული კრედო გახლდათ მშობლიური ხალხისადმი სამსახური, მასებში განათლების შეტანა და იმ მდიდარი ტრადიციების შენახვა-შენარჩუნება, რომლის სიმდიდრითაც ყოველთვის გამოირჩეოდნენ აფხაზები. სწორედ ამ სფეროში გამოვლინდა ანდრია ჭოჭუას ორგანიზატორული უნარ-თვისებები, ენერგიული და მაღალპროფესიული საქმიანობა აფხაზეთის განათლების სფეროში.

1921 წლიდან იგი თითქმის 10 წლის განმავლობაში მუშაობდა აფხაზეთის განათლების სახალხო კომისრის მოადგილედ, რა დროსაც მთლიანად გამოვლინდა სახალხო განათლების სფეროში მისი უზარმაზარი შესაძლებლობები. **ს.ა. ჭანბასთან** ერთად მან საფუძველი ჩაუყარა აფხაზეთში შრომითი სწავლების საბჭოური სისტემის დამკვიდრებას. რა წინააღმდეგობებს არ წააწყდა იგი ამ ფრონტზე, როგორი რთული საკითხების გადაწყვეტა არ უწევდა მას! მისი თავკაცობით აფხაზეთში ჩამოყალიბდა აფხაზური, ქართული, სომხური, ბერძნული და სხვა ნაციონალური სკოლები, აშენდა შენობები ახალი სკოლებისათვის, მომარაგდა სკოლები ინვენტარითა და მეთოდური ლიტერატურით, გადამზადდა ძველი და მომზადდა ახალი კადრები, აფხაზური სკოლებისათვის შეიქმნა ახალი სახელმძღვანელო ლიტერატურა, დაიხვეწა აფხაზური დამწერლობა, ამაღლდა მასების განათლების ზოგადი დონე – ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია იმ კონკრეტული სასიკეთო საქმეებისა, რითაც სულგანათლებული ანდრია ჭოჭუა აშკარად გამორჩეული გახლდათ მისი თანამედროვეებისაგან. გადაუდებელი პრაქტიკული საქმეების განხორციელებისას ანდრია პრინციპულ სახელმწიფოებრივ თვისებებს ავლენდა. სწორედ ამის წყალობით აღწევდა იგი გამარჯვებას იმ ურთულეს სფეროებში, რომელთან შეხებას გამოცდილი სპეციალისტებიც კი ვერ ბედავდნენ.

ანდრია ჭოჭუას შემოქმედებაში დიდი ადგილი ეკავა სათანადო კადრების მომზადების საქმნეს აფხაზეთის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებისათვის. სწორედ მისი ინიციატივითა და უშუალო ჩარევით 20-30-იან წლებში აფხაზეთში შეიქმნა 15 სხვადასხვა ტიპის ტექნიკუმი და სპეციალიზირებული სასწავლებელი. არქივებში ინახება უნიკალური დოკუმენტები, რომლებიც მოწმობენ ანდრია ჭოჭუას მიერ ჩატარებულ ზღვა სამუშაოზე კადრების მომზადების კუთხით.

აფხაზეთის განათლების სახალხო კომისარიატში მუშაობისას ანდრია ჭოჭუა პირადად არჩევდა სახელმწიფო სტიპენდიანტებს თბილისის, მოსკოვისა, ლენინგრადისა და სხვა ქალაქების უმაღლეს სასწავლებლებში გასაგზავნად. აფხაზეთში უმაღლესი სასწავლებლების გახსნამდე ამ გზით მომზადდა ასობით სპეციალისტი რესპუბლიკის ეკონომიკის, კულტურისა და განათლების სფეროში სამოღვაწეოდ. სწორედ მათი რიგებიდან აღიზარდნენ ისეთი თვალსაჩინო სპეციალისტები და მეცნიერები, როგორებიც იყვნენ აკადემიკოსები სიმონ ჯანაშია, ილია ვეკუა, კომპოზიტორ-დირიჟორი ოდისეი დიმიტრიადი და სხვები.

სწორედ ანდრია ჭოჭუას სახელს უკავშირდება აფხაზეთში ისეთი უმაღლესი სასწავლებლების ჩამოყალიბება, როგორებიც იყვნენ სუბტროპიკული კულტურების საკავშირო ინსტიტუტი და სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტი, რომლის პირველი რექტორიც თავად გახლდათ. ორგანიზაციული საქმიანობის მდიდარმა გამოცდილებამ საშუალება მისცა ანდრიას, რომ მოკლე ხანში დაეკომპლექტებინა ეს უმაღლესი სასწავლებლები სათანადო პროფესორებითა და გამოცდილი პედაგოგებით, რათა ინსტიტუტები მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებისა და წვრთნის სამჭედლოდ ექცია.

ათასობით ადამიანმა გაიარა ეს წვრთნა და უანგაროდ ეზიარენ კვალიფიკაციას სწორედ სულმნათ ანდრია ჭოჭუას ხელდასხმის წყალობით.

განსაკუთრებულია ანდრია ჭოჭუას როლი აფხაზმცოდნეობის, როგორც მეცნიერების ახალი დარგის შექმნისა და განვითარების საქმეში. იგი გახლდათ აფხაზეთის ენისა და ლიტერატურის აკადემიის აფხაზმცოდნეობის სამეცნიერო საზოგადოების პირველი თავკაცი, რომელიც 1925 წელს სოხუმში ჩამოყალიბდა აფხაზეთის განათლების სახალხო კომისარიატის შუამდგომლობით. მიუხედავად იმისა, რომ ეს აკადემია საზოგადოებრივ საწყისებზე საქმიანობდა, მან მაინც მოახერხა რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაშრომის წიგნად გამოცემა.

აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში არ იყვნენ აფხაზმცოდნე მეცნიერები, მაგრამ ეს ტვირთი თავის თავზე აიღო მოწინავე აფხაზმა ინტელიგენციამ, რომელსაც სათავეში ანდრია ჭოჭუა ჩაუდგა. ამ სფეროსადმი აფხაზი ხალხის ინტერესის გათვალისწინებით იქმნებოდა ახალი აქტუალური ნაშრომები, რომელთა შემუშავებაში აქტიურად მონაწილეობდნენ დიდი მეცნიერები ივანე ჯავახიშვილი, ნიკო მარი, დიმიტრი გულია და სხვები.

სწორედ ანდრია ჭოჭუას ინიციატივით ჩამოყალიბდა აფხაზმცოდნეობის პირველი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. ახლა, როცა არქივებში ეცნობი ამ ინსტიტუტის წესდებას და სხვა სააქციდენციო დოკუმენტებს, გაოცებას იწვევს ჭოჭუას შორსმჭვრეტელობა და მომავლის შეუმცდარი ხედვა. სწორედ მისი ინიციატივით ჩამოყალიბდა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის თბილისის ფილიალში აფხაზური ასპირანტურა, რომელმაც დიდი როლი ითამაშა აფხაზური სამეცნიერო სკოლის ჩამოყალიბებაში.

მრავალმხრივი და საინტერესო გახლდათ ანდრია ჭოჭუას სახელმწიფო, საზოგადოებრივ-პედაგოგიური და ლიტერატურული მოღვაწეობა, რომელიც აფხაზური კულტურის განვითარების ქვაკუთხედს წარმოადგენდა. სწორედ მისი თაოსნობით ყალიბდებოდა რესპუბლიკის კულტურული პოტენციალი მაშინ, როცა საბჭოთა კულტურა პირველ გაუბედავ ნაბიჯებს დგამდა.

ანდრია ჭოჭუა გარდაიცვალა 1965 წლის 17 აპრილს. მადლიერმა აფხაზმა საზოგადოებამ ღირსეული პატივი მიაგო ამ დიდი ადამიანის ხსოვნას – სოხუმის ცენტრს ამშვენებს მისი ძეგლი, აფხაზეთში მის სახელს ატარებენ სკოლები და სოხუმის ერთ-ერთი ქუჩა, 2004 წლის 17 აგვისტოს კი აფხაზეთში ფართოდ აღინიშნა ანდრია ჭოჭუას დაბადებიდან 125 წლისთავი. უამრავი ნაშრომია შექმნილი ამ დიდ პატრიოტსა და მამულიშვილზე, რაც იმის უტყუარი მტკიცებულებაა, რომ ანდრია ჭოჭუას სახელი სამუდამოდ დარჩება სალოცავ ხატად თითოეული აფხაზის გულში.

ოლეგ ტიმჩენკო: საქართველოსა და რუსეთის ბედი კიდევ გადაიკვეთება!

(საუბარი მეორე)

სამხატვრო აკადემიის პროფესორი ოლეგ ტიმჩენკო ცნობილი და მოთხოვნადი მხატვარია, იტაცებს ექსპერიმენტები. რომანტიკოსია, უყვარს მუსიკა და თავის ნაწარმოებებში მის ხორცშესხმასაც მშვენივრად ახერხებს. თუმცა ყურადსაღები თემა, რომელზეც დღეს საინფორმაციო-ანალიტიკურ სააგენტო „საქინფორმთან" საუბრობს, მხატვრის მორიგი ხმამაღალი პროექტი კი არა, თავად გახლავთ: მისი წარსული და აწმყო, გვარიშვილობა, ცხოვრებისეული ფილოსოფია და, რა თქმა უნდა, პოლიტიკური მრწამსი – დღეს ხომ პოლიტიკაზე მარტოოდენ ზარმაცები არ ლაპარაკობენ...

ალი ბაბა და კომპანია

– ჩვენი პირველი საუბრისას ბრძანეთ, რომ არაერთხელ შეგეძლოთ საზღვარგარეთ დარჩენა. რამ შეგიშალათ ხელი?

– ნამდვილად ასეა. ძნელი იყო ბოლო ნაბიჯის გადადგმა; სამშობლოს, მეგობრების დატოვება და, თუნდაც, ჩვევების შეცვლა აღარ მინდოდა. თუმცა ყველაზე მთავარი მაინც ის იყო, რომ მთელი ჩემი ცხოვრების საქმეს აქ ვერ დავტოვებდი.

– მხედველობაში გაქვთ იმ წლებში საბჭოთა კავშირში გახმაურებული „მეათე სართულზე"?

– ჯგუფი **„მეათე სართულზე"** მეგობრებთან ერთად შევქმენი. ხუთნი ვმუშაობდით აკადემიის სახურავზე, მიტოვებულ სახელოსნოში. სწორედ ეს შენობა მოუვიდა თვალში მამუკა ცეცხლაძეს სადიპლომო ნაშრომზე მუშაობისას. ჩვენ კი – ნინო ცეცხლაძე, მამუკა ჯაფარიძე, კარლო კაჭარავა და მე, როგორც შეგვეძლო, მხარში ვედექით ჩვენს კურსდამთავრებულს. ჯგუფის დაარსების იდეა სპონტანურად იშვა. მოვაგროვეთ მუყაო, შევიძინეთ საღებავები, მოვიმარაგეთ ყველაფერი და ორი თვე სახურავზე ისე დავდიოდით, როგორც სამსახურში. შემდეგ მარჯანიშვილის თეატრში გადავბარგდით, სადაც მამუკა ცეცხლაძემ მხატვრად დაიწყო მუშაობა. **„მეათე სართულზე"** აწყობდა გამოფენებს – აქაც და უცხოეთშიც, სხვადასხვა აქციას. ჩვენზე ალაპარაკდნენ. დღემდე ახლო მეგობრები ვართ, თუმცა, სამწუხაროდ, იშვიათად ვხვდებით.

– ახლახან თქვენი ნამუშევრების გამოფენა გაიმართა ბაქოში. ამბობენ, სურათები მავანმა ბიზნესმენმა შეიძინა ჯერ კიდევ გამოფენის დასრულებამდე...

– აღმოსავლურ სტილში შესრულებული ექსპოზიცია საგამოფენო დარბაზში – **„Kichik QalArt"** – გაიხსნა. **„ალი ბაბა"**-ზე მუშაობა დიდმა ბიზნესმენმა და ხელოვნების სფეროს მცოდნემ, ბატონმა ოლივიემ შემომთავაზა. ერთმანეთი გალერეა **„გალაში"** მოწყობილ ჩემს წინა ექსპოზიციაზე – **„სფინქსი – საგანძურის მცველი"** – გავიცანით. გურამ წიბახაშვილმა და კოკა რამიშვილმა წარგვიდგინეს ერთმანეთი. თითქმის პირველსავე დღეს ოლივიემ ყველა გამოფენილი სურათის შეძენის სურვილი გამოთქვა. გალერეის მფლობელმა გამოფენის დაცალკევება არ მოისურვა და, უნდა ითქვას, რომ ფასიც შეუფერებელი აღმოჩნდა. ბითუმად გამოდიოდა! **„ალი ბაბასთან"** დაკავშირებით კი ყველაფერი რიგიანად მოგვარდა – ოლივიემ მთელი სერია წინდაწინ იყიდა, ისე, რომ ნამუშევრები არც უნახავს. აი ასეთ ავანტიურას ჰქონდა ადგილი. ყველაფრის მოსაგვარებლად ერთი თვე მომცეს – სხვაგვარად გამოფენა გალერეის მჭიდრო გრაფიკიდან ამოვარდებოდა. საშინელი ცაიტნოტი მქონდა, დღედაღამ ვმუშაობდი. ყველაზე პატარა ტილო 1 მ 70 სმ იყო 2 მ-ზე!

– რატომ ასეთი ზომები?

– გალერეა ხომ სამსართულიანია – 300 კვადრატულ მეტრს შევსება უნდოდა.

– უზარმაზარი პანო ერთ თვეში – ხალტურა ხომ არ იყო?

თავს არ ვიზოგავდი. **„მოგზაურობა", „ძვირფასი ქვები", „ჯადოსნური ფრინველი", „ჰარემი"** და, რა თქმა უნდა, **„ალი ბაბა"** – არაბული ზღაპრების ეს დაუვიწყარი გმირი. გამოფენას წარმატება ხვდა წილად. ასე რომ, თავდაუზოგავად ტყუილად არ მიმუშავია.

– თქვენ ხშირად და აქტიურად აწყობთ გამოფენებს...

– იტალიას თუ არ ჩავთვლით. სხვათაშორის, დასავლეთსა და ევროპაში ფერწერული გამოფენები არ მქონია. რატომ? უცხოელ დამთვალიერებელს ინსტალაციები და კოლაჟები აინტერესებს. ყველაზე აქტიურად გარდაქმნის წლებში ვმუშაობდი. საბჭოთა ხელოვნებაზე მაშინ დიდი მოთხოვნა იყო. საქართველოში სტუმრობას მოუხშირეს ხელოვნებათმცოდნეებმა და კურატორებმა საფრანგეთიდან, გერმანიიდან...

„პოლიტიკური ლაბირინთებიდან თავის დაღწევა მხოლოდ ხალხს შეუძლია"

– დღეს როგორაა საქმე, პოლიტიკა ცხოვრებას გირთულებთ?

– რუსულ-ქართული საწუხარია... მტკივნეული და საწყენია რამდენიმე წლის წინანდელ პოლიტიკურ მოვლენებზე ფიქრი. ყველაზე სახიფათო კი ის ფაქტია, რომ წარსული არ **„დასრულებულა"** – ნეგატივი დღემდე ტივტივებს. მიუხედავად იმისა, რომ ყველა ნორმალურად მოაზროვნე ადამიანს – ქართველი იქნება თუ რუსი, ასეთი ურთიერთობები საძირკველშივე ხელს არ აძლევს. რა თქმა უნდა, მხედველობაში მაქვს ჩვენი თავი – უბრალო მოკვდავნი, ისინი, ვისთვისაც არაფერი გვიკითხავს! რაც შეეხება პოლიტიკოსებს – მათ თამაშებსა და ლაბირინთებში გარკვევა შეუძლებელია. ოთხი წლის წინათ სამსახურებრივ საქმეზე მოსკოვში ჩასვლა მომიხდა. მეგობრების მონახულებაც შევძელი. იმ დროისათვის ურთიერთობები უკვე დაგვეძაბა. თუმცა არავითარი ამრეზილობა ჩემ მიმართ, თბილისელის მიმართ, არ მიგრძვნია. ახლახან პეტერბურგიდან და მოსკოვიდან მეგობრები – მხატვრები ჩამომივიდნენ. აქ ნამდვილი კავკასიური ხელგაშლილობით შევეგებეთ; აბა, სხვაგვარად როგორ იქნებოდა! არაფერი შეცვლილა – არც მათი და არც ჩვენი მხრიდან. მეგობრები მამშვიდებდნენ, ღიმილით ამბობდნენ – ეს აბსურდია! და თუმცა, ხელოვნება მუდამ განცალკევებულად დგას, პოლიტიკა ჩვენც შეგვეხო. იძულებითმა ვაკუუმმა დიდად დაგვაზარალა, კონტაქტები ხომ შეწყდა...

აგვისტოს ომმა გეგმებიც აწეწა – მოსკოვში დაგეგმილი გამოფენის გადადებაც უკეთესი დროისთვის მომიხდა, ეს დრო კი არა და არ დადგა! დღესაც მეპატიჟებიან რუსეთში – ქართული ხელოვნება ჩვენს ჩრდილოელ მეზობელს კვლავაც აინტერესებს. ცნობილი ხელოვნებათმცოდნეები და კონცეპტუალისტები – ლიონია ბაჟანოვი, ანდრეი ეროფეევი, ვიქტორ მეზიანოვი, ლენა რომანოვა – ერთობლივ პროექტებს მთავაზობენ. და ეს ჩვენი პირველი გამოცდილება როდი იქნება. ერთად გვიმუშავია ჩერნოგორიაში, მონტენეგროში იუგოსლავიის ომის დროს. სამხედრო თვითმფრინავით ვმგზავრობდით. შემდეგ კი რუსები და ქართველები მხარდამხარ მთელი თვე საერთო საქმეს ვემსახურებოდით. ასეთი რამ არ დაგავიწყდება. აი რას ნიშნავს ახლო ურთიერთობები. მათი დარღვევა შეუძლებელია, მიუხედავად პოლიტიკანთა ძალისხმევისა. ახლა რუსეთში ჩასვლა მხოლოდ ახლო ნათესავის ვიზით ან ოფიციალური მიწვევით შემიძლია. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, დეიდაშვილი და ნათლული ახლო ნათესავებად აღარ მიიჩნევიან! მაგრამ მჯერა, რომ დროთა განმავლობაში ყველაფერი კალაპოტში ჩადგება. მეგობრობა და ერთობლივი სამუშაო ხომ დარჩა, რაც გვაერთიანებს. დარწმუნებული ვარ, ბევრის გულის გასახეთქად, ჩვენი ბედი კვლავაც გადაიკვეთება.

– საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო „საქინფორმი", რომელსაც ახლა წარმოვადგენ, „ფერფლიდან აღდგა" მას შემდეგ, რაც 2006 წელს მისი ლიკვიდაცია მოახდინეს, რათა რუსთაველის პროსპექტზე მდებარე მისი კუთვნილი პრესტიჟული შენობა გაეყიდათ. რას გვისურვებდით?

– გისურვებთ, რომ ინტენსიურად გემუშაოთ, საქინფორმი არ შეავიწროვონ, ქვეყანაში სიტყვის თავისუფლება არსებობდეს... მეტი რა სჭირდება ჟურნალისტს?..

ესაუბრა დიანა შერეშაშვილი

როგორ მოვიგოთ არჩევნები

(ანუ პოლიტიკური იმიჯის ფორმირება საარჩევნო კამპანიის პერიოდში)

დაპირებისამებრ ჩვენი გაზეთის მკითხველებს ვთავაზობთ პუბლიკაციებს ახალგაზრდა ქართველი პოლიტოლოგის ზურაბ ჯამბურიას წიგნიდან.

შესავალი

დღეს, თანამედროვე პერიოდში, როცა ჯერ კიდევ გარდამავალი ქვეყნის სტატუსი გვაქვს, ნელ-ნელა შემოაღწია და დამკვიდრებას იწყებს პოლიტიკური კომუნიკაციის ერთ-ერთი საშუალება **„იმიჯი“ („იმიჯმეიკერი“)**. ეს ტერმინ(ებ)ი დასავლეთის ქვეყნებში გასული საუკუნის შუა წლებიდან დამკვიდრდა, განვითარდა და აქტუალობას დღესაც არ ჰკარგავს. უფრო მეტიც, მათზე მოთხოვნა პოლიტიკური სუბიექტების მხრიდან დღითიდღე იზრდება. სწორედ, ასეთმა მოთხოვნილებამ განაპირობა ჩვენი ინტერესი ამ საკითხისადმი, რადგან ეს იქნება ამ საკითხის დამუშავების საქმეში კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი, რომელიც ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის პოლიტიკოსებს, იმიჯმეიკერებს და პოლიტკონსულტანტებს ჩამოაყალიბონ პოლიტიკური ლიდერის, პარტიის პოზიტიური იმიჯი, რომელიც მოხსნის კანდიდატსა და საზოგადოებას შორის არსებულ გაუცხოებას და გააღრმავებს მათ შორის კომუნიკაციურ დამოკიდებულებას.

იმიჯი არის კომუნიკაციის ერთეული, რომელიც კომუნიკაციური სივრცის მოთხოვნებს იდეალურად შეესაბამება. მას არა აქვს მხოლოდ ვიწრო მიმართულების (მაგ. მხოლოდ პოლიტიკური) დანიშნულება. იგი გამოიყენება სხვადასხვა სფეროში. მას იყენებენ როგორც პოლიტიკოსები, ასევე შოუბიზნესის, კომერციული ფირმების, ბიზნესის, საზოგადოებრივი ორგანიზაციის და ა.შ. წარმომადგენლები, სასურველი იმიჯის შესაქმნელად.

სწორად შერჩეული იმიჯი არის ყველაზე ეფექტური საშუალება საჭირო ინფორმაციის მიწოდებისათვის. მას შესწევს უნარი დაძლიოს ადამიანში არსებული სხვადასხვა ნაკლოვანებები და სირთულეები. იმიჯი მთლიანობაში არ არის რეალური სახე, იგი სიმბოლოა, რომელიც იდეალის სახით არის წარმოჩენილი. მართალია, ადამიანი რეალურ სამყაროში ცხოვრობს, მაგრამ იგი ზოგჯერ უპირატესობას სიმბოლურს ანიჭებს. იმიჯის, როგორც კომუნიკაციის ერთ-ერთი საშუალების ცოდნა პოლიტიკური ლიდერისათვის აუცილებელია, რადგან შეცდომების დაშვების ალბათობა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი და არ შეუქმნას საკუთარ თავს საზოგადოების თვალში საძულველი და მიუღებელი პოლიტიკოსის იმიჯი. ლიდერმა იმიჯის მეშვეობით, ასოცირების გზით უნდა მიანიჭოს საკუთარ თავს სიმბოლური ღირებულება და **„ნაკლოვანებები შეიცვალოს“** დამატებითი ფასეულობებით, რადგან მას იმ ადამიანებისათვის, რომლებიც იმიჯს პოლიტიკური ლიდერის მიხედვით აღიქვამენ, აფასებენ, უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

საარჩევნო კამპანიის დროს წარმატების მიღწევის და არჩევნებში გამარჯვების ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად **„იმიჯი“** გვევლინება. იმიჯი არის ის საშუალება, რომელიც **„იდეალურ სახეს“** აძლევს საარჩევნო სუბიექტს (პარტია, კანდიდატი), რომელიც გამიზნულადაა შექმნილი, როგორც განსაკუთრებული და საუკეთესო. ყოველივე ეს კი არსებულთან (რეალურთან) ერთად დამატებითი ფასეულობების მატარებელია და ემსახურება იმას, რომ ელექტორატის თვალში ემოციურად (დადებითად) აღქმადი იყოს.

დემოკრატიული არჩევნების დროს ამომრჩეველი დამოუკიდებელია თავის არჩევანში, მას ძალით არავინ აიძულებს ხმა მისცეს კონკრეტულ კანდიდატს, მაგრამ იმიჯი არის ის ინსტრუმენტი, რომელიც ზეგავლენას ახდენს ამომრჩეველთა მოტივაციასა და ქცევაზე.

პოლიტკომუნიკაციური მეთოდებისა და იმიჯცენტრების რეკომენდაციების გამოყენების მეშვეობით ნებისმიერ საარჩევნო სუბიეტს ეძლევა უდიდესი შანსი, რომ მიმდინარე საარჩევნო კამპანიის პერიოდში მოიპოვოს ამომრჩეველთა უდიდესი მხარდაჭერა და აიმაღლოს მათ თვალში ავტორიტეტი, რადგან საზოგადოების დიდი ნაწილი ვერ ერკვევა პოლიტკომუნიკაციების, იმიჯმეიკერული ღონისძიების სამზარეულოში, ამიტომ ის იხილება არა საარჩევნო სუბიექტის საქმის არსით არამედ მისი წარდგენის ფორმით, ანუ იმით, თუ როგორი მიმზიდველი იმიჯი ექნება მას (პარტიას, კანდიდატს).

ამრიგად, იმიჯი ეს არის შესაფუთი მასალა პოლიტიკური პროდუქტისა, რომელიც მეტად მიმზიდველი და აღქმადია ამომრჩევლებისათვის, რადგან ამომრჩეველი არ უყურებს იმას იმდენად, თუ რა დევს ამ **„ფუთაში“**, არამედ უყურებს იმას, თუ როგორ გამოიყურება ის გარეგნულად, რომელიც დიდ გავლენას ახდენს მის ცნობიერებაზე, უფრო ზუსტად კი იპყრობს მის ცნობიერებას. ამრიგად, იმიჯის მიზანს წარმოადგენს ადამიანის ფსიქიკაში შეღწევა, რათა იქ დაიმკვიდროს ადგილი როგორც დადებითმა და მისაღებმა.

(გაგრძელება იქნება)

აქციებზე გასვლის საბაბად მოსახლეობა სოციალურ პრობლემებს ასახელებს

„სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, რესპონდენტთა მხოლოდ 8,1% აცხადებს, რომ საპროტესტო აქციების გამართვის მიზეზებს ვერ ხედავს.

გამოკითხულთა დანარჩენი ნაწილი კი აქციებში შესაძლო მონაწილეობის სხვადასხვა საბაბს ასახელებს. მათ შორის, მთავარი აქცენტი, ძირითადად, სოციალურ პრობლემებზე კეთდება.

კვლევის შედეგების მიხედვით, პირველ ადგილზე 16,9%-ით უმუშევრობაა; მეორეზე 14,7%-ით – მაღალი ფასები და დაბალი ხელფასები; გამოკითხულთა 9,5% აქციებზე ადამიანის უფლებების დარღვევის მიზეზით გავა, 8,4% – მაღალი გადასახადების გამო. აღსანიშნავია, რომ რესპონდენტთა 7,4% საკითხს პესიმისტურად უყურებს და ფიქრობს, რომ აქციებში მონაწილეობას აზრი არ აქვს, რადგან ყველაფერი მაინც ძველებურად დარჩება.

საარჩევნო საკითხებისა და მოქალაქეთა პრიორიტეტების შესახებ კვლევა **„სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ“ (ISFED)**, ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით, პროექტის – **„დიალოგისა და შესაძლებლობათა განვითარების ხელშეწყობა ეფექტური ეროვნული საარჩევნო პროცესებისათვის“** – ფარგლებში განახორციელა.

ევროკავშირი საარჩევნო რეფორმის მომხრეა

ევროკავშირი მიესალმება საარჩევნო რეფორმასთან დაკავშირებით ხელისუფლებასა და ოპოზიციის ნაწილს შორის დაწყებულ დიალოგს და იმედოვნებს, რომ მოლაპარაკებები მხარეებისათვის მისაღები შედეგებით დასრულდება.

მმართველ პარტიასა და ოპოზიციას შორის საარჩევნო რეფორმაზე მოლაპარაკებები, რომლებიც ნოემბრიდან მიმდინარეობდა, 9 მარტის შემდეგ აღარ გამართულა. მხარეებმა დიალოგის ჩაშლაში ერთმანეთი დაადანაშაულეს.

ამ ფონზე, ჯერ კიდევ გასულ თვეში, საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა ფილიპ დიმიტროვმა, საქართველოში ევროკავშირის წევრი ქვეყნების მისიების სახელით, სპეციალური განცხადება გამოაქვეყნა.

„ევროკავშირი მიესალმება საარჩევნო კოდექსის შესახებ დიალოგს საქართველოს მთავრობასა და ოპოზიციას შორის,– ნათქვამია განცხადებაში, – ევროკავშირი, ასევე, მიესალმება სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობას ამ პროცესში“.

„საარჩევნო კოდექსის რეფორმირება მნიშვნელოვანი ნაბიჯია საქართველოს ევროპული მისწრაფებების განხორციელების გზაზე,– აცხადებს ევროკავშირი,– იმედი გვაქვს, რომ მოლაპარაკების შედეგები იქნება არამარტო ორივე მხარისთვის მისაღები და ეუთოსა და ვენეციის კომისიის რეკომენდაციების შესაბამისი, არამედ ხელს შეუწყობს ნდობის განმტკიცებას ყველა მხარეს შორის“.

„ევროკავშირი კვლავაც ყურადღებით დააკვირდება მოლაპარაკებას და საარჩევნო რეფორმასთან დაკავშირებულ ნებისმიერ სხვა პროცესს“,– ნათქვამია განცხადებაში.

სოხუმში მყოფი ებრაული დელეგაცია: ჩვენი ვიზიტი ორ ქვეყანას შორის მჭიდრო ურთიერთობების დასაწყისი იქნება

(ანუ, თაგვმა თხარა, თხარა და... როცა ჩვენ ებრაელ ბიზნესმენებს დაუსაბუთებლად ვაპატიმრებთ, ისინი იძულებული არიან თავი აგვარიდონ)

“არსებობს მსგავსება ორ - ებრაელ და აფხაზ ხალხს შორის. თქვენც პატარა ხალხი და პატარა სახელმწიფო ხართ პრობლემატური მეზობლებით”. ეს განცხადება სოხუმში ვიზიტით მყოფმა ებრაული დელეგაციის წევრმა ისრაელის შეიარაღებული ძალების გენშტაბის ოპერატიული სამმართველოს ყოფილმა ხელმძღვანელმა ისრაელ ზივმა სეპარატისტული აფხაზეთის ე.წ. პრემიერ-მინისტრ სერგეი შამბასთან შეხვედრაზე გააკეთა.

ებრაული დელეგაცია, რომელსაც ჰოლდინგ “**Global CST**”-ის უფროსები – ისრაელის შეიარაღებული ძალების გენშტაბის ოპერატიული სამმართველოს ყოფილი ხელმძღვანელი ისრაელ ზივი და მოქმედი პრემიერის ყოფილი სახედრო მდივანმა მეირ კლიფი ხელმძღვანელობენ, მოსკოვში აფხაზ ხალხთა ლიდერთან სერგეი ბაღაფშთან გამართული შეხვედრის შემდეგ აფხაზეთში ჩავიდა და 15 აპრილამდე დარჩა.

ისრაელ ზივმა, აფხაზური მხარის ინფორმაციით, მადლობა გადაუხადა **“მთავრობის ხელმძღვანელს”** იმისთვის, რომ მათ აფხაზეთის მონახულების საშუალება მიეცა.

მისი თქმით, მათ ვიზიტს აფხაზეთში ისტორიული მნიშვნელობა აქვს. მისი თქმით, დელეგაციის წევრები აფხაზეთში თავს ისე გრძნობენ, როგორც საკუთარ სახლში.

“ჩვენ აქ მოხერხებულად და კომფორტულად ვართ, ხოლო აფხაზეთის პრემიერ-მინისრთან შეხვედრამ კი ცხადყო, რომ ჩვენ შეხების წერტილები გვაქვს”, განცხადა მან და გამოთქვა იმედი, რომ ისრაელის დელეგაციის ვიზიტი აფხაზეთში **“ორ ქვეყანას შორის კარგი და მჭიდრო ურთიერთობების დასაწყისი იქნება”.**

თავის მხრივ, აფხაზური მხარის ინფორმაციით, სერგეი შამბამ დაარწმუნა სტუმრები, რომ აფხაზეთი დაინტერესებულია ისრაელთან თანამშრომლობით.

“ჩვენ ვიცით, რომ ისრაელში არის წამყვანი ტექნოლოგიები ეკონომიკის იმ მიმართულებებით, რომლებიც გვაინტერესებს და ჩვენთვის პრიორიტეტს წარმოადგენს. ამიტომაც ვამახვილებთ ყურადღებას კავშირების განვითარებაზე სამედიცინო და სოფლის მეურნეობის სფეროში”, – განაცხადა შამბამ და აღნიშნა, რომ იგი ასევე მხარს უჭერს აფხაზეთსა და ისრაელს შორის თანამშრომლობას და აფხაზეთის ეკონომიკაში ინვესტიციების მიზიდვას.

“ურთიერთობები, რომლებიც ამჟამად ჩვენ შორის მყარდება, გვაძლევს საფუძველს, იმედი ვიქონიოთ, რომ შევძლებთ მრავალი ჩვენი გეგმის რეალიზებას. უკვე კმაყოფილნი ვართ იმით, რომ საქმე გვაქვს ძალიან სერიოზულ, ავტორიტეტულ კომპანიასთან, რომელსაც ჩვენთვის სასარგებლო დიდი გამოცდილება აქვს”, – განაცხადა შამბამ.

რა ხდება საჯარო ბიბლიოთეკაში

საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო **„საქინფორმისთვის“** ცნობილი გახდა, რომ სახელმწიფო საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის შენობის გასხვისებას გეგმავს. რამდენიმე კვირის წინათ ბიბლიოთეკის ორი დარბაზი მკითხველებისთვის დაიხურა. ამის მიზეზად ოფიციალურად შენობის ავარიულობა დასახელდა. მაგრამ, ჩვენი წყაროს ცნობით, ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ იყო საუბარი იმაზე, რომ ბიბლიოთეკისთვის ახალ შენობას გარეუბანში ააშენებდნენ და ძველ ნაგებობას გაასხვისებდნენ. დარბაზები დაიხურა არა ავარიულობის, არამედ სწორედ იმ მიზნით, რომ მისი სხვა დანიშნულებით გამოყენება სურთ.

საქალაქო ბიბლიოთეკების მასობრივი დახურვა რეკონსტრუქციის საბაბით ახლაც გრძელდება. რაც შეეხება მოარულ ხმებს თავად პარლამენტის შენობის გასხვისების შესახებ, არც ეს იქნება მოულოდნელი, რადგან პარლამენტის ქუთაისში გადატანა თავისთავად გულისხმობს გამოთავისუფლებული შენობის სახელმწიფოს მიერ **„მიზნობრივად“** განკარგვას.

კახეთში მინას ინდუსებიც ყიდულობენ

ბურებისა და ებრაელების შემდეგ ქართული მიწებით ახლა ინდოელები დაინტერესდნენ, რომლებიც ბოსტნეულისა და მარცვლეულის მოსაყვანად კახეთში მიწებს ყიდულობენ. ინდუსები მიწას როგორც ადგილობრივი მოსახლეობისგან, ისე სახელმწიფოსგან შეისყიდიან. ექსპერტების განცხადებით, აზიის მზარდ ქვეყნებში სურსათის დეფიციტის საფრთხე სერიოზულად აფიქრებთ და ამისთვის წინასწარ ემზადებიან. დარგის სპეციალისტების აზრით, საქართველოში სასოფლო-სამეურნეო სექტორში ინვესტორების აქტიურობას მიწის დაბალი ფასი, კლიმატი და ბიზნესგარემო განსაზღვრავს. პირველი ორი ფაქტორი ქართველი ინვესტორებისთვისაც მისაღებია, თუმცა ბიზნესგარემო და სახელმწიფოს მხრიდან მკაცრი ადმინისტრირება ქართული ინვესტიციების განხორციელებას აფერხებს. ქართველი მეწარმეებისგან განსხვავებით, უცხოელი ინვესტორების მიმართ კანონი ძალზე ლიბერალურია. შედეგიც სახეზეა: კახეთში ებრაელებმა ათასი ჰექტარი მიწა უკვე შეიძინეს და დაამუშავეს კიდეც. ბურებს სახელმწიფო 80 ათას ჰექტარს სთავაზობს. ახლა – ინდოელებიც. ჯერ გაურკვეველია, რა ფართობი აღმოჩნდება ინდუსების ხელში, მაგრამ კახეთში ადგილობრივი მოსახლეობა შეშფოთებულია უცხოელების ასეთი მოძალებით და შიშობენ, რომ, თუ ასე გაგრძელდა, ადგილობრივ მოსახლეობას სხვის მოჯამაგირედ მოუწევს მუშაობა.



ბერია XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

სერგეი კრემლიოვი

თარგმანი **როლანდ ჯალაღანიასი**

მუქარები არ ყოფილა და, სიმართლე რომ ითქვას, ამ მეტად მნიშვნელოვან საქმეს მუქარა და დედის გინება დიდად ვერ წაადგებოდა. რთული საინჟინრო და საკონსტრუქტორო ამოცანის გადაწყვეტა ზარულის უბრალო ორმოს ამოთხრა არ გახლავთ. მაგრამ, ამოცანის სიმკაცრემ და მაღალმა სტატუსმა კი თავისი როლი ნამდვილად შეასრულა. ადრინდელი **"ადგილზე ტორტმანის"** ნაცვლად დაიწყო ნამდვილი **"ტვინების შტორმი"** – სპეციალისტები ლაბორატორიებში იყვნენ ჩაკეტილები და ამოცანებს წყვეტდნენ სწრაფად, ერთობლივად და მეგობრული ურთიერთთანადგომით – ყოველგვარი ფორმალობისა და ბორძიკის გარეშე.

დავალება შესრულდა, და თანაც როგორ! უმოკლეს ვადებში შეიქმნა ისეთი საწარმო, რომელსაც დღესაც კი არ გააჩნია ანალოგი მთელ მსოფლიოში, იაფი და გამდიდრებული ურანის წარმოების დარგში! მსოფლიოში ანალოგი არ გააჩნია! და ბერიას მუშაობას ამ დარგის ასაღორძინებლად იხსენებენ როგორც ლეგენდას და ამაყობენ მით... ამავე დროს, ღირსეულს მიუზღავენ ლავრენტი ბერიას.

დიახ. საბჭოთა კავშირი ატომურ პროგრამას ახორციელებდა დამკვრელური ტემპებით! 1945 წლის 30 აგვისტოს იქმნება პირველი მთავარი სამმართველო.

1946 წლის 9 აპრილს საფუძველი ჩაეყარა №11 საკონსტრუქტორო ბიუროს, რომელსაც მალევე გამოეყო **"№5 ლაბორატორია"** და **"№5 საკონსტრუქტორო ბიურო"**, რომლებიც მორდოვის ავტონომიური საბჭოთა რესპუბლიკის დასახლება საროვოში განთავსდა. ატომური იარაღის კონსტრუირების ამ საწარმოო კომპლექსის უფროსად დაინიშნა გენერალი ზერნოვი, მთავარ კონსტრუქტორად – პროფესორი ხარიტონი, მის მოადგილედ ფიზიკოსი და ქიმიკოსი შჩოლკინი.

1949 წლის აგვისტოში სსრკ თავდაცვის სამინისტროს **"2 სასწავლო პოლიგონი"** (ჩვენი პირველი გამოსაცდელი მოედანი), რომელიც ყაზახეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარეობდა, უკვე ემზადებოდა პირველი ატომური ბომბის გამოსაცდელად. 1949 წლის 27 აგვისტოს, დამის ორ საათზე, იგორ ვასილის ძე კურჩატოვმა დაამტკიცა ზერნოვის, ხარიტონისა და შჩოლკინის მიერ ხელმოწერილი, ჯერ კიდევ 21 აგვისტოს ერთ ეკზემპლარად შედგენილი **"ნაკეთობის საბოლოო აწყობისა და აფეთქების ოპერატიული გეგმა..." "ნაკეთობაში"** იგულისხმებოდა ჩვენი პირმშო – პირველი ატომური ბომბი **რსდ**-1.

დაიწყო დროის უკუთვლის საბოლოო და შეუქცევადი პროცესი. 1049 წლის 27 აგვისტოს სამეთაურო პუნქტზე მორიგეობას შეუდგა მორიგე დისპეჩერი, წარმოშობით მოსკოველი, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, მოსკოვის ენერგეტიკის ინსტიტუტის ყოფილი მეცნიერ-მუშაკი, იმჟამად კი №11 საკონსტრუქტორო ბიუროს 25-ე განყოფილების უფროსი მეცნიერ-მუშაკი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი სერგეი სერგეის ძე ჩუგუნოვი. გრაფიკის მიხედვით ცდის ჩატარებამდე რჩებოდა 48 საათი. ამ დროისათვის პოლიგონზე თავი მოიყარეს როგორც ცდაში მონაწილე ხალხმა, ისე ცდაზე პასუხისმგებელმა პირებმა.

სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარე ბერია ქობულოვთან და მახნევევთან ერთად 28 აგვისტოს დილით უკვე იმყოფებოდა საამწყობო საწარმოში. მოუსვენრობის განცდამ და, შეიძლება ითქვას, – უბრალო ცნობისმოყვარეობამ მიიყვანა ისინი საწარმოში, თუნდაც მცირე ხნით. მაგრამ, ლავრენტი პავლეს ძე ერთი წამითაც არ დადგომია მუშებს თავზე **"როზგა ჩაფარივით"**, მიუხედავად იმისა, რომ იდგა უაღრესად მძიმე და საპასუხისმგებლო ჟამი, როცა ადამიანებმა უნდა იხილონ თავიანთი ოთხწლიანი თავაუდებელი შრომის შედეგი.

სერგო ბერია, მამაზე დაწერილ წიგნში აღნიშნავდა, რომ იგი მამასთან ერთად იმყოფებოდა ყაზახეთში პირველი საბჭოთა ატომური ბომბის გამოცდაზე, მაგრამ ეს ასე ნამდვილად არ იყო. პოლიგონზე დაშვებული იყვნენ მხოლოდ ისინი, ვისაც უშუალო შეხება ჰქონდა ატომური იარაღის შექმნის საწარმოო პროცესებთან. თვით რაკეტების ისეთი მსხვილი სპეციალისტი, როგორიც იყო სერგეი პავლეს ძე კოროლიოვი, პოლიგონზე მოხვდა მხოლოდ 1955 წლის ნოემბერში, როცა ხდებოდა ჩვენი **"ორსაფეხურიანი"** თერმობირთვული მუხტის **რსდ**-37-ის გამოცდა. იგი გახლდათ კოროლიოვის საკონსტრუქტორო ბიუროში შექმნილი პირველი საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტის ქობინის პროტოტიპი. ამასთან, სერგო ბერიას მიერ აღწერილი ექსპერიმენტი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ იგი პირველი გამოცდისას ყაზახეთის პოლიგონზე არ იმყოფებოდა, თუმცა ელენე პრუდნიკოვას უდავო ჭეშმარიტებად მიაჩნია მისი მონათხრობი.

მაგრამ, ჩემი ნათქვამის საილუსტრაციოდ წარმოგიდგენთ, ისეთი ავტორიტეტული პიროვნების მოგონებას, როგორიცაა იულიან ბორისის ძე ხარიტონი. იგი უამრავ გამოცემებშია დაბეჭდილი, მაგრამ მე მაგალითისათვის მოვიყვან კოლექტიურ მონოგრაფიას **"საბჭოთა სამხედრო ძლიერება სტალინიდან გორბაჩოვამდე"**, სადაც ნათქვამია:

"მძიმე შეცდომებისა და მისტიფიკაციების მოძალება, ხშირად კი საქმის არსში ჩაუხედაობა იგრძნობა სერგო ბერიას წიგნ "ბირთვული ფარის" თითქმის ყველა ქვეთავში.

რაულ ჩილაჩავას წიგნ-ინტერვიუში "ლავრენტი ბერიას შვილი მოგვითხრობს..." სერგო ბერია იმდენად შორის მიდის, რომ ამბობს: თითქოს იგი მჭიდროდ თანამშრომლობდა კურჩატოვთან ბირთვული მუხტების კონსტრუქციის შემუშავებაში. და ეს მაშინ, როცა საბჭოთა ატომური პროექტის ხელმძღვანელ კურჩატოვს საერთოდ არ ჰქონია შეხება მუხტების კონსტრუქციასთან. მით უმეტეს, მუხტების კონსტრუქციაზე არასოდეს უმუშავია სერგო ბერიას..."

მაშ ასე, საამწყობო სამუშაოები გეგმის მიხედვით მიმდინარეობდა. შეფერხება წარმოიშვა პლუტონის ბირთვის დგუშის დაყენებისას, რამაც, მართალია ყველა აანერვიულა, მაგრამ ეს ზუსტად ისე მოხდა, როგორც ამერიკაში – პრეციზიურმა აწყობამ ჰაერის **"ბალიში"** წარმოქმნა დგუშში, მაგრამ ჰაერი თანდათან **"გაიპარა"** რგოლებს შორის დარჩენილ მცირეოდენ სივრცეში და მალე ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. ბოლოს, როგორც იქნა, დამთავრდა პირველი ასაწყობი ოპერაციები.

დადგა დრო, რომ მოწყობილობა აეტანათ და დაემონტაჟებინათ გამოსაცდელ მოედანზე წამომართულ 37-მეტრიან ფერმულ კოშკზე. იქვე, სუფთა ჰაერზე იდგნენ ბერია და კურჩატოვი. მათთან მივიდა შჩოლკინი, რათა მუხტის საწარმოდან გამოტანის ნებართვა მიეღო.

"მე-11 საკონსტრუქტორო ბიუროს მუშებმა რელსებზე გამოაგორეს "ნაკეთობა" და დააყენეს კოშკის სატვირთო ლიფტთან. მუხტის ტრანსპორტირებას თვალს ადევნებდნენ დაცვის სამსახურის ოფიცრები, სსრკ სახელმწიფო უშიშროებისა და ყაზახეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლკოვნიკები.

ბერია გამოცდის სამეთაურო პუნქტში წავიდა. მალე, დაცარიელებული მოედნიდან კოშკთან მივიდნენ ზავენიაგინი და შჩოლკინი, 6 საათსა და 18 წუთზე სახელმწიფო კომისიის თავნჯდომარეს ლავრენტი ბერიას და სამეცნიერო ხელმძღვანელს კურჩატოვს მოახსენეს აფეთქების მზადყოფნის შესახებ.

პოლიგონის უფროსმა გენერალმა კოლესნიკოვმა დაადასტურა პოლიგონისა და მისი ქვეშემრდომების სრული მზადყოფნა. მაგრამ ამას სრულიადაც არ გაუხარებია ავიაციაზე პასუხისმგებელი გენერალი, საბჭოთა კავშირის გმირი კომაროვი, რადგან უამინდობის გამო ფრენა არ ხერხდებოდა და გამოცდის გადასაღები აპარატურა აგვიანებდა.

ბერია, პერვუხინი და კურჩატოვი საკონტროლო პუნქტის შენობიდან გამოვიდნენ ღია ციას ქვეშ, იმ იმედით, რომ გამოდარების ოდნავ ნიშან-წყალს დააფიქსირებდნენ. მაგრამ, როგორც შემდეგ შჩოლკინის ანგარიშში იყო მითითებული – "ამინდს სასიკეთო პირი არ უჩანდა". ამ ადგილებში, ასეთ ამინდში ყველაფრის მოლოდინში უნდა ყოფილიყვნენ, თვით ჭექა-ქუხილისაც კი.

მრავალი წლის შემდეგ პსდ-1-ის აწყობის ერთ-ერთი მონაწილე, სოციალისტური შრომის გმირი, პროფესორი დ.ა. ფიშმანი იხსენებდა:

"28-29 აგვისტოს გაფუჭებული ამინდი უნებლიედ გვაგონებდა სიტუაციას, რომელიც ამერიკელებს შეექმნათ პირველი გამოცდისას ალამოგორდში".

ალამოგორდში გამოცდის წინ ამინდი მართლაც საშინლად გაუარესდა, იქაც მოულოდნელად, სინოპტიკოსთა პროგნოსის საპირისპიროდ. გენერალი ლესლი გროვსი, თავის ცნობილ წიგნში "ახლა ამის მოყოლა შეიძლება", სწერდა:

"მთავარი უსიამოვნება ამინდთან იყო დაკავშირებული... საღამო ქარიანი იყო და წვიმდა. ბევრნი მოითხოვდნენ, რომ გამოცდა 24 საათით გადავადებულიყო".

ამინდის კაპრიზისაგან შეშინებული ამერიკელები იძულებული შეიქმნენ, რომ აფეთქება გარკვეული პერიოდით, თუნდაც 24 საათზე ნაკლები დროით, გადაედოთ. ჩვენთან კი ყველაფერი პირუკუ გამოვიდა... კურჩატოვმა, ამინდთან დაკავშირებული ყველა მოულოდნელობის თავიდან ასაცილებლად, გადაწყვიტა, რომ აფეთქება დილის 8 საათიდან დილის 7 საათზე გადმოეტანა. ამიტომ, 6 საათსა და 33 წუთზე, შჩოლკინმა და მე-11 საკონსტრუქტორო ბიუროს თანამშრომლებმა მატვეევმა და დავიდოვმა, კურჩატოვის მითითების თანახმად, გენერალ ა.ნ. ბაბკინის თანდასწრებით, ლუქები მოხსნეს აპარატურის კარებს, გახსნეს იგი და ჩართეს ავტომატიკის კვების სისტემები.

1.300 მოწყობილობა და 9.700 ინდიკატორი მზად იყვნენ, რომ აფეთქების ყველა მოვლენა ზუსტად დაერეგისტრირებინათ.

კირილე ივანეს ძე შჩოლკინმა აფეთქებამდე დარჩენილი ეს ნახევარი საათი დაწვრილებით და მკაფიოდ აღწერა თავის მოგონებებში:

"უკანასკნელი ეტაპის დისპეჩერმა ამხანაგმა ა.ი. მალსკიმ სატრანსლაციო-საუწყებო სისტემის მეშვეობით რაღაცნაირი მინავლული ხმით გამოაცხადა"დარჩა 25 წუთი". სამეთაურო პუნქტზე ყველანი მიყუჩდნენ. ელექტრონული საათები მდორედ ითვლიდნენ წამებს. ამხანაგი ა.ი. მალსკი პერიოდულად აცხადებდა მუხტის გამოცდამდე დარჩენილ დროს.

აფეთქებამდე 12 წუთით ადრე ჩაირთო პოლიგონის მართვის ავტომატი. აფეთქებამდე 10 წუთით ადრე ავტომატმა ჩართო მოწყობილობათა ყველა ნათურა და ინდიკატორი, რომელიც პოლიგონის გარშემო პერიმეტრზე იყო განთავსებული.

დრო უსაშველოდ გაიჭიმა სივრცეში..."

რა თქმა უნდა, ხურდებოდა არა მხოლოდ რადიონათურები – ხურდებოდა საერთო ატმოსფეროც და მოუსვენრობა იპყრობდა სამეთაურო პუნქტზე მყოფ ადამიანებს. გამოცდამდე სამი წუთით ადრე ბერია, კურჩატოვი, სპეციალური კომისიის წევრები პერვუხინი, ზავენიაგინი, მახნევი და მე-11 საკონსტრუქტორო ბიუროს ის თანამშრომლები, რომელთაც მიჰყავდათ გამოცდის უკანასკნელი ეტაპი, მივიდნენ ღია კართან და შავად დაფერილი სათვალეები მოიმარჯვეს...

კვლავ ხარიტონის ავტორიტეტს მოვიშველიებ, რათა ბერიას სახელთან დაკავშირებული მორიგი მითი გავაცამტვერო:

"გოლოვინის ერთ-ერთ წიგნში (ცნობილი ფიზიკოსი ი.ნ. გოლოვინი კურჩატოვის №2 ლაბორატორიაში მუშაობდა) ეწერა, რომ როცა გამოცდის ეტაპობრივი მზადების ავტომატები ჩაირთო, თითქოს ბერიამ კურჩატოვს უთხრა, რომ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდოდა. მაგრამ ასეთ ფაქტს ადგილი არ ჰქონია. გოლოვინი საერთოდ არ ესწრებოდა ამ პროცესს და მან ყურმოკრული ამბებით ისარგებლა..."

აქაც გამოსჭვივის ლავრენტი ბერიას ურწმუნო პროვოკატორად წარმოჩენის დიდი სურვილი, რაც ჭორი და მტკნარი სიცრუე გახლავთ.

აფეთქებამდე ოცი წამით ადრე აფეთქების ოპერატორმა ჩართო მთავარი ჩამრაზი (სახელური), რომელიც ატომურ მუხტს ავტომატიკის სისტემასთან აერთებდა.

"ამ მომენტიდან, – წერდა შჩოლკინი, – ყველა ოპერაციას ავტომატური მოწყობილობა ახორციელებდა. მაგრამ მაინც რჩებოდა იმის შესაძლებლობა, რომ მეთაურის ბრძანების შესაბამისად სახელურის ერთი გადაწევით შეჩერებულიყო მთელი ეს პროცესი. მაგრამ გამოცდის შეჩერების მიზეზი არ არსებობდა და დილის 7 საათზე გარემო გაანათა თვალისმომჭრელმა შუქმა. დაახლოებით 30 წამის შემდეგ სამეთაურო პუნქტთან მოაღწია დარტყმის ტალღამ.

ყველასათვის ნათელი იყო, რომ გამოცდა შედგა..."

დიახ, 1949 წლის 29 აგვისტოს, დილის შვიდ საათზე დროის უკუთვლა დამთავრდა. დადგა რეალური მომენტი **"0..."** და კაზახეთის უკიდეგანო სტეპი ისე განათდა, რომ თითქოს მეორე მზე ამოვიდაო.

ეს მართლაც გახლდათ პლანეტის ახალი დღის დილა – დღე, როცა რუსეთმა შეიძინა ბირთვული ფარი, რომელსაც შეეძლო აეცილებინა მის თავზე მსოფლიოს ბოროტი ძალების მიერ დამოკლეს მახვილივით დაკიდებული ატომური იარაღი.

მომავალი აკადემიკოსი და ყაზახეთის პოლიგონის მომავალი სამეცნიერო ხელმძღვანელი მ.ა. სადოვსკი ახალი ეპოქის პირველ წუთებს ასეთნაირად აღგვიწერს:

"სასწაული ხდებოდა! ჩვენ ერთმანეთს მივცვივდით, ვეხვეოდით, ერთმანეთს ვულოცავდით და ვყვიროდით: "ჩვენ ის გვაქვს!", "ჩვენ ის გავაკეთეთ!.."

ბერიაც ეხვეოდა ყველას – მან ჯერ კურჩატოვი ჩაიხუტა, შემდეგ – ხარიტონი, იგი კი ცდილობდა ხელიდან გასხლტომოდა, რათა დარტყმითი ტალღის მოღწევამდე გადაერაზა კარი.

ყველანი ბედნიერები იყვნენ, მაგრამ ბერია გახლდათ ერთადერთი ადამიანი, რომელმაც კარგად უწყოდა, თუ როგორი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა ახლა რუსეთის სინამდვილეში. მხოლოდ მას, როგორც სპეციალური კომიტეტის თავმჯდომარეს და სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ჰქონდა სრული ინფორმაცია ამერიკის შეერთებული შტატების ატომური აგრესიის შესახებ, რომლის განხორციელებასაც იგი საბჭოთა კავშირში აპირებდა.

იური ბორისის ძე ხარიტონი იხსენებდა, თუ როგორ ეამბორა მას ბერია შუბლზე... ალბათ ასეც იყო... მაგრამ განსაკუთრებით საინტერესო ეპიზოდი გაიხსენა სახელგანთქმულმა გიორგი ნიკოლოზის ძე ფლოროვმა, რომლის შესახებაც ცნობები შემოგვინახა მეორე სახელგანთქმულმა მეიარაღემ, ფლოროვის მოწაფემ, ალექსანდრე ივანეს ძე ვერეტენნიკოვმა...

იარაღის **"ნეიტრონული მუხტის" (ნმ)** ნეიტრონული ფონი დაარეგისტრირა მექანიკურმა აღმრიცხველმა, რომელიც სამეთაურო პუნქტზე ეყენა. ფონის მუდმივა (სხვაგვარად რომ ვთქვათ – წუთში აღმრიცხველის 2-3 იმპულსი) მიუთითებდა, რომ ნეიტრონული მუხტი აფეთქების მომენტამდე იყო შენარჩუნებული.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინ ვინ ეჩრ?

საპატრიარქოზე გახმაურებულ პასკვილს სათავეში ჩასდგომია დავით ამირეჯიბი. ერთ დროს ამ წერილის ავტორისაგან უაღრესად საპატიო, ეროვნული ღირსებით შემკულ პირად მიჩნეული, რომელიც ღირსეულ ქართველ ქალად აღიარებული მაია მაჭავარიანის ვაჟიშვილია. ამ წერილში ჩვენი საზოგადოებისათვის ცნობილ ორ პიროვნებას: დავით ამირეჯიბს და ქალბატონ სალომე ზურაბიშვილს მინდა მივმართო.

ბატონო დავით, თქვენ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობის კვირაძალზე გაგიცანით. 1990 წლის (და ვგონებ 1988-1989 წლების) ზაფხულებს თიანეთის რაიონის ერწოს ზონაზე ატარებდით, ეროვნული თავისუფლების იდეაზე გონივრული მსჯელობით აღაფრთოვანებდით მსმენელებს და მათ შორის მეც,– ჭაბუკ ქადაგს, – მამულის ჭრილობებით გულდასერილ ადამიანს.

როცა პოსტსაბჭოთა სივრცეში ზვიად გამსახურდიამ შეგვაძლებინა პირველი მრავალპარტიული არჩევნების და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ჩატარება, ზვიადის ხელისუფლებასთან ახლო მდგომ პირებს გეკონტაქტებოდით, როგორც თქვენ, ისე დედათქვენს, ქალბატონ მაიას, გეკონტაქტებოდით ძირითადად იმისთვის, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში შემთხვევითი პირები არ აღმოჩენილიყვნენ და გზა გახსნოდათ ეროვნული ენთუზიაზმით გამორჩეულ ჭაბუკებსა და ქალიშვილებს.

ეროვნული ხელისუფლების პუტჩისაგან დამხობამ ჩვენი კონტაქტები ჩაჭრა, მაგრამ შემდეგშიც გვქონდა წყვეტილი კონტაქტები, კერძოდ თქვენი პაპის მოსე თოიძის მუზეუმში, ერთ დროს, მოგვეცით საშუალება ჩაგვეტარებინა შეკრებები იბერიული მოძრაობის რეაბილიტაციისათვის. იმ შეკრებებს ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას მოძღვარი ქრისტეფორე წამალაიძეც ესწრებოდა და ზვიადის ხელისუფლების აქტიური წევრი ბატონი თემურ მდინარაძეც. იყო პროექტი, რომ მოძრაობის ფინანსური უზრუნველყოფისათვის ორი ქართველი მოგვეძიებინა და ორიც – ისრაელის მოქალაქე. ბატონი თემურისაგან წამოვიდა მოთხოვნა, რომ ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტაში დამფინანსებლებს მით უფრო მეტი ხმა ჰქონოდათ, რაც მეტი ფინანსური წილის მფლობელები იქნებოდნენ. სწორედ საკითხის ამგვარად დასმამ შეგვაწყვეტინა პროექტზე მუშაობა და თქვენ შემდეგში განგვიცხადეთ, რომ მუზეუმში შემდგომი სხდომების ჩატარება, დაკავებულობის გამო, შეუძლებელი იყო. ამის შემდეგ, ჩვენ, სრულიად შემთხვევით შევხვდით ბატონი გოგი ოჩიაურის ბინაში. შევიტყვე, რომ ლია ანდღულაძე იქ ატარებდა ზვიადური მოძრაობის რაღაც ჯგუფის შეკრებას, მასთან დავრეკე და ვთხოვე ჩემთვის მოეცა დასწრების უფლება. მკითხა, იწონებ თუ არა სააკაშვილის საშინაო და საგარეო პოლიტიკასო (იყო 2005 თუ 2006 წლის დასაწყისი). შევყოვნდი და მერე ვუპასუხე – არ ვიწონებ მეთქი, მაშინ შეკრებაზე მობრძანდი, მაგრამ აზრის გამოთქმისაგან თავი შეიკავეთო.

შეკრებას ესწრებოდნენ ანდღულაძე, თუშმალიშვილი, ტალიაშვილი, გოგი ოჩიაური, დავით ამირეჯიბი (ქალბატონი მაია მაჭავარიანი თურმე ცუდად ბრძანდებოდა და თავის ნაცვლად დავითი გამოეგზავნა). იყო კიდევ ორი თუ სამი მამაკაცი რომელთა ვინაობაც ამ წერილის ავტორისთვის უცნობი იყო და არც ზვიადის ხელისუფლებაში მათი სტატუსით დავინტერესებულვარ.

შეკრება გაშლილი სუფრის ირგვლივ ტარდებოდა და, ბოლოსდაბოლოს, ანდღულაძემ მოამწიფა სიტუაცია საქმეზე გადასასვლელად, აღნიშნა, რომ ქვეყანაში მკვეთრი ნაბიჯები იდგმება შევარდნაძის მძიმე მემკვიდრეობის დასაძლევად. საჭიროა სააკაშვილისათვის საზოგადოებრივი მხარდაჭერა, რომ უფრო გაბედულად გაგვიძღვეს აღებული ორიენტირით – თუ რაღაც ამდაგვარი. ყველამ მხარი დაუჭირა სააკაშვილის პოლიტიკას, მხოლოდ დავით ამირეჯიბი აღმოჩნდა უმცირესობაში, მან უყიყინა დანარჩენებს, რომ მოჩვენებითია სააკაშვილის სწრაფვა ევროპა-ამერიკისაკენ, რომ იგი საქართველოს რუსეთისაკენ მიათრევს.

ასე ჩამოაყალიბა ლია ანდღულაძემ სააკაშვილის ირგვლივ **„ქართული იდეის“** თუ **„ქართული იდეოლოგიის“** შტაბი. შეკრებაზე მთავარი აზრის განცხადების შემდეგ ქალბატონმა ირინე ტალიაშვილმა და მე მალე დავტოვეთ სუფრა. გოგი ოჩიაურმა გამომშვიდობებისას მისაყვედურა, რატომ არ გამოთქვი აზრი აღძრული საკითხის ირგვლივ. ვუპასუხე, ეს აკრძალული მქონდა მეთქი, ვისგანო – შეიცხადა, მაგრამ განმარტება მიზანშეწონილად აღარ ჩამითვლია. გზად მიმავალს ამეკვიატა ამირეჯიბის განაცხადი – სააკაშვილი საქართველოს რუსეთისაკენ მიათრევსო და იქვე იყო შინაგანი ხმა – იგივე ძალით მიგვათრევს ევროპა-ამერიკისაკენ, რომელიც საქართველოს აუცილებლად შუაზე გახლეჩს მეთქი.

ასეც იქცა ზვიადისტების ერთი ფრთა სააკაშვილისტებად.

ბატონო დავით, როგორც ამ ხელმოწერებზე პირველი ხელმომწერი თქვენ, ალბათ, ახლაც არ გაკმაყოფილებთ სააკაშვილის სწრაფვა ნატოსკენ, უფრო სწორად ნატოსკენაც და მოსკოვისკენაც. ამ პასკვილზე ხელმომწერთათვის ცოტაა საქართველოს ორ ნაწილად გახლეჩვაც. მოგიფიქრებიათ საქართველო ტაბაკად შემწვარი ვარიასავით, ოთხნაირად მაინც დაიჭრას და ისე მიერთვას ამა ქვეყნის მთავართ, დღევანდელ ანტიქრისტეებს.

ჩვენი უკანასკნელი შეხვედრა ბატონი ივანე ლიქოკელის მიერ ქაქუცა ჩოლოყაშვილზე დაწერილი მონოგრაფიის პრეზენტაციაზე შედგა. ბატონი გოგი ოჩიაური სიტყვით იქაც გამოვიდა და აღნიშნა, ქაქუცა ჩოლოყაშვილის წინამძღოლობით მომხდარი ხევსურეთის აჯანყება უპერსპექტივო იყოო. მართლაც, უპერსპექტივოდ შეიძლებოდა ჩაგვეთვალა, თუ ქაქუცას ეცოდინებოდა, რომ ქვეყნის აჯანყების გეგმა ჩაიშალა, ეს ხომ გვიან გახდა ცნობილი.

გოგი ოჩიაურს არავინ შეკამათებია. მისი განცხადება ხომ ირიბი ბრალდება იყო ჩოლოყაშვილისათვის, ბრალდება მის ავანტიურისტობაზე? შესაძლოა, დავით ამირეჯიბს სწორედ ამ ხარვეზის გამოსწორება სურდა და ამიტომაც მოითხოვა სიტყვაში გამოსვლა, მაგრამ არ დააკმაყოფილეს. დავითმა, ჩვენთან, ვიწრო წრეში გააპროტესტა: თავადაზნაურთა წოდებიდან მხოლოდ მე ვესწრებოდი წიგნის პრეზენტაციას და მეც არ მომცეს სიტყვით გამოსვლის უფლებაო.

სჩანს, სიტუაციას სააკაშვილისტები მართავდნენ და მათ დავითი ჯერ კიდევ არ მიაჩნდათ თავისიანად.

ბატონო დავით, მაშინ როცა იბერიული მოძრაობის დასაფუძნებლად თქვენთან ვიკრიბებოდით, რაღაც სხვა ჯგუფიც იკრიბებოდა, ერთხელ თუ ორჯერ ის ჯგუფი, თუ ჯგუფები ჩვენს სხდომასაც დაასწარით. ნეტავ მაშინვე ხომ არ ეყრებოდა საძირკველი საპატრიარქოზე დასაწერ პასკვილს? გახსოვთ?! იმ პერიოდში გაზეთ **„ულეთშიც“** დაბეჭდეთ წერილი, რომელიც საქართველოში მონარქიის აღდგენის იდეას ეხებოდა. ნუთუ ერთ ხელში მონარქიის (არა, კონსტიტუციური მონარქიის) აღდგენისადმი მიძღვნილ გაზეთის ფურცლებს აფრიალებდით და მეორე ხელით ჩვენი ერთადერთი ეროვნული საყრდენის – მართლმადიდებლობის სხვადასხვა სექტებში, მათ შორის რასელისტთა სატანისტურ სექტაში გათქვეფის მოწოდებას აწერდით?!

სირცხვილია ახალგაზრდა თავადო, სირცხვილი!

* * *

ქალბატონი სალომე ზურაბიშვილი როცა საქართველოში დაბრუნდა, ჭეშმარიტად გავიხარეთ, მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილისაგან თავისი ქვეყნის ალმაცერად ყურებამ ჩვენც ელმებად გვაქცია სააკაშვილის მიმართ და სალომემაც იმ თუ ამ სააკაშვილის შეთავაზებაზე არ თქვა უარი საგარეო საქმეთა მინისტრად მუშაობაზე. ვფიქრობდით, ამ ხელშეკრულებაში ერთადერთია, ვისაც მაფიოზური კლანების პირობებში არ მოუწია ცხოვრება და იქნებ სწორედ მან გაგვიყვანოს ამ წუმპედანო, აღფრთოვანებული ვიყავით, როცა სალომემ რუსეთი დაითანხმა საქართველოდან სამხედრო ბაზების გაყვანაზე და როგორ ავილესენით სააკაშვილზე, როცა უმალ გაათავისუფლა დაკავებული თანამდებობიდან. თითქოს რუსეთთან დიპლომატიურ ურთიერთობაში მიღწეული წარმატებისათვის დასაჯა, თითქოს კი არა – ეს რომ ნამდვილად ასე იყო, სააკაშვილმა პატრიარქის მეშვეობით პერევის ოკუპანტებისაგან განთავისუფლების შემდეგ მისთვის ნასროლ რეპლიკაშიც განაცხადა, რასაც ოკუპანტების უმალ დაბრუნებაც მოჰყვა პერევში.

ქართველ ხელისუფალთა ყანყალმა მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის მარტის თოვლივით დაადნო საქართველო, მაგრამ ერთერთი მხარისათვის სამხედროთა ყოფნის დათმობა, როცა ერთ-ერთ მხარეს ბაზები გაჰყავს, ახალ რეალობას ჰქმნის, რომელიც არყოფნისაკენ მიაქანებს საქართველოს.

ქალბატონმა სალომემ განაცხადა, რომ ამერიკაში ყოფნისას ტრადიციას არ უღალატა, ეწვია თავის სათაყვანო მასწავლებელს ბუჟიზინსკის და თითქოს მისმა მასწავლებელმა გულთან ახლოს მიიტანა სალომესაგან საქართველოს სახელისუფლო ინსტიტუტების ფუნქციათა მოშლის შემაძრწუნებელი რეალობა. ქალბატონ სალომეს ჟურნალისტი ახსენებს ბუჟიზინსკის გამონათქვამს: რომ დასავლეთმა დაამარცხა საბჭოები და მართლამდიდებლობის ჯერიც დადგა, როგორია თქვენი პოზიცია ამ გამონათქვამის მიმართო, სალომე კი პასუხობს, რომ არ იცნობს იმ გამონათქვამს და იქვე ამატებს, რომ საქართველოში სწორი შეხედულება არ არის გავრცელებული ბუჟიზინსკისა და სოროსის შესახებ და ამერიკას არავინ ეკითხება, საქართველოში რომელი რელიგია იქნება-ო.

ქალბატონო სალომე, მართლაც ამერიკის საქმე არაა, რომელ ქვეყანას რომელი რელიგიის აღმსარებლობაზე აუგია თავისი ცხოვრების წესი, მაგრამ ვაი, რომ კითხულობს, განა რასელისტების (ჩვენთან რომ იეღოვას სექტას არქმევენ) შემოსევები საქართველოში ამერიკის ხელდასხმით არ მოხდა? და განა **„თავისუფლების ინსტიტუტი“** ფაქტობრივად რასელისტების (მართლმადიდებლები რომ სატანისტებად აცნობიერებენ) **„მორალის, რელიგიისა და ზნეობისგან თავისუფლების ინსტიტუტი“** არ არის, რომელთაც ხელთ უპყრიათ დღეს საქართველოს ხელისუფლების ყოველი სადავე, დაუმცხრალი ტერორითა და საზოგადოებაზე ძალადობით რომ ინარჩუნებს ხელისუფლებას? ბუჟიზინსკი, რომელიც სახელმწიფო მდივნობიდან წასვლის შემდეგ მუდმივად არის ამერიკის პრეზიდენტის მრჩეველი (მას თუ მართლა უყვარს საქართველო, როგორც თქვენ ბრძანებთ), განა ამერიკულ საზოგადოებაში არა ფლობს იმდენ რესურსს, რომ საქართველოში არჩევნების გაყალბება ამერიკას არ ეცნო **„კანონიერ, დემოკრატიულ არჩევნებში“** გამარჯვებულად სააკაშვილის რეჟიმი?

ქალბატონი სალომე, ცნობიერი ქართველობა პატივსა სცემს დიდი პოლონეთის ღირსეულ შვილებს, ღირსეული ქართველობა ყოველი ერის ღირსეულ შვილებს ძმებად და თავისიანებად მიიჩნევს, მიუხედავად ენობრივი და რელიგიური განსხვავებულობისა. ჩვენთვის, ქართველებისათვის, წმიდათაწმიდა ადამიანებად ერთნაირად არის მიჩნეული თქვენი პაპის – დიდი ნიკო ნიკოლაძისა და დიდი ილია ჭავჭავაძის დუელის ჩამშლელი მგზნებარე პოლონელისა და პოლონელთა სიცოცხლის გადარჩენისათვის თავისი სიცოცხლის შემწირველის ფერაძის ტიტანური სახე. ქართველი ხალხი ბუნებით (და რელიგიითაც) რომ არ ყოფილიყო ინტერნაციონალური, რუსთაველში ეს ცნობიერება ცარიელ ნიადაგზე ვერ აღმოცენდებოდა. ინტერნაციონალურის ფესვები ხომ მაინც იკვებება ნაციონალურით? არა ფსევდონაციონალურით, რომელსაც რასელიზმი უდევს საფუძვლად, არამედ ჭეშმარიტი ნაციონალიზმით, რომელიც თავის თავში ატარებს ინტერნაციონალურსაც? თქვენი მეუღლე ბატონი ჯანრი კაშია ვიცით, რომ ზვიადური მოძრაობის ოპონენტი იყო, ისიც ვიცით, რომ ბატონი ჯანრის ტომეულების რედაქტორი იყო ქალბატონი მაია მაჭავარიანი – დავით ამირეჯიბის დედა.

ქალბატონო სალომე, თქვენ იმ პირებთან ერთად, რომლებიც ამ წერილში სახელდებიან, ეპოქალური, მსოფლიო ეპოქალური მოვლენების ეპიცენტრში ხართ მოქცეული.

რა უფრო მიმზიდველია თქვენთვის, ჩვენი ღირსებააყრილი ერისათვის ღირსების დაბრუნება, რომელიც შეუძლებელია მშობლიურ რელიგიასთან დაბრუნების გარეშე, თუ რასელიზმის სიბინძურეში ჩახრჩობა ქართველი ხალხისა?

უკაცრავად
მოხუცი ფხოველი
(იოსებ პატარაშვილი)

პატივცემულო ილორელებო, ბატონო როლანდ!

მადგლობა თქვენ, რადგან თქვენი გაზეთის წყალობით შევიტყვე, რომ, ამ ქვეყნად არსებობენ ადამიანები, რომელთაც **“მეორედმოსვლა”** ამცნეს კაცობრიობას მსოფლიო ენათმეცნიერებაში!

ურწმუნოებს არ უნდათ ირწმუნონ მდიდარი კოლხური წარსული, მაგრამ ფაქტები ღაღადებენ, მდიდარი ისტორიული ძეგლები კი აძლიერებენ ამ ღაღადისს და საქართველოს დაუძინებელ მტრებს მოსვენებას უკარგავენ!

ბატონო მამანტი, შვილო ცირა, ბატონო ვლადიმერ, მე ვენაცვალე იმ მიწას, სადაც თქვენ გაჩნდით, იმ დედას, ვინც თქვენ გშობათ, რადგან სწორედ თქვენი განუმეორებელი ნაშრომებით გამოაბრწყინეთ კოლხთა წარსული დედება, რომელსაც გარკვეული ბოროტი ძალების გამოისობით დავიწყების სუდარა ჰქონდა გადაფარებული!

თქვენ კიდევ ერთხელ დაუმტკიცეთ მავანთ, რომ **“შუბი ხალთაში არ დაიმალება”!** და თუ ეს შემართული შუბი ვინმეს აფრთხობს, მხოლოდ მტერს, რადგან ქართველ კაცს, სხვა ხარბ და სისხლიმსმელ ბარბაროსთა მსგავსად არასოდეს აღუმართავთ მახვილი მოყვარეზე.

თქვენ ქართველებს ლამის მინავლული რწმენა გაუძლიერეთ და დაარწმუნეთ სრულიად საქართველო, რომ მისი მრავალსაუკუნოვანი შემართება კვლავაც გაუძლებს საუკუნეთა ქარტეხილებს და მას ვერაფერს დააკლებს ერთ მუჭა გადაჯიშებულთა ანტიქართული ქმედებები!

“წყალნი (ნაციონალები) **წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი** (ქართველი ერი) **დარჩებიანო!”** ამ ფრაზით ყველაფერია ნათქვამი. ძალადმოსული ვაიქართველები უკვალოდ აღიხორცებიან მიწისაგან პირისა, თქვენი ნაშრომები კი სამარადჟამოდ შემორჩებიან ცივილიზებულ სამყაროს.

თქვენნაირი მეცნიერები ჩვენს **“კეთილ”** მეზობელ არმენებს რომ ჰყავდეთ, ახლა მსოფლიო ექნებოდათ შეზანზარებული. მაგრამ, მადლობა ღმერთს, რომ თქვენ შეაზანზარეთ ისინი და მთელ მსოფლიოს გადააწვდინეთ ხმა კოლხეთის უძველესი ცივილიზაციისა და ენობრივი სიმდიდრის თაობაზე.

ურწმუნოებიც კი იჯერებენ თანდათან, რომ სწორედ კოლხეთიდან იწყება არა მხოლოდ საქართველოს ისტორია და, ზოგადად, მსოფლიო ცივილიზაცია. ეს კი გვინერგავს იმის მყარ რწმენას, რომ კოლხეთიდან უნდა დაიწყოს საქართველოს განთავისუფლება და მისი ხსნა გადამთიელთა მარწუხებისაგან.

საქართველოს სამარადჟამოდ უნდა ახსოვდეს, რომ მას თავისუფლება და დამოუკიდებლობა მოუპოვეს კოლხეთის მედგარმა შვილებმა – ზვიად გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამ!

მადლობა ღმერთს, რომ მათი მოდალატურად მოკვდინებით არ შენელებულა ეროვნული სულისკვეთება და საქართველოს ძლიერებისაკენ მიმართული ძალისხმევა, რადგან ზვიადისა და მერაბის პატრიოტული სულისკვეთების მიმდევრები საქართველოში დღესაც მრავლად არიან!

სამწუხაროა, რომ გვიან გამოჩნდით, ჩემო ბატონებო მამანტი და ვლადიმერ და სათაყვანებელო ქალბატონო ცირა! ახლა, საკმაოდ ხანშიშესულმა ადამიანმა, სწორედ თქვენი ფასდაუდებელი ნაშრომის შთაგონებით მინდა შევისწავლო მეგრული ენა რადგან ჩემი ფუძე აფხაზეთის ულამაზეს კუთხე ილორიდანაა და, ამდენად, ჩემთვის მეგრული ენის უცოდინარობა ნამდვილად **“ვაშინერს”**!

სისხლი ყივის, ჩემო საყვარლებო, კოლხური სისხლი!

დიდი მადლობა თქვენ, ქართველი ერის მიმართ გაწეული ესოდენ დიდი ღვაწლისათვის.

სოსო ხონელიძე

სამეგრელო დავით დადიანის დროს

ჩვენს მკითხველებს ვთავაზობთ ნაწყვეტებს ცნობილი ქართველი მწერლისა და მეცნიერის იონა მეუნარგიას 1939 წელს გამოცემული წიგნიდან "სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი და დავით დადიანი" (ავტორისეული სტილისტიკა შენარჩუნებულია).

საგარეო საქმეები. რუსის მთავრობასთან განწყობილება. მეზობლის რიდი. საიდუმლო წერილი დავით დადიანისა. მთავრის ვექილები სამეგრელოს გარეთ, – მათი იურისდიქცია

რუსის მთავრობასთან, რომლის მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა სამეგრელო, დავით დადიანს კარგი განწყობილება ჰქონდა, ბევრად უკეთესი ვიდრე მამა მისს ლევან დადიანს, რომელმანც არ დარიდა და მთავარ-მართებლისაგან გამოგზავნილი მოხელე სმიტტენი, რაღაც ურჩობის გამო, გააწვინა და გააწკეპლინა ნოჯიხევის სასახლეში, მარტვილის ახლოს (გრ. დადიანისაგან განაგონი).

დავითის დროს კავკასიის მთავარ-მმართველად იყვნენ: ბარონი როზენი, გოლოვინი, ნეიდგარდი და ვარანცოვი. ყველა ამათთან დაახლოვებული იყო დავითი.

ბარონი როზენი, რომელიც დავითის გამზრდელად ითვლება, ეწვია სამეგრელოს მთავარს დავით დადიანს 1836 წელს. დავითმა დააწყო თბილისში მთავარ-მმართველის მოგზაურობის მარშრუტი და გასწია ზუგდიდს, რომ აქ მოეწყო მართებული შეყრა მეფის მოადგილისა.

"12 ამ თვისას ვემგზავრები მე წინამსრბოლად ბარონისა მენგრელიად, – წერდა დავითი თავის ძმას გრიგოლ დადიანს 12 სექტემბერს 1836 წელს. – **სამის დღის უკან ბარონიც წამობრძანდება, თანხლებული ვასილ ბებუთოვით".**

ბარონი როზენი ჩამოვიდა ზუგდიდს და დაჰყო აქ სამი დღე. მისი სამეგრელოში ყოფნამ ის ნაყოფი არ მოიტანა, რასაც, ეტყობა, ელოდა დავით დადიანი.

ის სწერდა თავის ძმას გრიგოლს: **"გეკითხა მთავარ-მმართებლის იქ ყოფნამ რა შესძინა მენგრელიასაო და რა საკითხავია? მე გკითხავ მგელი რომ შეიპყრა და ოცდა-ათ წელს ღრამატიკა ასწავლო, რას ისწავლის, არა თუ სამდღეობით ბარონის მენგრელიად ყოფნამ გამოიღოს ესე ვითარი სასწაული. რას მკითხავ, დადექ შენთვის, ჯერ ღმერთს ჩვენზედ არ მოუცლია და როცა მოიცლის მაშინ კიდეც გავკეთდებით. რაიცა გიხილავს იგი არს მომეტებული".**

1837 წელს მოვიდა ზუგდიდს ხელმწიფე იმპერატორი ნიკოლოზ პავლეს ძე. კავკასიის მეისტორიე ივანენკო წერს ხელმწიფის მოსვლაზე:

"1837 წელს ის (მთავარი ლევანი) შეხვდა იმპერატორს ნიკოლოზ პავლეს ძეს თავის სამფლობელოს საზღვარზე ჩვეულებრივი ჩოხით გამოწყობილი, მაგრამ გენერლის ეპოლეტებით მხრებზე და ფრთით დაშვებული სამკუთხიანი ქუდით. ის და დედოფალი მუხლ-მოყრილნი მიეგებნენ დიდებულ სტუმარს. ხელმწიფემ ორსავ აკოცა და მათი ერთგულებითა და გულუბრალოებით კმაყოფილმა მთელი სამი დღის განმავლობაში დარჩა ზუგდიდს, ლევანთან სტუმრად".

თუმცა, დავითი მაშინ მთავარი არ იყო, მაგრამ ხელმწიფის დიდი ზეიმით მიღება მისი საქმე იყო და მისის ხარჯით იყო მორთული.

1838 წელს დავითი წავიდა თბილისს ბარონ როზენის გასაცილებლად და ახალის მთავარ-მმართებლის გოლოვინის შესაყრელად. დავითი დიდად ნაღვლობდა, რომ როზენმა დასტოვა კავკასია. ერთს წერილში გრიგოლ დადიანთან (რომელსაც გაშავებულ ადგილებზე წერტილები უზის), მთავარი სწერდა:

"სულო ჩემო გრიშა! მე ჩამოველ თბილისს, გასაცილებლად უძვირფასესის ბარონისა, რომელიცა არის... პატიოსანი, ხოლო სოფლის ამაოებისაგან... და კაცთაგან მისგან ნაკეთილმოქმნედ(ბთა) დატევებული, გიობილი, განბასრული. ესთავე (შესაგებე)ბელად ღოლოვინისა, ხოლო რამდენსამე დღეს... საცა მიდის მხედრობა მენგრელთა რიცხვით ას ერგასი".

რუსეთის მფარველობის ქვეშ მყოფს დავით დადიანს გარეშე მტრის შიში არ ჰქონდა, მაგრამ იმდენადაც არის აბხაზეთის რიდის ქონდა. შიგ სამთავროში იმას სამეგრელოს ძლიერი ფეოდალები ეურჩებოდნენ, ეწყობოდნენ რა ესენი აბხაზეთს და აბხაზეთის მთავარს. ამათში პირველი ადგილი ეჭირა თავად გიორგი ნიკოს ძე დადიანს და მერე თავადთ ჩიჩუებს. ჯერ კიდევ 1836 წელში, მემკვიდრეობის დროს, ის სწერდა თავის ძმას გრიგოლს:

"გიორგი აბხაზეთში აბრაგად რევს მიხაილს და ბუნტობს აბხაზეთი, ქედ-ფიცხლობს ჩემზედ და ორნივე მექადიან სიკვდილს. გიორგის დადიანობა უნდა და თავიც მიაკარგა. როგორც უკუდო ვირი წავიდა კუდის საძებრად და ყურებიც მიაჭრეს, ისრე მოუვიდა".

ორი წლის შემდეგ ის სწერდა მასვე:

"ჩიჩუები ერთიანად აბუნტდნენ. რასაკვირველია გიორგი ნიკოს შვილი ურევია და დიდი აყალ-მაყალია სამეგრელოში. უთავესი დამწყებნი არიან კაცია ჩიჩუა და გიორგი, ჩვენი დეიდაშვილის ქმარი".

მას შემდეგ რა რომ დავით დადიანი გამთავრდა, მთავარსა და ფეოდალებს შორის თითქოს ზავი ჩამოვარდაო, მაგრამ ბოლო დროს, ეტყობა, მათი განწყობილება ხელ-ახლა აიშალა. გარდაცვალებამდის ორი თვის წინად მთავარი სწერდა მის ძმას გრიგოლ დადიანს შემდეგ საიდუმლო ბარათს:

ასლი

საიდუმლოდ

უფალს ღვარდიის პოლკოვნიკს და კავალერს თავადს გრიგოლ ლევანის-ძე დადიანს

მივიღე ცნობა რ.ლ. ნიკოს ძეთ და თ-დი გიორგი და პეტრე დადიანოვებთ აქვთ თურმე საიდუმლოთ გზავნა კაცებისა აფხაზეთში და საქმობა რაიმე რომელთანა მე პირთა თანა და საეროდცა იხმიენებენ წინააღმდეგ აზ-სა აწინდელისა მართუელობისა სამეგრელოს სამთავროისასა და ვითომც ექმნასთ წინადადება, რომელთამე პირთამდი რაიმე წინააღმდგომისა სჯულიერისა უფლებისა გარნა არა ჰყოლოდნენ, აგზავნიან თურმე აფხაზეთს ხშირათ თავადს რომელღაც ჩიჩუას, და ჩაჩიბაიას და ერთსაც ბერიძე ხუცის შვილსა თუ ძმის წულს და კიდევ ორ სხვა ვისმეს, რომელნიც თურმე ხშირად და განუწყვეტლივ დაიარებიან, აწინდელისა მართველობის მინგრელიის სახალხოდ ურიგოდ გახმიანება ადრევე ჰქონიათ მათ განსუენებულს ანტონ ჭყონდიდელთან და შემდგომ შინაგან სამთავროისა თუ გარეგან ხშირათ, ხო, რაღაც წინადადება სხუათა შორის თ-სა საჭილაოს მაზრის 2 კლასის მდივანბეგს თ-დს გიგო ფაღავასთან, რომელიც თურმე ყოფილა წასულს მაისის თვეში საღაც სატირლად სამურზაყანოში და იქიდან გამოუარია მას გიგო ფაღავას გიორგისას და იქ ქონიათ მოუბნება თ-დს ბერ ჩიქოვანთან, თ-დს ალექსი ჩიქოვანთან, თ-დს ელიზბარ დადიანოვთან და ოთხს სხუა თავადებთან. შემდგომად ამისა ერთს მათგანს თ-დს გიგო ფაღავას, იმერეთში ყოფილან იქ ზოგნი ჩვენებურებიც, ულაპარაკნია სხუა და სხუა საწინააღმდეგო აზრი; ესე ყოველივე მოწევნილი ჩემდამ გარემოება გეუწყებისთ თქუენ რათამცა ყოთ ამაზედ ბეჯითი კუალში ჩამდგომი და სეტყობა რათა არ განძლიერდეს ბოროტი აზრი ბოროტის მოქმედთა და ჟამსა თვისსა იქმნას მოსპობილი.

მთავარი მენგრელიის
დავით დადიანი
№905
ივნისის 27-ს
1853 წელსა"

იმავე წელს, რა წელსაც ეს წერილი დაიწერა ატყდა აღმოსავლეთის ომი. ამ ომმა დაამტკიცა, რომ დავით დადიანს ტყუილად არ ქონია ფიქრი აფხაზეთის მტრობაზე.

სამეგრელოს მთავარი შინაური საქმეების გამგეობაში დამოუკიდებელი ბატონი იყო, რომელსაც მხოლოდ პოლიტიკური ერთგულება მოეთხოვებოდა რუსეთისა. ამის გამო სამეგრელოს ქვეშემრდომთა ინტერესების დასაცველად სამეგრელოს გარეშე, მთავართა – ლევან და დავით დადიანებს ყავდათ იმ ადგილებში, საცა უფრო მიდიოდნენ მეგრელები სამუშაოდ, ან საცხოვრებლად, როგორც მაგ. თბილისში და კასპის მხარეში, ქუთაისში, სოხუმს, მათი წარმომადგენელნი, ან როგორც მაშინ უწოდებდნენ იმათ, ვექილები, რომელთა ვალად ედვათ გაეწიათ სამეგრელოსთვის იგივე სამსახური, რა სამსახურსაც ეწევიან სხვა ქვეყნებში კონსულები. ასეთი წარმომადგენლები ყავდათ მთავრებს თბილისში, ქუთაისში, სოხუმს.

(გაგრძელება იქნება)

უმეცართა ხმა სიბნელიდან...

როგორც იცით, საქართველოს მე-7 მოწვევის პარლამენტის უმრავლესობას **"ნაციონალები"** წარმოადგენენ, თუმცა მათი ფრაქციის 100 წევრისგან, მიმდინარე პოლიტიკურ, სოციალურ თუ ეკონომიკურ საკითხებზე შედარებით ნორმალური პასუხის გაცემა მაქსიმუმ 30 დეპუტატს თუ შეუძლია. იმედია, ქუთაისში პარლამენტის გადატანის შემდეგ, დღევანდელი მდგომარეობა შეიცვლება და უმაღლესი ორგანოს წევრები. პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებით მეტ აქტიობას გამოიჩენენ. პლენარულ სხდომებზე, ოპოზიციის საპასუხოდ უმრავლესობის ე.წ **„ფეისი"** ანუ ცნობადი სახეები გამოდიან, დანარჩენები კი, ტაშის დაკვრის, ან პულტზე **"მუზიცირების"** ფუნქციას ითავსებენ. მათი უმეცრება რომ თვალშისაცემია, ამაში ხალხი ღრმადაა დარწმუნებული, რადგან ერთ-ერთმა **"ნაციონალმა"** დეპუტატმა ამას წინათ რიხით განაცხადა: **"საქართველოს გლობუსი მინდა, მაგრამ ვერსად მიშოვნიაო"**. მას არც მეორე თანაგუნდელი ჩამორჩა განცხადებით: **"გაეროში წასვლა მინდა, დიდ ხანს ვეძებე რუქაზე, მაგრამ ვერსად მივაკვლიეო"**. მოკლედ, ნებისმიერი მათი გამოსვლა წარსულის სიბნელეს მოგვაგონებს...

წინა მოწვევის პარლამენტი, **„ცემა-ტყეპით''** იყო დასამახსოვრებელი, ამ მოწვევის პარლამენტში **„მომაკვდინებელი სიჩუმე"** სუფევს. პროცესებს ლიდერები მართავენ, ხოლო ზოგიერთი მაჟორიტარი დეპუტატი, თავის რეგიონში არსებულ პრობლემებზე საუბრისას **„სირცხვილით კვდება ან, შიშით".**

ქართველმა ჟურნალისტებმა დაიწყეს არაცნობად დეპუტატებთან პოლიტიკურ საკითხებზე ინტერვიუების ჩაწერა და თავად მკითხველმა გააკეთოს დასკვნა, **"ნაციონალთა"** შორის რომელი კანონმდებელი იმსახურებს დეპუტატის მანდატს.

ჟურნალისტების წამოწყების პირველი **„მსხვერპლი"**, დეპუტატი **გიორგი იმნაძე** გახდა.

– რადიკალური ოპოზიციის მიერ, მაისში აქციები იწყება. საქართველოში არის სარევოლუციო ფონი შექმნილი?

– არ მგონია, რადგან ერთი შეხედვით, ამაზე, საუბარი ძნელია. სხვადასხვა პრობლემები სფეროებში არსებობს. თუმცა, მასშტაბურ აქციებს ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

– მთავრობის ბევრი პროგრამა წარმატებით არ ხორციელდება.

– რომელი არ განხორციელდა?

– იგივე ,,სოფლის დახმარების'' პროგრამა. ზოგიერთ სოფელში მოსახლეობას, ავტო მოსაცდელი გაუკეთეს, მაშინ, როდესაც ამ სოფელში ავტობუსიც კი არ დადის.

– ეს პროგრამა ერთერთი წარმატებული პროგრამაა. ადამიანებს აძლევენ ფულს და ეუბნებიან თავად გადაწყვიტონ, რისი გაკეთება სურთ. ამ პროგრამით, წინა წელს, ბევრი რამ გაკეთდა. ეს პროგრამა იმაზე არ არის გათვლილი, რომ ვინმეს ფული ჯიბეში ჩაუდონ.

– ხელისუფლება, ოპოზიციაში მიმდინარე დაპირისპირებებს იყენებს თუ არა და პოლიტიკოსის მხრიდან ,,დაგინება-შეგინება'' რამდენად სწორია?

– გინება ზრდასრული ადამიანისგან მიუღებელია. ოპოზიციის ნაწილი ისე იქცევა, როგორც დასავლეთშია მიღებული. ანუ, საკითხებს მოლაპარაკებების მაგიდასთან წყვეტს. მეორე, ნაწილი კი, 90-იანი წლებიდან წამოსული ტალღაა, რომელიც ყველანაირ მოლაპარაკებას უარყოფს და პირდაპირ ქუჩის აქციებზე გადადის.

– თქვენი ვარაუდით, ხალხი რუსთაველის გამზირზე გამოვა?

– რაღაც რაოდენობა გამოვა, თუმცა არა კრიტიკული მასა.

– ხელისუფლებამ გასულ წლებში, ოპოზიცია თავის ნებაზე მიუშვა. მათ საკუთარი თავის ლუსტრაცია მოახდინეს. ახლა, რა ტაქტიკას მიმართათ?

– ალბათ იგივეს, ჯერ დაიწყოს.

– მმართველი გუნდი აქციებისას რუსეთის თემით ხშირად აპელირებს და აცხადებს, რომ აქციებში რუსული ფული ჩაიდება. ახლაც?

– ვთვლი, რომ აქციების დაწყება, რადგან გამოცხადდა ეი რუსული ფული გარკვეულ წილად უკვე ჩადებულია.

– ოპოზიციის მხრიდან მუქარის ტონი შეინიშნება.

– ბევრი იჭექეს, იქუხილეს, მაგრამ ბევრს ვერაფერს მიაღწიეს. ახლა წრეზე დადიან. რეალურად რომ გითხრათ, ხელისუფლება მაჯის ცემას, ყოველთვის აკონტროლებს. ხშირად, მოსახლეობის გამოკითხვები ტარდება და საზოგადოების განწყობის რეალური სურათი გვაქვს. მოსახლეობა ალტერნატიულ ძალას ვერ ხედავს.

ქართველის დაშინება არც ისე ადვილია. ადამიანმა შეიძლება, რაღაც, გააპროტესტოს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ქუჩაში გამოვიდეს და ქვა ისროლოს. ოპოზიციის გარკვეულ ნაწილს ძალიან სურს, რომ დაამკვიდროს დოგმა – თუ რაღაც სურთ, მხოლოდ ქუჩაში გააპროტესტონ და ქვა ისროლონ.

– თუ აქციები დაიწყება, პარლამენტი მუშაობას ჩვეულ რიტმში განაგრძობს?

– არ ვიცი.

– 2012 წელს დეპუტატობას ისევ აპირებთ?

– არ ვიცი, არ მიფიქრია.

მოკლედ, თავშესაქცევი არ გვაკლია **"ნაციონალების"** გადამკიდეთ: **"საქართველოს გლობუსი", "გაეროს რუქა",** მათი ლიდერი და ბელადი, მრავალი ენის მცოდნე მიხეილ სააკაშვილი კი შოთა რუსთაველს, დავით გურამიშვილს, ვაჟა-ფშაველას და ანა კალანდაძეს ვერ განასხვავებს ერთმანეთისაგან. ისიც გაიხსენეთ, ედუარდ შევარდნაძემ რომ განაცხადა ერთხელ მადალი ტრიბუნიდან: **"ჩვენი დეპუტატების გადამკიდეს იუდას მოთმინება უნდა გქონდესო"**, მისთვის ხომ განუსხვავებელია იუდა და იობი. ამიტომ, ნაციონალთა ესოდენ **"მაღალი"** ინტელექტი ჩვენს გაოცებას და გაღიზიანებას არ უნდა იწვევდეს: ედუარდ შევარდნაძე და ისინი ხომ ყველანი ერთი ხვრელიდან არიან გამომძვრალები! გაუნათლებელი ყოველ-თვის ცდილობს გარშემო მასზე გაუნათლებლები შემოიკრიბოს, რათა მათ ფონზე ბრძენ და განათლებულ ადამიანად წარმოჩინდეს!

კარგად (თუმცა – მწარედ) იხუმრა ერთ-ერთმა ოპოზიციონერმა ასევე ერთ-ერთ გუბერნატორზე, რომლის უმეცრება თვალში საცემია პირველკლასელისთვისაც კი: **"ამ კაცს წიგნი მხოლოდ ერთხელ აქვს აღებული ხელში, ისიც იმიტომ, რომ ვინმესთვის თავში ჩაერტყაო".**

რაც შეეხება მავანთა პოლიგლოტობას, შეგახსენებთ დიდი აკაკის სიტყვებს, როცა მას უთხრეს, რომ ესა და ეს თავადი კარგად ფლობს ფრანგულ ენასო.

– დავღუპულვართ! – უყვირია აკაკის, – ადრე მხოლოდ ჩვენ ვიცოდით, ბრიყვი რომ იყო, ახლა კი მთელი საფრანგეთიც გაიგებსო!

გაზეთი "ილორი"

ლაზიკა, ლაზეთი – უდიდესი ქართული ტკივილი

ვაგრძელებთ წერილების ციკლის ბეჭდვას

ბუნებრივია, რომ ქართველ პოლიტიკოსებს, საზოგადო მოღვაწეებს, მწერლებს, პოეტებს თუ მეცნიერებს შორის ბევრს, სწორედ, ლაზური წარმომავლობა ჰქონდათ, ისინი ღირსეული მამულიშვილები იყვნენ და დიდი ამაგი დასდეს მშობლიურ ერს. მართალია, დღეს საქართველოში მცხოვრებ ქართველთა შორის ლაზი თითქმის არ მოიხსენიება, მაგრამ ვინც ქართულ გვარებში კარგად ერკვევა, ადვილად მიხვდება, ქართველებიდან რომელს აქვს ლაზური წარმომავლობა.

ეს რომ თქვენთვისაც გარკვეული იყოს, მიზანშეწონილად მიმაჩნია შევეხო გვარების საკითხს. მსოფლიოს ხალხებში გვარის ინსტიტუტი შედარებით ახალია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ სამეფო და წარჩინებულ გვარებს, რიგით მოსახლეობას მუდმივი გვარები XX საუკუნის დასაწყისიდან დაუკანონდათ, ხოლო მუსულმანურ ქვეყნებში – 30-იანი წლებიდან.

მთელ მსოფლიოში საქართველო, ალბათ, ერთ-ერთი იმ იშვიათ გამონაკლისთაგანია, სადაც გვარებს დიდი ხნის ისტორია აქვს. ზუსტად არ არის დადგენილი, საქართველოში როდიდან დაკანონდა მუდმივი გვარები. ვარაუდობენ, თითქოს **“ძე”**-ზე და **“შვილ”**-ზე დამთავრებული მუდმივი ქართული გვარები ერთიანი საქართველოს ეპოქაში, დაახლოებით XIII საუკუნიდან შემოვიდა, რაც სახელმწიფო რეფორმის შედეგი შეიძლებოდა ყოფილიყო, მაგრამ, ეტყობა დასავლეთ საქართველოს ერთიანი ეგრისის სამეფოს მკვიდრებს, მეგრელებს (მათ შორის აფხაზებს, ლაზ-ჭანებს, მარგველებს) და სვანებს გვარები გაცილებით ადრინდელი ეპოქიდან უნდა ჰქონოდათ, რაზეც მეტყველებს შემდეგი გარემოება – მეგრელებს XIII საუკუნემდე გვარები რომ არ ჰქონოდათ, მათ არც **“ძე”**-ზე და **“შვილ”**-ზე დამთავრებული გვარები ექნებოდათ, ვინაიდან ამ სტილის გვარების შემოღების ეპოქაში ეგრისის სამეფო ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში იყო.

უფრო მეტი, ლაზ-ჭანებს გვარები რომ არ ჰქონოდათ, არც დღევანდელი ლაზების მახსოვრობას შერჩებოდა თავიანთი უძველესი გვარები და არც დამკვიდრდებოდა ცნება **“ლაზური გვარი”,** ვინაიდან ამ ეპოქაში (XII-XIII საუკუნეები) ლაზიკა, ფაქტობრივად, ერთიანი საქართველოს შემადგენლობიდან გასული იყო. საერთოდ, როდიდან ჰქონდათ გვარები მეგრელებს, ძნელი დასადგენია, რადგანაც ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეების ეგრისის სამეფოს ისტორია თითქმის უცნობია და იმ ეპოქის მეგრელი მოღვაწეების გვარები ისტორიას არ შემორჩა.

ყოველ შემთხვევაში, აღიარებულია, რომ უძველესი ქართული გვარი არის მეგრულ-ლაზური გვარი **“ბაღვაში”,** რომელიც ცნობილია VII საუკუნიდან, მას შემდეგ, რაც ბაღვაშები მარგვეთის მფლობელი ერისთავები გახდნენ.

შემდგომში ამ გვარიდან სხვა გვარებიცაა ნაწარმოები და დადიანების პირვანდელი გვარიც ბაღვაში უნდა იყოს.

უფრო მეტიც, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ლაზური გვარი IV საუკუნიდან არის ცნობილი და ეს გვარი შეიძლება იყოს **“პიტიახში”.**

მართალია, **“პიტიახში”** თანამდებობად ითვლება, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ იგი სუფთა ლაზური გვარია.

ისტორიაში ცნობილი არიან V საუკუნის მოღვაწეები არშუშა პიტიახში და მისი შვილი ვარსქენ პიტიახში. სწორედ ვარსქენ პიტიახშზეა შექმნილი პირველი ქართული თხზულება **“შუშანიკის წამება”.** ეტყობა, ის სპარსეთის მეფის ქვეშემრდომად ითვლებოდა და იძულებული იყო მაზდეიანობა მიეღო.

შემდგომში, ვარსქენ პიტიახში საქართველოს დიდმა მეფემ ვახტანგ გორგასალმა (V-VI ს.ს.) მოაკვლევინა. არშუშა და ვარსქენი ქართლის პიტიახშებად ითვლებოდნენ, მაგრამ, ვფიქრობ, ეს არასწორია. უფრო გამართლებული იქნება, თუ მათ ჩავთვლით სპარსეთის მეფის მიერ ქართლის ერისთავებად დასმულ ლაზ ფეოდალებად, რომელთა გვარი პიტიახში იყო.

ამ გარემოებას ანგარიშგასაწევს ხდის ცნობილი ქართველი მოღვაწის, ექვთიმე თაყაიშვილის მიერ პარიზის ეროვნულ ბიბლიოთეკაში მიკვლეული ბეჭედი, რომელზეც წარწერილია მისი პატრონის ვინაობა – **“უჩა პიტიახში”.**

“უჩაც” სუფთა მეგრულ-ლაზური სახელია, რომელიც შავს ნიშნავს, რაც კიდევ ერთხელ მეტყველებს პიტიახშების ლაზობაზე.

ირკვევა, რომ მეოთხე საუკუნის მოღვაწე უჩა პიტიახშიც ქართლის ერისთავია და არშუშა და ვარსქენ პიტიახშების წინაპრად მიაჩნიათ.

ამდენად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ უძველესი ქართული გვარი, რომელიც ისტორიას შემორჩა, არის ლაზური გვარი **“პიტიახში”.**

სხვათა შორის, ის გაუგებრობა, რომ მარგვეთის საერისთავოს მფლობელებს, ბაღვაშებს, VII საუკუნიდან, აღმოსავლეთ საქართველოში ეკუთვნოდა კლდეკარი, ორბეთი, სკვირეთი და ატენი, შეიძლება სწორედ პიტიახშების დამსახურება იყოს – მას შემდეგ, რაც ვახტანგ გორგასალმა მოაკვლებინა ვარსქენ პიტიახში, ისტორიაში პიტიახშები აღარ სჩანან, მაგრამ VII-VIII საუკუნეებში, ქართლის ერისთავებად ჩანან სხვა ლაზი დიდებულები – ბაღვაშები. ეტყობა, მათ ეს მამულები პიტიახშების შემდეგ მიიღეს. შესაძლებელია, როგორც მემკვიდრეებმა.

დაახლოებით VI-VII საუკუნეების მოღვაწეებზე მოგვითხრობენ ლაზური თქმულებები, რომელთა პერსონებიც სამშობლოს თავისუფლებისათვის თავდადებული გმირები არიან. მათ შორის გამოირჩევიან პეტრე ხეცია, კახაბერი და სხვები (ბროშურა **“ლაზები”,** იური სიხარულიძე, 1999 წელი).

“კახაბერი” ლაზური გვარია და ნიშნავს **“კახას შვილს”.** ეს გვარი მცირედ შემორჩა, მაგრამ საფუძვლად დაედო გვარებს – კახაბერიძეს და კახაბერიშვილს.

“ხეცია” მეგრული თავადური გვარია, რომლის ძირი სენაკის რაიონშია. გვარი **“ხეცია”** ამ ფორმით არ შემორჩა. დღეს იგი **“მხეიძედ”** მოიხსენიება და გავრცელებულია იმერეთში, გურიასა და სამეგრელოში. თუმცა, სამეგრელოში მხეიძეებს დღესაც **“ხეციებს”** ეძახიან.

ყოველ შემთხვევაში, აშკარაა, რომ ქართული გვარებიდან ისტორიას თითქმის IV-VI საუკუნეებიდან შემორჩა მეგრულ-ლაზური გვარები. ბუნებრივია, ლაზებს, როგორც მეგრული ტერი-



ტორიული ჯგუფის წარმომადგენლებს, გვარები გაცილებით ადრე ჰქონდათ, ვიდრე ისინი მშობლიურ ერს მოსწყდებოდნენ (XIII საუკუნე).

მართალია, დღეს, თურქეთში ლაზებს, ძირითადად, თურქული ფორმის გვარები აქვთ, მაგრამ თითქმის ყველას ახსოვს თავისი ლაზური გვარი, რაც კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, რომ მათ კარგად იციან, თუ ვისი გვარისანი არიან.

დადგენილია, რომ მეგრული გვარების მაწარმოებელი დაბოლოებები **“ია”, “უი”, “ვა”, “ში”** (ში – მეგრულ-ლაზური კუთვნილებითი სუფიქსი), **“ბერი” (**ლაზურად – შვილი), **“სქირი”** (ჭანურად – შვილი), **“ჭკორი”** (მეგრულად – ყმა).

არსებობს კიდევ დაბოლოება **“ბა”,** რაც აფხაზური გვარების დაბოლოებად ითვლება, მაგრამ მთლად ასე არ არის. მიღებულია, რომ ზოგიერთი მეგრული გვარი ხალხში მოიხსენიება დაბოლოების გარეშე: ანთელავაზე იტყვიან – ანთელა, გერგედავაზე – გერგედა, მიქაიაზე – მიქა, ზუხბაიაზე – ზუხბა, ჩიქობავაზე – ჩიქობა, თარაბაიაზე – თარაბა, შამბაიაზე – შამბა, ზვამბაიაზე – ზვამბა, კაკუბავაზე – კაკუბა და ასე შემდეგ.

ამდენად, **“ბა”**-ც მეტწილად მეგრული გვარების დაბოლოებაა, მაგრამ მხოლოდ იმ გვარების, რომლებიც ხალხში ლიტერატურული დაბოლოების გარეშე იხსენიება.

მართალია, სამეგრელოს რეგიონებში სპეციფიური მეგრული გვარებია გავრცელებული, მათ შორის აფხაზეთშიც და ლაზიკაშიც, მაგრამ ვინც მეგრულ გვარებში კარგად ერკვევა, ხვდება, რომელი გვარი რომელი რეგიონისთვისაა მახასიათებელი.

მეგრული გვარეებიდან უშუალოდ ლაზური გვარებია **“ში”**-ზე და **“ბერი”**-ზე დამთავრებული გვარები, ხოლო **“სქირი”**-ზე დამთავრებული გვარები ჭანური გვარებია: ჯაში, ტუღუში, გეგეში, გურეში, ხალვაში,

მეძიშიში, ვანილიშიში, ტრაპიშიში, ბაღვაში, ხაზირიში, ცარგუში, ბადიდიში, აბაში, ჯანაში და ა.შ.

კახაბერი, თუთაბერი, კაკუბერი, ჩაკაბერი, ღოღიბერი, გოგიბერი, ლოსაბერი, დოლაბერი, მაცაბერი, კობერი, გუმბერი, ღვამბერი და ა.შ. წულეისქირი, პაპასქირი, კვეკვესქირი, ბულესქირი, გაბესქირი და ა.შ.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ლაზიკის დიდი ნაწილი, რომელიც მცირე აზიაში მდებარეობდა, XIII საუკუნიდან მოსწყდა საქართველოს და ლაზების უმეტესობა დღეს თურქეთში ცხოვრობს, მაგრამ ლაზიკის ის დიდი ნაწილი, სადაც დღეს გურია და აჭარაა, საქართველოს ფარგლებში დარჩა.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ლაზები ეგრისის სამეფოს თითქმის ყველა კუთხეში ცხოვრობდნენ, ბუნებრივია, რომ მათი შთამომავლები დღესაც ცხოვრობენ საქართველოში, ოღონდ ლაზებად არ იწოდებიან. ისინი დღეს მეგრელებად, იმერლებად, გურულებად, აჭარლებად და რაჭველებად მოიხსენიებიან.

თქვენ ეს ლაზების დაჩაგვრად არ მიიღოთ, ასევეა მეგრელების მიმართაც. მეგრელთა უმეტესობა დღეს იწოდება იმერლებად, გურულად, აფხაზად, აჭარლად და რაჭველად, იმის მიხედვით, თუ რომელ კუთხეში ცხოვრობს. მითუმეტეს, რომ, დღეს, საქართველოს სინამდვილეში ლაზიკა, როგორც კუთხე, აღარ არსებობს და საქართველოში მცხოვრები ლაზები, სრულიად კანონზომიერად, იმ კუთხის ღირსეული წარმომადგენლები არიან, სადაც ცხოვრობენ.

ბუნებრივია, ლაზური გვარების უმეტესობამ იმ კუთხის გვარების ფორმა მიიღო, სადაც ისინი ცხოვრობენ. სამეგრელო – ლაზურ გვარებს ბოლოში **“ა”** დაემატათ: ჯანაში გახდა ჯანაშია, აბაში – აბაშია, კაში – კაშია, გოთოში – გოთოშია, ჯგვიში – ჯგვიშია, მორგოში – მორგოშია, ყორში – ყორშია, შარაში – შარაშია და ა.შ.

თუთაბერი გახდა თუთბერია, გიგიბერი – გიგიბერია, ჩაკაბერი – ჩაკაბერია, კაკუბერი – კაკუბერია და ა.შ.

ბულესქირი გახდა – ბულესქირია, გაბესქირი – გაბესქირია და ა.შ. აჭარაში, გურიაში, იმერეთში და რაჭაში ლაზურ გვარებს ბოლოში ძირითადად **“ძე”** დაემატათ.

თუ დღეს საქართველოში **“ში”** და **“სქირ”**-ზე დამთავრებული გვარები მეტნაკლებად შემორჩენილია, თითქმის არ არის შემორჩენილი, პირვანდელი ფორმით, **“ბერი”**-ზე დამთავრებული ლაზური გვარები.

სხვათა შორის, **“ბერი”**-ზე დამთავრებულ ლაზურ გვარებს **“ძე”** დაბოლოება დაემატა იმ ეპოქაში, როდესაც ეგრისის სამეფოს ყოფილ ტერიტორიაზე წარმოჩინდა პირველი ქართულენოვანი იმერეთის სამეფო (XV საუკუნე), როდესაც **“ბერი”**-ს მნიშვნელობა, ფაქტობრივად, უკვე დავიწყებული იყო, თორემ ასეთი მეთოდით შექმნილი გვარები გარკვეულ უხერხულობას ქმნიან.

ავიღოთ გვარი **“თუთაბერი”,** რაც ლაზურად ნიშნავს **“მთვარის შვილს”** და მასზე **“ძეს”** ან **“შვილის”** დამატება ყოვლად უშინაარსოა, მაგრამ დღეს ამას უკვე არსებითი მნიშვნელობა აღარა აქვს.

ყოველ შემთხვევაში, დღევანდელ საქართველოში თითქმის ყველა გვარი, რომელშიც დაბოლოებების **“ძე”**-ს, **“შვილის”**-ს და **“ა”**-ს წინ ზის **“ში”** ან **“ბერი”,** ყველა ლაზური გვარია და ასეთი გვარის მატარებელი ხალხი, მიუხედავად იმისა, დღეს ისინი იმერლებად, აჭარლებად, გურულებად და რაჭველებად იწოდებიან,

მაინც ლაზების პირდაპირი შთამომავლები და ჭეშმარიტი ქართველები არიან.

აღსანიშნავია, რომ გვარი **“ბერიძე”** ყველაზე მრავალრიცხოვანი გვარია საქართველოში. როგორც ცნობილია, საზოგადო მოღვაწე ვუკოლ ბერიძე ამბობს, თურმე ბერიძის პირვანდელი ფორმა ყოფილა **“ბერია”** და ამ გვარის ძირი სოფელი **“საბერიო”** ყოფილა გალის რაიონში.

ამ მოსაზრებას ანგარიშგასაწევს ხდის ის გარემოება, რომ სამხრეთ საქართველოში ბერიძეებს დღესაც **“ეგრისელაანთ (**მეგრელ) **ბერიძეებად”** მოიხსენიებენ.

ამაში მოულოდნელი არაფერია, ვინაიდან საქართველოში ლაზებს, ფაქტობრივად, ყოველთვის მეგრელებად აღიქვამდნენ...

...ეს კიდევ ერთხელ მეტყველებს, რომ ლაზური გვარი ერთ-ერთი უძველესია საქართველოში, ვინაიდან აშკარაა, ლაზებს ამ ეპოქაში (V-VI საუკუნეები) გვარები უკვე ჰქონდათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ მეგრული გვარები ექნებოდათ....

...ამდენად, ლაზები და მეგრელები, ფაქტობრივად, ერთი და იგივე ხალხია. საქართველოში, მათ, ხშირად, საერთო სახელითაც კი მოიხსენიებდნენ, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ქართველი ხალხი მათ ყოველთვის ჭეშმარიტ მეგრელებად აღიქვამდა.

მეგრელებსა და ლაზებს შორის ისეთივე უმნიშვნელო განსხვავებაა, როგორიც სამეგრელოს სხვადასხვა რაიონში მცხოვრებ მეგრელებს შორის, დაახლოებით საკუთრივ მეგრელებსა და აფხაზეთ-სამურზაყანოს მეგრელებს შორის და ლაზებიც ისეთივე სრულუფლებიანი და ჭეშმარიტი ქართველები არიან, როგორიც ქართლელები, მეგრელები, კახელები, იმერლები, გურულები, აჭარლები, სვანები, რაჭველები, მესხები, ჯავახები, მთიულები, ხევსურები, თუშები, ფშაველები თუ მოხევეები.

ამდენად, მართალია, ლაზიკის ძირითადი ტერიტორია, თითქმის რვა საუკუნეა, მოსწყდა საქართველოს და ლაზ-ჭანების უმრავლესობა მშობლიურ ხალხს დაშორდა, მაგრამ, საბედნიეროდ, საქართველოში დღესაც ბევრია ლაზური წარმომავლობის ქართველი ცხოვრობს და არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, მათ იმერლებად მოიხსენიებენ, მეგრელებად, გურულებად, აჭარლებად თუ რაჭველებად. არც იმას აქვს მნიშვნელობა, უცვლელად დარჩათ თუ არა მათ პირვანდელი ლაზური გვარი, ისინი ყველანი ჭეშმარიტი ქართველები არიან, რაც სრულიად კანონზომიერია.

უფრო მეტიც, რომ არაფერი ვთქვათ ლაზური გვარებისა და ლაზური გვარებიდან იმერულ-მეგრულ სტილზე გადაკეთებული ლაზური გვარების მქონე ადამიანებზე, დასავლეთ საქართველოში იშვიათად ნახავთ ქართველს, რომლის გენეტიკაში ლაზური სისხლი არ ერიოს. ეს კიდევ უფრო ახლობელს და მშობლიურს ხდის სამშობლოდან ბედის უკუღმართობით მოწყვეტილ თითოეულ ლაზს.

ბუნებრივია, ამ ლაზების შთამომავლებმა, რომლებიც ლაზიკის საქართველოდან მოწყვეტის შემდეგ საქართველოში დარჩნენ, ღირსეულად მოიხადეს ვალი ერის წინაშე, იქნებოდა ეს საქართველოს გადარჩენა, თუ ქართული თვითშეგნების შენარჩუნება.

ყოველ შემთხვევაში, ლაზური დინასტია ეგრისის სამეფოს სათავეში აღმოჩნდა იმ ეპოქაში (III-IV საუკუნეები), რომელიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო დასავლეთ საქართველოს ერთიან ეგრისის სამეფოს სინამდვილეში და სწორედ, ეგრის-ლაზიკის სამეფოში მომზადდა საფუძველი უდავოდ ძლიერი ეგრის-ფხაზეთის სამეფოს ჩამოსაყალიბებლად, რომელსაც, ქართული სამეფო-სამთავროებიდან, ყველაზე რეალური შანსი ჰქონდა საქართველო გაერთიანებინა.

ანზორ შონია,
“ფაზისის” აკადემიის
ნამდვილი წევრი

გია ყრუაშვილი: რკინიგზის ნგრევა სწორედ ონოფრიშვილის დროს დაიწყო, ეზუგბაიას დროს კი მთლად განადგურდა

მოძრაობა „თავისუფალი საქართველოს“ წევრი, ყოფილი რკინიგზელი გია ყრუაშვილი თავის დროზე პრეზიდენტის გვერდით, როგორც თავად ამბობს, ტანკსაც უდგებოდა წინ. დღეს ის „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ ჩადენილ „ცოდვებზე“ საუბრობს და სკანდალურ განცხადებებს აკეთებს. საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო „საქინფორმის“ კორესპონდენტი მიმდინარე წლის 20 აპრილს საქართველოს რკინიგზის ყოფილ რევიზორს ესაუბრა და სთხოვა, კომენტარი გაეკეთებინა რამდენიმე საკითხზე.

გია ყრუაშვილი: თავის დროზე აქტიურად ჩავერთე **„ვარდების რევოლუციაში“**, ერთ-ერთი პირველი ვიყავი საქართველოს რკინიგზიდან. მატარებლის მემანქანედ ვმუშაობდი 1986 წლიდან. ზვიად ძიძიგური ეკლესიას რომ აშენებდა, მე მრევლი ვიყავი, ვგალობდი, გალობას ვასწავლიდით ამ ტაძარში. ერთხელ ზვიადმა მიშა სააკაშვილიც მოიყვანა. მის იდეებს, რასაც ის ადრე ჰპირდებოდა ხალხს, მეც ვეთანხმებოდი და ამის გამო მტრებიც კი მყავდა საქართველოს რკინიგზაზე. სულ მიშას გინებაში იყვნენ და თურმე სამართლიანადაც... ნეტავ მაშინ დამეჯერებინა მათთვის... დღეს ისინი თანამდებობებზე არიან და, ფაქტობრივად, მილიონები აქვთ მოპარული. ასეა – ყველა მიშასნაირი ხდება მის გვერდით თანამდებობაზე. ფულის გამო საქართველოს რკინიგზაც **„დაასამარეს“**.

– როგორ „დაასამარეს“ – რას გულისხმობთ? ხელისუფლება თვლის, რომ ეს მომგებიანი დარგია, ამასვე ამტკიცებს მისი ყოფილი ხელმძღვანელი დავით ონოფრიშვილი, რომელიც დღეს თითქოს ოპოზიციაშია...

– ეგ საქმე კარგად ვიცი. ბავშვი მივედი იქ და ვერავინ მასწავლის ლიანდაგსა და ვაგონს. ვიცი, რა ხდება დღეს რკინიგზაზე, რაც უნდა ილაპარაკონ ეზუგბაიამ და იმ ნარკომანმა, კომერციული დირექტორი რომ ჰყავს, ჯინჯოლია, ყოველდღე სტრიპტიზბარში რომ ზის. დღეს რკინიგზას 5 დირექტორი ჰყავს და მათგან არცერთი არ არის რკინიგზელი. სამგზავრო გადაზიდვების დირექტორი ბულია მერაბიშვილის კადრია ახალციხიდან, რომელსაც სამგზავრო გადაზიდვების არაფერი გაეგება. გადაზიდვებზე 5 მატარებელი დადის და 120 დირექტორი ჰყავთ, რომლებსაც 2000-2000 ლარი აქვთ ხელფასი. მაშინ სულ სამი ხელმძღვანელი ჰყავდათ და 160 მატარებელი დადიოდა. დღეს ყველამ თავისი საყვარელი მიიყვანა იქ. მე თანამდებობის ამბიცია არ მქონდა, თუმცა მაშინ მქონდა შანსი.

– ვინმემ შემოგთავაზათ სხვა – გაცილებით მაღალ თანამდებობაზე გადასვლა... რით იყო ეს განპირობებული?

– არავის არაფერი შემოუთავაზებია, მაგრამ არც მე მქონდა ამბიცია. მე რომ იქ ვმუშაობდი, ის საქმე ვიცოდი და მაკმაყოფილებდა. მაშინ რომ მცოდნოდა, მიშა ასეთი სულელი იყო, როგორ დავუდგებოდი გვერდში? ახლა ჩავდექი ამ ქვეყნის მშენებლობის ფერხულში. აქ ვარ და ნახონ, 5 შვილით სად ვცხოვრობ.

ერთ დღესაც დავით ონოფრიშვილი მოვიდა ჩვენთან წარმოებაში და, არ ვიცი, რა თვალით შემომხედა, დაავალა თანმხლებებს – ეს ბიჭი დეპარტამენტში წავიყვანოთ მოძრაობის რევიზორადო. დეპოდან წამოსვლა საერთოდ არ მინდოდა, მაგრამ გადმომიყვანეს. დეპარტამენტში მუშაობის პერიოდში უშიშროების ერთ-ერთმა თანამშრომელმა მიხმო კუდის შენობაში და მითხრა, რკინიგზის ერთ-ერთი მუშაკისთვის დანომრილი ფული მიმეცა. 5000 დოლარზე იყო ლაპარაკი. როგორც კი ამ ფულს გადავცემდი, დააკავებდნენ. ამაზე კი მე ვერ წავიდოდი. სხვათაშორის, დღეს ეს კაცი დიდ თანამდებობაზეა.

უარი რომ ვთქვი, მესამე დღეს დამიბარა გენერალურმა ინსპექციამ – განცხადება დაწერე და წადიო.

ონოფრიშვილს შევუთვალე – ხუთი შვილი მყავს და სახლში ნუ გამიშვებ, თუ აქ არ გჭირდები, ისევ დეპოში გადამიყვანე-მეთქი. შეხვედრაც არ მოინდომა ჩემთან.

რკინიგზის გაუბედურება სწორედ ონოფრიშვილის დროს დაიწყო. ხუთი წელია, რაც ქუჩაში დამტოვეს. სააკაშვილისთვის ტანკს ვუდგებოდი და რა დანაშაული მიმიძღვის მის წინაშე, ვერ ვხვდები.

– ბატონო გია, მომიტევეთ თამამი კითხვისთვის – აქამდე რატომ არაფერი თქვით?

– როცა გავიგე, რომ ფინანსური პოლიცია შევიდა რკინიგზაზე, მალულად კი არა, პირდაპირ მივედი ფინანსურ პოლიციაში და ვუთხარი, რომ ვითანამშრომლებდი მათთან და ერთი ენახათ, როგორი წესიერი კაცი იყო ონოფრიშვილი. სწორედ მაშინ აღმოუჩინეს მას უამრავი დარღვევა. რევიზორი თენგიზ წიკლაური, რომელიც შეუშვეს, სააკაშვილის კარის მეზობელი იყო. კეზერაშვილმა სწორედ იმიტომ გაგზავნა, რომ ყველაფერი ამოექექა. ონოფრიშვილი ჟვანიას კადრი იყო და კეზერაშვილს გულზე არ ეხატა. ამ საქმისთვის წიკლაური გამოიყენეს, დააწერინეს მილიონიანი აქტები. ონოფრიშვილს დაუზუსტეს მოპარული თანხების ოდენობა, დააბრუნებინეს და გაუშვეს.

საქართველოს რკინიგზაში მერე ირაკლი ეზუგბაია მიიყვანეს, კეზერაშვილის კადრი, რომლის **„წყალობითაც“** საერთოდ დაიღუპა რკინიგზა.

– ამბობთ, რომ ფინანსურ პოლიციასთან თანამშრომლობდით. კერძოდ, რას აკეთებდით, რით გამოიხატებოდა თქვენი თანამშრომლობა?

– ტარიფებზე, ტვირთებზე ვფლობდი ინფორმაციებს, ძველ რკინიგზელებთან მქონდა ურთიერთობები და მათთან ვაკავშირებდი. ეზუგბაიას მოსვლის შემდეგ რევიზორი წიკლაურიც მოიშორეს თავიდან. სამსახურიდან გაათავისუფლეს ყველა, ვინც აქტებს წერდა. ეს საქმე შეაჩერეს და 25 უზარმაზარი აქტი ფინანსურ პოლიციაში თაროზე შემოდეს. ეს მიშამაც მშვენივრად იცის.

– გმადლობთ კითხვებზე გულღია პასუხებისთვის!

ესაუბრა სოფო ყარალაშვილი
საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო „საქინფორმი“

სააკაშვილი სამხედრო აღლუმს ქუთაისში ჩაატარებს

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მომავალი წლის 26 მაისს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ტრადიციული სამხედრო აღლუმის ჩატარებას ქუთაისში გეგმავს. როგორც გაზეთი **„ვზგლიადი“** იუწყება, ამის შესახებ ინფორმაცია ქართული პოლიტიკური წრეებიდან გავრცელდა. როგორც ცნობილია, მომავალი წლიდან საქართველოს პარლამენტიც სწორედ ქუთაისში განაგრძობს მუშაობას. ოპოზიცია ირწმუნება, რომ ეს სააკაშვილისთვის თბილისიდან გაქცევაა, რადგან დედაქალაქში იგი დიდი პოპულარობით ვერ სარგებლობს. გარდა ამისა, სააკაშვილი სახელისუფლებო სტრუქტურების დასავლეთ საქართველოში გადატანით, რასაც, ალბათ, მოჰყვება ქუთაისის გამოცხადება საქართველოს დედაქალაქად, ახორციელებს მისი წინაპარი სომხების მრავალსაუკუნოვან ოცნებად, რომ შემდეგ მთელი აღმოსავლეთ საქართველო გამოცხადდეს სომხეთის **“ისტორიულად განუყოფელ”** ნაწილად. სწორედ ამ წინადადებას წააკლა ინდაურივით საქართველოს დიდმა პატრიოტმა ლავრენტი ბერიამ სულაძაღლებული სომხეთის ცეკას პირველი მდივანი ხანჯიანი, რომელიც იმის ცდაში იყო, რომ საქართველოს დედაქალაქად ქუთაისი გამოეცხადებინათ.

ერთი ბერია ალბათ ამათაც დასჭირდებათ, თორემ, მართლაც ბოროტი ძალა ეჯაჯგურება საქართველოს მათი სატანისეული სახით!

გიგა ბოკერია: საქართველო-ნატოს კავშირებზე მოსკოვის გაღიზიანება ბუნებრივია

მოსკოვის **„გაღიზიანება“** საქართველოს ნატოსთან ახლო კავშირებზე **„ბუნებრივია“**, რადგან, **„სამწუხაროდ“**, ჯერ კიდევ არ შეცვლილა **„მოსკოვის პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში ფუნდამენტური მიდგომა საქართველოს, ისევე, როგორც მეზობლების, მათი სუვერენიტეტისა და თავისუფლების მიმართ“**, – განაცხადა ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანმა გიგა ბოკერიამ.

„სანამ ეს, სამწუხაროდ, ასეა, ყველა ნაბიჯი, რომელსაც საქართველო გადადგამს იმ მიმართულებით, რომ იყოს უფრო დაახლოებული ევროატლანტიკურ სივრცესთან, იყოს უფრო დაცული, გამოიწვევს გაღიზიანებას, – განაცხადა მან და დასძინა, – **ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ეს დამოკიდებულება შეიცვლება“.**

მისი თქმით, მოსკოვი „ჯერჯერობით“ ინარჩუნებს „აბსოლუტურად არალეგიტიმურ პოზიციას“ ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებით აღებული ვალდებულებების, მათ შორის, საქართველოს „დეოკუპაციის“ მიმართ, რის „დემონსტრირებაც მოახდინეს ამ ბოლო განცხადებით“.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ 19 აპრილს განაცხადა, რომ ნატო-საქართველოს კომისიის ერთობლივი განცხადება შეიცავს **„ტენდენციური, რეალობიდან მოწყვეტილი ფორმულირებების ჩვეულ კრებულს“** აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ირგვლივ არსებულ სიტუაციაზე. კონკრეტულად კი, რუსეთის საგარეო უწყება აკრიტიკებს განცხადების იმ ნაწილს, რომელიც მოუწოდებს მოსკოვს, შეასრულოს 2008 წლის 12 აგვისტოსა და 8 სექტემბრის შეთანხმებებით აღებული ვალდებულებები. სამინისტრო აღნიშნავს, რომ მოსკოვმა შეასრულა ამ შეთანხმებების **„ერთადერთი სადავო საკითხი“**, როცა გასულ ოქტომბერში სოფელ პერევიდან ომის შემდეგ განთავსებული საგუშაგო გაიყვანა.

როგორც ჩანს, ჩვენს **“პოლიტიკოსებს”** ბავშვობაში არ ასწავლიდნენ, რომ ცეცხლთან თამაში უაღრესად სახიფათო საქმეა და იგი სეიძლება უაღრესად სავალალო შედეგებით დამთავრდეს. ნუთუ ჩვენი პოლიტელიტისათვის ჭკუის სასწავლებელი არ უნდა იყოს ის, როცა 2008 წლის აგვისტოში სააკაშვილის მიერ პროვოკაციულად წამოწყებული ომის პირველივე დღეებში ნაციონალები კისრისტეხით რომ გარბოდნენ აზერბაიჯანისაკენ.. მაშინ რუსეთმა გულმოწყალება გამოიჩინა და ბოლომდე არ **“გადაგვიარა”**, რაც აისახა კიდეც ჩვენს **“ბედნიერ”** ცხოვრებაზე. ახლა, როცა **“ნაციონალები”** გრძნობენ ხალხის ზიზღსა და უნდობლობას მათდამი, კვლავ შეეცდებიან არჩევნების გაყალბებას, და თუე ს იშკილი არ გაუვათ, მაშინ აუცილებლად წამოიწყებენ კიდევ ერთ პროვოკაციას, რაც საქართველოს დამატებითი ტერიტორიის დაკარგვად დაუჯდება, სააკაშვილი და მისი თანამოაზრეები კი უკვე საბოლოოდ დასტოვებენ საქართველოს ზერბაიჯანის თუ სხვა მეზობელი ქვეყნის გავლით და დევნილის სტატუსით ბედნიერად იცხოვრებენ რომელიმე კუნძულზე საქართველოში ძარცვითა და ხალხის ყვლეფით მოვერაგებული მილიარდებით.

ასე რომ, ჩვენ ვიკითხოთ, თორემ...

მალე ქართველებს საკუთარ მიწაზე ხიზნობა მოელით

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო სასოფლო-სამეურნეო მიწების უთავბოლოდ გაყიდვას განაგრძობს. აუქციონზე გამოტანილია 3 692 235 კვ მიწა. ამ დროისთვის სამინისტრომ, საერთო ჯამში, 3 556 225 ლარად უკვე გაყიდა 65 587 201 კვ მიწა.

ასე რომ, საქართველო ქართველებისათვის **“შაგრენის ტყავივით”** ილევა. სომეხ სააკაშვილს რომ საქართველოს არც ტერიტორიისა და არც მოსახლეობის ყოფა არად უღირს, ამას მისი საქმიანობაც ადასტურებს, მაგრამ რატომ ჰყიდიან საქართველოს ასეთი მონდომებით სხვა ქართველები, ვერ გამიგია. თუმცა, როგორც შეიძლება ქართველად მივიჩნიო ის ქართულ გვარს ამოფარებული, პიროვნებად წოდებული გაურკვეველი **“მდედრადშობილი”**, რომელიც ქართულად სიტყვას სიტყვაზე ვერ აბამს და დამღლელად ჯლოყინებს გულისამრევ სატელევიზიო შოუებში.

მას შემდეგ, რაც გაერომ სურსათის მოსალოდნელი დეფიციტის შესახებ კვლევები გამოაქვეყნა, სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეებმა მიწების შეძენა განვითარებად ქვეყნებში აქტიურად დაიწყეს. საქართველოშიც გამოჩნდნენ ინდოელები, ჩინელები, ებრაელები, ბულგარელები, რომლებმაც კახეთსა და შიდა ქართლში ათასობით ჰექტარი მიწა უკვე იყიდეს. ეს პროცესი კვლავაც ინტენსიურად გრძელდება და მალე ქართველ კაცს, თავისუფალი მიწის ნაკვეთის დეფიციტის გამო, საკუთარ სამშობლოში ცალ ფეხზე მოუწევს მეზობლის სახლამდე გადაადგილება.

ქართველი ექსპერტების განცხადებით, სასოფლო-სამეურნეო მიწების უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის გადაცემა დიდი პოლიტიკური შეცდომაა, მაგრამ ჩვენი ხელისუფლება შეცდომებს როდი დაეძებს, მისთვის მთავარია, ბიუჯეტი შეივსოს და მერე, სიღარიბის ზღვარს დაბლა მყოფ მოსახლეობას ქვეყნის მოჩვენებით ეკონომიკურ ზრდასა და მომავლის **“ნათელ”** პერსპექტივაზე ესაუბროს.

მთავრობა მიწას ისე ყიდის, რომ მათი აღრიცხვა არ ჩატარებულა. შესაბამისად, მიწების ფასიც არარეალურია. საქართველოს ზოგიერთ რეგიონში კვადრატული მეტრი მიწა უცხოელებზე, ძირითადად, სიმბოლურ ფასად იყიდება. ხელისუფლება ქართველი გლეხების მძიმე სოციალური მდგომარეობით სარგებლობს და მიწებს უცხოელებზე ყიდის. და ეს მაშინ, როდესაც ქართველებს მიწის იჯარით დამუშავების შესაძლებლობაც კი აღარ აქვთ მას შემდეგ, რაც სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარით გაცემა აიკრძალა, ხოლო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ჩატარება საწვავისა და შესაწამლი პრეპარატების სიძვირის გამო, პრაქტიკულად შეუძლებელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულბაათ რცხილაძე: საკაშვილის საქართველოში დაბრუნება არავის მოუნდება

აპრილის ბოლოს ვლადიკავკაზში დიდი სამამულო ომისადმი მიძღვნილი კონფერენცია გაიმართა, რომელსაც, კავკასიის რეგიონის წარმომადგენლებთან ერთად, აფხაზი და ოსი დელეგატებიც ესწრებოდნენ. შეხვედრაზე ქართველებიც იმყოფებოდნენ. რა იყო აღნიშნული შეხვედრის მიზანი და როგორია ეთნიკური ოსებისა და აფხაზების დამოკიდებულება ქართველებისადმი, საკუთარ შთაბეჭდილებებს ევრაზიის ინსტიტუტის დირექტორი, პოლიტოლოგი გულბაათ რცხილაძე გვიზიარებს.

– ბატონო გულბაათ, რა იყო ვლადიკავკაზში გამართული შეხვედრის მიზანი?

– აღნიშნული ღონისძიება, პირობითი სახელწოდებით **"დიდი სამამულო ომი და მისი მიმდინარეობა კავკასიაში, გამარჯვება, რომელიც მოპოვებულია ერთიანობით"** შარშანაც გაიმართა ტუაფსეში, წელს კი უკვე მეორედ ჩატარდა და ამჯერად ჩვენი მასპინძელი ვლადიკავკაზი იყო. კონფერენციაში, რომლის ორგანიზატორიც რუსეთის ხელისუფლება იყო, მონაწილეობდნენ სხვადასხვა ქვეყნის ისტორიკოსები, პოლიტოლოგები, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, ვეტერანები. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენლები, რაც აღნიშნული ღონისძიების უდავოდ მაღალი სტატუსის მანიშნებელია. ქართველებთან და რუსებთან ერთად, შეხვედრაზე იმყოფებოდნენ აფხაზეთის, ოსეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის წარმომადგენლები. საუბრის თემა და შეხვედრის მიზანი იყო სამამულო ომში კავკასიელი ხალხების წვლილი. თუმცა ეს ხალხები, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, სამწუხაროდ, ერთმანეთს დაუპირისპირდნენ და ვლადიკავკაზში შეხვედრის მიზანი სწორედ მოძმე კავკასიელი ხალხების დაახლოება იყო, რათა მათ კვლავ გამონახონ საერთო ენა. ვინაიდან იყო დრო, როდესაც ჩვენი მამები და პაპები საერთო მტრის წინააღმდეგ ერთად იბრძოდნენ. ეს შეხვედრა გამჭვირვალეა და მისი კარი ყველასთვის ღიაა. თუმცა აქ მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ჩვენი საზოგადოება შეშინებული, დაკომპლექსებული და გამოთაყვანებულია ანტირუსული პროპაგანდით და მხოლოდ რამდენიმე ორგანიზაცია, როგორიცაა, მაგალითად, **"ისტორიული მემკვიდრეობა"**, თუ ბედავს ამგვარ შეხვედრებში მონაწილეობას. უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელი გახლდათ ბატონი ალექსანდრე ჭაჭია, რომელიც, როგორც ტუაფსეში, ისე ვლადიკავკაზში შესანიშნავი სიტყვით წარსდგა დამსწრე საზოგადოების წინაშე და ვფიქრობ, რომ ასეთი სიტყვებით გამოსვლა გაცილებით მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, ვიდრე გამუდმებით იმის ძახილი – რუსებო, თქვენ ოკუპანტები ხართო. თუ დიალოგი არ დაიწყე საკითხით, რომელიც ნაკლებ კონფლიქტს იწვევს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ნებისმიერი მოლაპარაკება ჩიხში მოექცევა. ბატონმა ალექსანდრე ჭაჭიამ შეხვედრაზე რუსებს შეახსენა, რომ, როდესაც ომში გამარჯვების დღეს ზეიმობენ, არ უნდა დაავიწყდეთ, რომ სამხედრო ხელმძღვანელის გარეშე ომს ვერ მოიგებ, და ის ადამიანი, რომელმაც ხალხს გამარჯვება მოუტანა, იყო იოსებ სტალინი. აღსანიშნავია, რომ, როდესაც ბატონი ალექსანდრე თავის გამოსვლას ამთავრებს, რიგი დგება ხოლმე – მიდიან და მის მიმართ საოცარ სიმპათიას გამოხატავენ. ასევე, სიმპათიით სარგებლობენ საქართველოს წარმომადგენლები, თავად რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა მითხრა, თქვენი გამოსვლები ყოველთვის განსაკუთრებულ ინტერესსა და ყურადღებას იმსახურებსო. აღსანიშნავია ისიც, რომ, მართალია, ბატონი ალექსანდრეს გამოსვლა კრიტიკული იყო რუსეთის მიმართ, მაგრამ, როდესაც რუსებს მეგობრის პოზიციიდან ვაკრიტიკებთ, ამ კრიტიკას ისინი იღებენ და გვისმენენ.

კონფერენციის პარალელურად, ქართული დელეგაცია, ბატონი ალექსანდრეს ინიციატივით, ვლადიკავკაზში მოქმედ ქართულ სკოლასაც ესტუმრა, რომელსაც დიდი ისტორია აქვს. თავის დროზე ამ სკოლის დაარსებას დიმიტრი ყიფიანი და კოსტა ხეთაგუროვი ედგნენ სათავეში. იქ სწავლობენ ქართველი ბავშვები, რომლებმაც ლექსები წაგვიკითხეს. ეს ბავშვები შესანიშნავი ქართულით მეტყველებენ და მე ბედნიერი ვიქნებოდი, თბილისშიც ასეთი ქართულით რომ მეტყველებდნენ ქართველი ბავშვები. ძალიან თბილად დაგვხვდნენ... რუსი ბავშვებიც ვნახე, რომლებიც ქართულ სკოლაში დადიოდნენ. იქ მცხოვრებ ქართველებსა და ოსებს ძალიან კარგი ურთიერთობა აქვთ. თუმცა არის ერთი პრობლემა: სკოლის შესასვლელში ადრე იყო სამლოცველო, რომელიც დროთა განმავლობაში დაინგრა და ამის აღდგენა დღემდე ვერ მოხერხდა. სავალალოა, რომ ქართულ მხარეს არ აინტერესებს ამ ეკლესიის აღდგენა, სადაც, სხვათა შორის, ჩვენი პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე მოინათლა.

ჩვენ მიგვაჩვიეს აზრს, რომ რუსეთი მხოლოდ **"დაყავი და იბატონეს"** პრინციპით მოქმედებს, რათა წააჩხუბოს ერთმანეთს კავკასიის ხალხები და ამის ფონზე ის მედიატორად და მომრიგებლად გამოჩნდეს, მაგრამ თუნდაც აღნიშნული შეხვედრები ადასტურებს, რომ რუსეთის ხელისუფლება მზადაა, კავკასიის ხალხებს შორის მეგობრობასა და ურთიერთგაგებას შეუწყოს ხელი.

– როდესაც "ერთიან კავკასიურ სახლზე" საუბრობენ, ბუნებრივია, გაერთიანება გამოიწვევს კავკასიის რეგიონის გაძლიერებას, რაც, მოგეხსენებათ, არც ერთ დიდ სახელმწიფოს არ აწყობს. როგორ ფიქრობთ, რა დაინტერესება აქვს რუსეთის ხელისუფლებას, როდესაც კავკასიის ხალხების დაახლოებას ცდილობს?

– მთავარია, როგორ **განიხილავთ "ერთიანი კავკასიური სახლის იდეას"**. გვინდა თუ არა ჩვენ, რუსეთი უზარმაზარი სახელმწიფოა, მაგრამ კავკასიური ქვეყანაცაა. რუსეთს ძვირი უჯდება თუნდაც ამ ქვეყნების სისუსტე, ვინაიდან ის უზარმაზარ ფინანსებს ხარჯავს ამ ქვეყნებზე და, როდესაც ამგვარი გაერთიანება ხდება არა ანტირუსულ საწყისებზე, არამედ – რუსეთის მონაწილეობით, ეს რუსეთისთვისაც მისაღებია.

– შეხვედრას ესწრებოდა დელეგაცია ე.წ. სამხრეთ ოსეთიდანაც, თქვენ ესაუბრეთ მათ, როგორ გესახებათ ქართულ-ოსური ურთიერთობების მოგვარება და თუნდაც აღნიშნულ შეხვედრაზე, თუ დაისახა რამე კონკრეტული სამოქმედო გეგმა?

– შეხვედრის ფორმატი საკითხების პოლიტიკურ განხილვას არ ითვალისწინებდა. ჩვენ არ ვართ პოლიტიკოსები და არ გვაქვს მანდატი, რათა მოლაპარაკებები ვაწარმოოთ ქართულ-ოსურ ურთიერთობებსა თუ პოლიტიკურ სტატუსზე. თუმცა, თუ დღევანდელ ვითარებას გადავხედავთ, აგვისტოს ომმა ბევრი რამ გააფუჭა და შორეული მომავლის პერსპექტივად აქცია. ახლა მთავარია ნდობის აღდგენა. სანამ მოლაპარაკების მაგიდასთან დაჯდები და სტატუსზე და პოლიტიკურ თემებზე დაიწყებ ლაპარაკს, უნდა არსებობდეს გარკვეული ნდობა ხალხებს შორის. შეხვედრის შემდეგ, საკუთარი ინიციატივით მოვიდა ჩვენთან **"სამხრეთელი ოსების"** დელეგაციის წარმომადგენელი, ცხინვალის პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე კოკოევი და გაგვეცნო. მართალია, მათ თავი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად მიაჩნიათ და რუსეთის აღიარებამ ფრთები შეასხათ, მაგრამ ჩვენ ამას არასდროს ვეთანხმებოდით და არც დავეთანხმებით, თუმცა ამაზე ჩხუბის გამართვა არ შეიძლება. ისინი აღგვიქვამენ მეზობლებად და არ სძულთ ქართველები, მიუხედავად იმისა, რომ კარგად იციან, 2008 წლის აგვისტოს ომი საქართველოს ხელისუფლებამ დაიწყო.

– თუმცა საქართველოს ხელისუფლება საპირისპიროს აცხადებს...

– ხელისუფლება რას ამბობს, ერთია, მაგრამ ოსებმა ხომ იციან სიმართლე?! ამის მიუხედავად, მე ქართველი ხალხისადმი, ჩვენი დელეგაციისადმი მხოლოდ დადებითი განწყობა ვიგრძენი. ერთი კია, პოლიტიკური დიალოგი შესაძლებელი რომ გახდეს ოსებთან და აფხაზებთან, ამისთვის ჯერ რუსეთთან დიალოგია საჭირო. გათვალისწინებული უნდა იყოს რუსეთის ფაქტორი. პირველ რიგში, აგრესიულად არ უნდა ვიყოთ განწყობილი და რუსების ლანძღვა-გინებითა და იმის მტკიცებით, რომ მართლები ჩვენ ვართ, ვერაფერს მივაღწევთ. ასევე, არ არის საჭირო მოძველებული და პრიმიტიული რიტორიკა – რომ გვინდა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, რადგან, ბუნებრივია, ეს არ ხიბლავს არც ოსს და არც აფხაზს, რადგან ეს მათთვის ომთან და ჩაგვრასთან ასოცირდება.

– მაგრამ ნებისმიერი მოლაპარაკების დროს, ჩვენი მიზანი ხომ სწორედ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა უნდა იყოს?

– რას ნიშნავს ტერიტორიული მთლიანობა? ის, რომ თავისუფლად გადაადგილება შეგვეძლოს აღნიშნულ ტერიტორიაზე, თუ იქ რომ ჩავალთ, ოსი მოვიდეს და დაგვიჩოქოს? ჩვენს ხელისუფლებას ასე ესმის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, როგორც, მაგალითად, აჭარაშია. ჰამლეტ ჭიპაშვილმა თქვა ამას წინათ, აჭარაში თხების ფერმაში დირექტორს ვერ ნიშნავდნენ, თბილისმა უნდა გადაწყვიტოსო. ასეთი საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნება არ მოუნდებათ და არც უნდა დაბრუნდნენ. სააკაშვილის საქართველოში დაბრუნება არავის მოუნდება. ჯერ ჩვენ ქვეყნის შიგნით უნდა გამოვასწოროთ სიტუაცია. როგორც ჩანს, საქართველოს ხელისუფლებას **"გოიმებად"** მიაჩნია ოსები და აფხაზები, ჰგონია, რომ მათ შადრევნებითა და განათებული ქუჩებით მოხიბლავს. მინდა, ერთ მნიშვნელოვან მომენტზეც ვთქვა ორიოდე სიტყვა, რამაც ჩემი ყურადღება მიიქცია. გზა გუდაურამდე ძალიან კარგია, რათა ბატონი მიხეილ სააკაშვილი იოლად ავიდეს და თხილამურებზე ისრიალოს, მაგრამ რა ხდება გუდაურს იქით, როგორც ჩანს, ჩვენს ხელისუფლებაში ეს არავის აინტერესებს. გუდაური-კობის მონაკვეთი საშინელ მდგომარეობაშია და სტეფანწმიდის რაიონი, ფაქტობრივად, მოწყვეტილია საქართველოს.

– თქვენ ამბობთ, რომ ქართულ-ოსურ ან ქართულ-აფხაზურ ურთიერთობამდე უნდა მოგვარდეს ურთიერთობები რუსეთთან, მაგრამ როგორ გესახებათ ამ ურთიერთობის მოგვარება იმ პირობებში, როდესაც რუსეთის ხელისუფლება აცხადებს – სანამ მიხეილ სააკაშვილი საქართველოს პრეზიდენტი იქნება, მას არ დაელაპარაკება და, თავის მხრივ, საქართველოს ხელისუფლებაც აცხადებს, რომ ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნებამდე რუსებთან საუბარს აზრი არ აქვს. როგორ წარმოგიდგენიათ ასეთ რთულ ვითარებაში ურთიერთობის მოგვარება?

– ამ ეტაპზე ქართულ-რუსული ურთიერთობის აღდგენა არ მესახება შესაძლებლად. ჯერჯერობით მხოლოდ ისაა შესაძლებელი, რასაც ჩვენ და ჩვენი მსგავსი საზოგადოებრივი ორგანიზაციები ვაკეთებთ და რომლებსაც თავი გვაქვს გადადებული. სამწუხაროდ, ჩვენმა ხელისუფლებამ იმის მაგივრად, რომ მადლობა გვითხრას, პირიქით, მოღალატეების იარლიყს გვაკერებენ. სიმართლე გითხრათ, სულ არ მეხალისება ისეთ ღონისძიებაში მონაწილეობა, სადაც ოსებთან და აფხაზებთან თანაბარი სტატუსით გვიწევს საუბარი და ამის შესახებ რუსებსაც ვუთხარი, მაგრამ შეხვედრაზე ვლადიკავკაზში მაინც წავედი და კიდევ წავალ, რადგან ვატყობ, რომ საქართველოს ეს სჭირდება. ეს ყველაფერი საქართველოს იმიჯს უკეთესობისკენ ცვლის და ამაში თავად რუსები გვეხმარებიან. აღსანიშნავია, რომ ჩვენი დელეგაცია ყოველთვის თვითკრიტიკულია. ჩვენ ყოველთვის ღიად ვაკრიტიკებთ საქართველოს ხელისუფლებას და ვამბობთ, რომ ხელისუფლებამ ბევრი რამ გააფუჭა, რასაც ერის ღალატად გვითვლიან. არადა, ეს ხელისუფლება რომ ნორმალურად აზროვნებდეს, მადლობას გვეტყოდა. ჩვენ საქართველოს თავიდან ვარიდებთ ყველანაირ ბრალდებას და შეცდომებს ვაწერთ მხოლოდ ხელისუფლებას. ამასთან, თვითკრიტიკულობის ფონზე, ჩვენი კრიტიკა რუსეთის მისამართით მწვავედ აღარ აღიქმება, ასეთ კრიტიკას ყურს უგდებენ და პატივს სცემენ.

– მაგრამ ხელისუფლება ხომ ქვეყნის სახეა?

– სამაგიეროდ, ხელისუფლება წარმავალია და არა – მუდმივი (თუმცა სააკაშვილი ცდილობს, პოლიტიკაში ამა თუ იმ ფორმით მუდმივად დარჩეს და კონსტიტუცია თავისი ხუშტურების მიხედვით ცვალოს). მუდმივი საქართველოს ინტერესებია. თუ ჩვენ მივაღწევთ საქართველოს ხელისუფლების დემოკრატიული მეთოდებით შეცვლას, მაშინ საქართველოს თუნდაც ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა გაცილებით ადვილი იქნება. მინდა ასევე აღვნიშნო, რომ ჩვენთანაც იყო გავრცელებული აზრი, თითქოს რუსეთი იშლება, რაც აბსურდია. თქვენ რომ გენახათ, როგორ ხვდებოდნენ ამ დელეგაციების წარმომადგენლები რუსებს, საბჭოთა კავშირი გაგახსენდებოდათ. მაგრამ, საბჭოთა კავშირისგან განსხვავებით, გულწრფელობა ამ ემოციურ დახვედრაში გაცილებით მეტი იყო.

– ისინი დელეგაციების წარმომადგენლები იყვნენ, მაგრამ რა განწყობაა ხალხში, მათაც იგივე სურვილი აქვთ და მოსწონთ რუსეთის შემადგენლობაში ყოფნა?

– ამ დელეგაციების წევრები მხოლოდ ოფიციალური პირები არ არიან, იქ არიან ვეტერანები, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, ისტორიკოსები და ა.შ. ბევრ ისეთ ადამიანსაც შევხვდი, ვინც კრიტიკულადაა რუსეთის ხელისუფლებისადმი განწყობილი, მაგრამ არც კი განიხილება, რომ რომელიმე რესპუბლიკა რუსეთის შემადგენლობიდან გავიდეს. ჯერ ერთი, რუსეთის დოტაციებზე არიან დამოკიდებული და რუსეთის გარეშე ვერ იარსებებენ. დამოუკიდებლად რა უნდა აკეთონ ჩერქეზებმა და ჩრდილო ოსებმა? დასავლეთის მოწყალებას ელოდონ? რომელიც ვნახეთ, რაც არის. ეს ხალხი არ არის უგუნური, მათ თვალწინ აქვთ ჩეჩნეთის მაგალითი, შეხედეს, რომ საბჭოთა კავშირის დაშლამ სისხლისღვრისა და გაჭირვების მეტი არაფერი მოუტანა ამ ქვეყნებს, თუნდაც საქართველოს, სომხეთს, აზერბაიჯანს. ამიტომ მათ არ სურთ სხვისი შეცდომების გამეორება.

– მაგრამ ამ ქვეყნებს მოუტანა ნანატრი თავისუფლება.

– ეს თავისუფლებაც ფილოსოფიური საკითხია. ადამიანი შეიძლება ციხეში უფრო თავისუფალი იყოს, ვიდრე – ოქროს სასახლეში. შენ გაეროს წევრი ხარ თუ რუსეთის შემადგენლობაში იმყოფები, ამით შენი თავისუფლება არ განისაზღვრება. ეს უნდა გავაგებინოთ აფხაზებსაც და ოსებსაც. უნდა ავუხსნათ, რომ მათ თავისუფლებას არ ვეხებით იმით, რომ ერთიან ქართულ სახელმწიფოებრივ სივრცეში იცხოვრონ, ოღონდ გარანტად რუსეთი თუ არ დაუდგა, არც აფხაზები და არც ოსები ჩვენთან ურთიერთობას არ მოისურვებენ.

– დაბოლოს, რას გვეტყვით ჩრდილოეთ ოსეთში ქართველების მდგომარეობის შესახებ, თქვენ თავად ახსენეთ ვლადიკავკაზის ქართული სკოლა, როგორ ცხოვრობენ ქართველები იქ? ხომ არ ავიწროებენ მათ?

– მართალია, აგვისტოს ომის შემდეგ ბევრმა ქართველმა გვარი შეიცვალა და რუსული აიღო, მაგრამ ასევე ბევრი ადამიანი ინარჩუნებს თავის ქართველობას. მათ არავინ ავიწროებს. ადგილობრივ ქართველებს შევხვდი და მითხრეს, რომ აგვისტოს ომის დროს მათთან სახლებში მოდიოდნენ რუსეთის უშიშროების – **"ფეესბეს"** წარმომადგენლები და აფრთხილებდნენ, თუკი ვინმე ეცდებოდა მათ შევიწროებას, დაერეკათ. უშიშროების თანამშრომლები თავიანთ ტელეფონის ნომრებს უტოვებდნენ ქართველებს. მაგრამ მათი დახმარება საჭირო არ აღმოჩნდა. ქართველები ოსეთში ნორმალურად ცხოვრობენ. ვლადიკავკაზში მანქანით ჩავედი, იქაურმა ქართველმა მძღოლმა ჩამიყვანა, რომელსაც სამუშაო აქვს და დამატებით შემოსავალს ასე, ტაქსით, იღებს. ეს კაცი საქართველოში დედას და ორ უმუშევარ ძმას არჩენს, პლუს ამას, შვილი გამოუშვა სასწავლებლად და ფიქრობს, თბილისში ბინა შეუძინოს. მას აქვს ახალი ავტომანქანა **"ვოლგა"**, რომელშიც ათი ათასი დოლარი გადაიხადა. ყოველივე ეს იმაზე მეტყველებს, რომ რუსეთში სამუშაო პირობები გაცილებით უკეთესია, ვიდრე ჩვენთან. ჩვენს თანამემამულეებს კი ჩვენი ხელისუფლების უპასუხისმგებლობამ და სისულელეებმა საარსებო წყარო არ უნდა მოუსპოს.

ესაუბრა
შორენა ციკვარაშვილი

ჭკვიანნი მწყემსნი უმჯობეს არიან უგვანთა მეფეთა

„დემოკრატია ამერიკულად“ როგორც ქართული სულის განადგურების გლობალისტური გეგმა

კაცობრიობასა და მის ხალხებს თავიანთი ისტორიის განმავლობაში არაერთი მმართველი ჰყოლიათ. ქვეყნისთვის გაწეული დვაწლისა და საქციელის მიხედვით, მმართველებსა და მეფეებს ხალხი მეტსახელებსაც არქმევდა. ვინც, საბედნიეროდ, ე.წ. რეფორმირებულ განათლებას ავცდით, ასეთი მმართველებისა და მეფეების მეტსახელებიც გვახსოვს. ასე შემორჩა საქართველოს ისტორიას დავით აღმაშენებლის, დემეტრე თავდადებულის, ქეთევან წამებულის, ვახტანგ გორგასლისა და სხვათა სახელები. გვახსოვს ივანე მრისხანეს, პეტრე დიდის, რიჩარდ ლომგულის, პიპინ მოკლეს, ტანმოკლე ფაშასა და სხვათა სახელებიც. უნდა აღინიშნოს, რომ არცერთ ქვეყანასა და **ეპოქაში „მავნებლისა და სულელის სახელშერქმეული“** მმართველები არ ჰყოლიათ. ალბათ ასეთებიც არსებობდნენ, მაგრამ ისტორია და ხალხი მათ სახელებს შლიდა. ქართველი ერის ისტორია მრავალსაუკუნოვან პერიოდს რომ ითვლის, ამით ახალს არაფერს განვაცხადებ. ყველა ქვეყნისა და საქართველოს ისტორიაც, მეტწილად, მამაცი და სამშობლოს შეწირული ადამიანების სიცოცხლის ფასად იწერებოდა. ერის ისტორიას ენა, ტრადიცია და კულტურა და, პირველ რიგში, იდენტობაც განსაზღვრავდა. ქართველი და მართლმადიდებელი ოდითგან განუყოფელი ცნებები იყო. ქართველი ვარო – ავტომატურად მართლმადიდებლად ყოფნასაც გულისხმობდა. ისტორიის, ეპოქებისა და პოლიტიკური ფორმაციების ცვლილებასთან ერთად, იცვლებოდა საზოგადოებები. მიუხედავად ამისა, დიდი ისტორიისა და ტრადიციის ქვეყნებში არსად შეცვლილა ზოგადსაკაცობრიო ფასეულობები. ეს ხდებოდა გარკვეულ დრომდე... მანამ, სანამ, ერთ მშვენიერ დღეს, 70-იან წლებში, სადღაც ოკეანის გაღმა, **„ბიძია სემებმა და ჯონებმა“, „ბუეზინსკებმა, მალთუსებმა და სოროსებმა“** კაცობრიობისთვის ფასეულობების შეცვლა არ დაგეგმეს. გეგმა კაცობრიობის ხალხებზე ბატონობას, ხელოვნურად შექმნილი ეთნოკონფლიქტებით, ომებით, მის **„ოქროს მილიარდამდე“** დაყვანას და დედამიწაზე არსებული ბუნებრივი რესურსების ხელში ჩაგდებას ითვალისწინებდა. ამას კი **„დიდებული სახელი“ – „გლობალიზაცია“** დაარქვეს. მისი ზოგადსაკაცობრიო ხასიათიც ახალი ტექნოლოგიების დანერგვითა და პროგრესით აიხსნა.

უნდა ითქვას, რომ კოსმოსში ადამიანის გასვლის დროს ამაზე დიდი პროგრესი მეცნიერებასა და ტექნიკაში არ არსებობდა. ჩანს, მაშინ **„ამისი დრო“** ჯერ არ იყო მოსული. **„გლობუს“** – იგივე დედამიწის სფეროს სახელწოდება, დღეს **„გლობალიზაციასთანაა“** გაიგივებული. ის დედამიწაზე მცხოვრები კაცობრიობისთვის ერთი ფასეულობის, რელიგიისა და იდეოლოგიის თავსმოხვევას გულისხმობს. არცერთი იდეოლოგია არ არსებობს ფასეულობების გარეშე, მითუფრო – მართლმადიდებლური. მისთვის კი სწორედ ის ფასეულობებია მიუღებელი, რასაც ეს გლობალიზაცია ნერგავს – ჰომოსექსუალიზმი, ეროვნული ტრადიციისა და თვითმყოფადობის ნგრევა. ეს ფასეულობებიც ტრადიციულ, ეთნიკურ და რელიგიურ-კულტურულ ნიადაგზე საუკუნეების განმავლობაში აღმოცენებული ფასეულობებია. გვიან წარმოქმნილი თუ მცირე ხნის იტორიის მქონე ერებისთვის ფასეულობების შეცვლა დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს. მითუფრო, ამისთვის არსებობს მძლავრი **„მსოფლიო მედია“** და ე.წ. მსოფლიო მოდა. მეტიჩარა, **„ფეხისხმასაყოლილი“** და გაუნათლებელი ადამიანებიც ასეთ **„გამზადებულ რეცეპტებსაც სიამოვნებით ყლაპავენ“.**

ავად თუ კარგად არსებული საბჭოთა კავშირი დაიშალა. არგუმენტი კი მოძველებული პოლიტიკური სისტემა, სახელმწიფო დოტაციაზე მყოფი სხვადასხვა სფერო და ერთა თვითგამორკვევით – დამოუკიდებელი ქვეყნის სტატუსით გასვლის პრინციპი იყო. ცნობილია, რომ ამ გეგმისთვის ამერიკის შეერთებულმა შტატებმა 90 მილიარდი გამოყო, რადგან თვლიდა, რომ მსოფლიოზე ბატონობის **„უპირველესი უფლება მას ჰქონდა“** (?!). უფლისგან შექმნილი ერებიდან ერთ-ერთს სხვაზე ბატონობის პრივილეგია ვინ მიანიჭა – ეს ცალკე შეკითხვის საგანია! იმ ეტაპზე კი **„თვითგამოსარკვევ ერებში“** სხვა ქვეყნებთან ერთად საქართველოც აღმოჩნდა. **„გლობალიზაციის მესვეურებს“** საკუთარი გეგმა მოუმზადებლად არ დაუწყიათ. მანამდე არსებული რადიო **„თავისუფლებითა“** და **„სხვადასხვა ხმებით“** ადამიანებს გაუჩნდათ გრძნობა, რომ **„იქით – დასავლეთში“ „თავისუფლების განსაკუთრებული სურნელი ტრიალებდა“**. ტრიალებდა, მაგრამ, როგორც მოგვიანებით გაირკვა, ჩვენი ცნობიერებისთვის, გენეტიკისა და მართლმადიდებლობისთვისაც – არცოუ კარგი... ყველა ქვეყანა – თავისი გენეტიკური ეთნოტიპით, ცალ-ცალკე კარგად შეისწავლა დასავლეთის სხვადასხვა ინსტიტუტმა. **„თავისუფლებას მოწყურებული“** ქართველი ერიც **„გალიიდან გამოშვებული მხეცივით“** დაეწაფა დამოუკიდებლობას. გარეთ კარგად დაგეგმილი სცენარით ქართველი ხალხი **„9 აპრილის სასაკლაოს“** მსხვერპლი შეიქნა! ერიც თითქოს შეიკრა და გამთლიანდა და **„ქვეყნის ერთიანობის რღვევის გეგმამაც“** არ დააყოვნა. აქეთ ძირძველი აფხაზეთი **„აგვიფეთქეს“**, იქით – სამაჩაბლო. კონფლიქტებს მონათესავე ერების სისხლისღვრა, ეთნიკური გენოფონდის გაწყვეტა და ხანგრძლივად გაჭინული კონფლიქტები მოჰყვა.

ამერიკის არაერთი ადმინისტრაციის იდეოლოგ ბუეზინსკის გეგმას თუ გავითვალისწინებთ, საქართველო ექვს ადმინისტრაციულ ერთეულად უნდა დაყოფილიყო. ფაქტობრივად, საქართველო, როგორც სახელმწიფო ერთეული, აღარ იარსებებდა (გამოჩნდა, რომ სააკაშვილის დღევანდელი პოლიტიკა სწორედ ამ გეგმით მოქმედებს). დაკარგული მიწა-წყლის დაბრუნების მიზნით, მაშინდელმა ხელისუფლებამ **„ნატოში“** შესვლაზე აქტიური მოლაპარაკებები დაიწყო. გაჩნდა იმედი, რომ **„ნატო“** თავისი ძლევამოსილი არმიით ტერიტორიების დაბრუნებაში დაგვეხმარებოდა. ამ პროცესებში მონაწილე **„დასავლეთში განსწავლულ“** პოლიტიკოსთა უმეტესობა დღეს საქართველოს ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებშია. მოსახლეობისთვის კი არავის განუმარტავს, რომ **„ნატოში“** შესასვლელად ეს ბლოკი კონფლიქტური რეგიონების დათმობას ითხოვდა (ქართველისთვის კი, მიუხედავად ყველაფრისა, ძირძველი მიწის დათმობა ისეთივე წარმოუდგენელია, როგორც სარწმუნოებისა და გენეტიკის შეცვლა!). ფაქტობრივად, ბუეზინსკის გეგმა სისრულეში მოდიოდა. **„დასავლურ დემოკრატიაში“** იყო ის, რაც ჩვენ არ გვქონდა და გვიმალავდნენ (?). ამას კი ასეთივე მომხიბვლელი სახელი – **„დემოკრატია“** ერქვა. შემდგომში აღმოჩნდა, რომ ეს **„დასავლური დემოკრატია“** სხვა არაფერი იყო, თუ არა სექსუალური უმცირესობებისა და სხვადასხვა არატრადიციული სექტის საქართველოში შემოღწევის მცდელობა. ყველაფერს **„დასავლური ფასეულობები“** ეწოდა, რომელთა განხორციელებასაც **„ფეხდაფეხ“** მოჰყვა დიდი ფინანსებიც. ყველგან დაიწყო სხვადასხვა **„დემოკრატიული ინსტიტუტისა“** და ე.წ. არასამთავრობო სექტორის ჩამოყალიბება. ამ **„არასამთავრობო“**, ანუ არასახელისუფლებო რგოლის არსებობას კი, ერთადერთი მიზანი – გარედან დაფინანსებული თანხებით ქვეყნის შიგნით სიტუაციის არევა ევალებოდა და დღესაც ევალება. გარედან დაფინანსებულ ამ სექტორს გარეთ იმ პერიოდისთვის (ძირითადად, დასავლეთის ქვეყნებში) **„განათლებამიღებული“** პოლიტიკოსების – იგივე **„გავლენის აგენტების“** შექმნაც მოჰყვა. მათ საქართველოში **„ჩვენს საშველად“ „მეგობარი ქვეყნების“** რეკომენდაციები და დასავლეთის ინსტიტუტების მითითებები ჩამოიტანეს. მათ რიცხვში **იყო „მსოფლიო ბანკი“** და **„სავალუტო ფონდი“**, მთავარი მაკონტროლებელი კი მაშინაც და დღესაც შტატების ადმინისტრაციაა. ერთის **„მითითებით“ „ჯართი ვაწარმოეთ“** – რაც კი ქარხანა, მემორიალი და რკინის ნივთი იყო, **„მეგობარ თურქეთში“** გავზიდეთ; მეორეს საგარეო ვალს კი მას შემდეგ ემატება და ემატება ჩვენი შვილების გადასახდელი ვალები.

ყველაზე მნიშვნელოვანი – **„დასავლეთიდან მართვადი აგენტებისთვის“** საქართველოსთვის დამღუპველი იყო ძირძველი კავკასიელი ქართველის **„მაშასადამე გაევროპელება“**. ეს ქართველის **„გენეტიკური ცნობიერების“** შეცვლის პირველ ეტაპს წარმოადგენდა. შემოვიდა მანამდე არარსებული **„ბოიფრენდების“** დანერგვის, **„ქალიშვილობის ინსტიტუტის, უფროსუმცროსობის ინსტიტუტის რღვევის“**, ქალის პატივისცემის უგულებელყოფისა და ყველაფერ ტრადიციულთან დაპირისპირების ტენდენცია. ტელევიზიებთა და არასამთავრობო სექტორის მეშვეობით საქართველოსა და ტრადიციული ქვეყნებისთვის ყველაზე მიუღებლის – ჰომოსექსუალიზმის ფართო პროპაგანდა დაიწყო. დასავლეთის ფულებითა და გრანტებით **„ნაკვები“** პოლიტიკური და არასამთავრობო სექტრი ამ პროცესს კარგახანს უყურადღებოდ ტოვებდა – **„დასავლური ფული“** დიდ ვალდებულებასაც გულისხმობს!!! ჩვენს საზოგადოებაში კი პროტესტს სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემებზე მეტად ეროვნული ფასეულობების ნგრევა იწვევდა. **„სახელისუფლებო ნასუფრალს მიმსხდარი ადამიანები“ „ნაციონალებისგან ტირაჟირებულ ფასეულობებს“** დღემდე **„დემოკრატიულ ფასეულობებად“** მიიჩნევენ. საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი კი თვლის, რომ **„განხორციელებული პოლიტიკა“** არც დემოკრატიულია და არც ქართული სახელმწიფოს აღმშენებლობისკენ მიმართული, ისევე, როგორც **„ნაციონალურთან“** სახელისუფლებო პარტიას საერთო არაფერი აქვს. გადატრიალების გზით ხელისუფლებაში მოსული ერთი – ვიწრო და **„გაუნათლებელი ჯგუფისგან“**, საქართველოს გადაშენების მასშტაბური გეგმა ხორციელდება. პოლიტიკაში არსებობენ **„გულწრფელად მოსაუბრენიც“**, მაგრამ საზოგადოების განწყობის გათვალისწინებით, პოლიტიკოსთა უმეტესობისთვის **„ქართული და ეროვნული თემატიკა“** პოლიტიკური პოპულიზმის გზად იქცა. ქვეყნის ინტერესების დაცვის **„მათი ფიცი“** საკუთარ ქმედებებთან **„შეუსაბამობაში“** მოდის ყოველი არჩევნების ჩატარებისას. პარტიებისთვის ხელისუფლებისგან გამოყოფილი დაფინანსება მათ სააკაშვილისთვის ხელისუფლების შენარჩუნების მოტივს აძლევს. აღარ იქნება სააკაშვილი – წავლენ ესენიც. **„ხელი ხელს ბანსო“**, – ამათზეა ნათქვამი. პოლიტიკურ ოპოზიციაშიც ორი ფრთა იკვეთება – პროამერიკული და პრორუსული. საზოგადოებაში კი **„პროს“** გარეშე ქართული ორიენტაციის ძალის მოთხოვნაა; ძალისა, რომელიც **„მეზობლებთანაც“** და **„პარტნიორებთანაც“** ერთნაირად მოახერხებს ურთიერთობის დალაგებას. დასამალი არ არის და ამაზეც ნურავინ იდავებს, რომ როგორც საქართველოში, ისე მთელ მსოფლიოში, **„ამერიკულმა პოლიტიკამ“** ფიასკო განიცადა.

„მეგობრობა და პარტნიორობა“ შენი იდეოლოგიის თავსმოხვევითა და **„სტრატეგიული ინტერესით“** არ შეიძლება განსაზღვრო. **„მეგობრობა გზად და ხიდად!“** – თქვა ქართველმა! ეს გზა კი ჩემთვის მიუღებლის ძალით თავსმოხვევას არ ნიშნავს. დასამალი არავისთვისაა, უბრალო მოქალაქემაც იცის, რომ ე.წ. რვიანის მოლაპარაკების ფორმატში მსხდომი პარტიებისთვის დასავლეთიდან, კერძოდ, ამერიკიდან, მილიონობით დოლარი მოედინება. ეს ჯგუფიც ხელისუფლების არჩევნების გზით შეცვლის მომხრეა. მწარე გამოცდილების ფონზე არეულობა და სისხლისღვრა არც საზოგადოებისთვისაა ხელსაყრელი, თუმცა ქუჩის აქციების მომხრე პოლიტიკურ სპექტრს, რიგი მიზეზებისა გამო, საზოგადოება აღარ ენდობა. ზოგი **„რევოლუციის სულისჩამდგმელი“**, თავად ხალხის ხარჯზე გამდიდრებული, ოპოზიციონერობამდე არაკანონიერი გადაწყვეტილების მიმღები იყო, ზოგიც – რევოლუციის მოწყობის ხელშემწყობი და ორგანიზატორი. ორივე ფრთას ხელისუფლებაში მოსვლის – არსებულის ჩანაცვლების პირადი ინტერესი და ამბიცია ამოძრავებს და არა – ქვეყნის. საზოგადოება და ხალხი ამას ხედავს; იცის, რომ ისევ ამერიკის მიერ ხელდასხმული ხელისუფლება იმავე კურსს გააგრძელებს – არაფერი შეიცვლება, პრორუსულ ფრთას კი ე.წ. ანდერგრაუნდის გამო აღარ ენდობა. სახელისუფლებო პროპაგანდითაც ქუჩის აქციების მომხრე ფრთა რუსეთის ჯარის შემოსვლაზეც წამსვლელია. ომსა და უბედურებას საქართველო და მისი ხალხი ვეღარ გაუძლებს. არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, დიდია ალბათობა, რომ ხალხმა მართვის სადავეები თავად აიღოს ხელში. ამით კი შესაძლოა, ისევ გარედან მართულმა ძალამ ისარგებლოს.

შემთხვევითობას არც ის უნდა მივაწეროთ, რომ მსოფლიო პოლიტიკის მართვაზე პრეტენზიის მქონე, არაერთი რევოლუციის სულისჩამდგმელი ამერიკა დღეს საზოგადოების როლსა და ამ სექტორის გააქტიურებაზე ალაპარაკდა. აღწერილი სიტუაციიდანაც ჩანს, რომ ამერიკიდან მართული პოლიტიკოსები მრავალ ქვეყანაში, მათ შორის, საქართველოშიც გაიშიფრნენ. დასავლურ გრანტებზე მცხოვრებ საზოგადოებრივ სექტორზე აქცენტის გადატანა შესაძლოა, ასევეე პოლიტიკოსთა ჩანაცვლების პირობად გამოიყენოს გარეშე ძალამ. ჩემთვის, როგორც რიგითი ქართველისთვის, **„ოღონდ ეს არა და ვინც გინდა, სხვა“**-ს პრინციპი **„შესაკრებთა გადანაცვლება“** შეიძლება აღმოჩნდეს. მიუხედავად იმისა, რომ ერთი დიდი ბებია დედით ლატვიელი მყავდა, წარმოშობით – გერმანელი, დედამთილი კი, აქაური რუსი მყავს, ნებისმიერ სხვა სტატუსს, უცხო ენაზე საუბარს და, მითუფრო, **„ევროპელობას“** ვერასდროს შევეგუები. იმ დროს, როცა ევროპელი ვიკინგები, ბარბაროსები და ვანდალები ცივილიზაციის არაერთ კერას ანგრევდნენ და ანადგურებდნენ, საქართველოს საგანმანათლებლო ცენტრებში ლიტერატურის შედევრები იქმნებოდა. ამ დასავლურ ცივილიზაციასა და კულტურას საშუალო სკოლებიდან და ტრადიციული ოჯახებიდან ჩვენი თაობის ყველა ადამიანია ნაზიარები. მაინცადამაინც **„მაგიდაზე ფეხების შემოწყობა“**, პირდაუბანელად საწოლში საუზმობა, ცოლქმრული ურთიერთობის ღალატი და რადაც გაურკვეველი **„გენდერული თანასწორობა“** რატომ უნდა შევითვისო პარტიარქალურ საქართველოში?! **„მეუღლის“** ტერმინით ცოლქმრული პასუხისმგებლობისა და უფლებების განაწილების შესანიშნავი მაგალითიც დიდიხანია, გვაქვს. არც ისტორია გვაქვს ვინმეზე ნაკლები, არც ჩვენი ენა ითვლის ზოგიერთებივით ერთ-ორ საუკუნეს.

საერთოდ, რატომ უნდა გადასხვაფერდე, თუ ღმერთმა საქართველოში ქართველად გაგაჩინა? – იმიტომ, რომ სააკაშვილს საქართველოს სინგაპურად ქცევა სურს? იმიტომ, რომ ქართველს ეუბნებიან – შენი წარმატების შესაძლებლობა ქართულის ნაცვლად **„ინგლისური და კომპიუტერიაო“**? იმიტომ, რომ ნაციონალთა გუნდს ისე სძულს ეს ქვეყანა, რომ ყელგაწვდილი ეხვეწება ნატოს – თუკი სადმე საომარი ოპერაცია ტარდება, ანუ ადამიანები იხოცებიან, ქართველები გამაშვებინე საზარბაზნე ხორცადო? იმიტომაც გამოგვიყო სავალუტო ფონდმა 60 მილიონი **„განათლების რეფორმისთვის“**, რომელიც ოთხი კლასის საშუალო განათლებას გულისხმობდა. უმაღლესი, როგორც **„განვითარებად ქვეყანას“**, არ გჭირდებათ და იურისტებითა და ეკონომისტებით ჩვენ მოგამარაგებთო... **„მოგმარაგდით“ „მდგრადად განვითარებადი“** ქობალიას ეკონომიკით, სკოლებში პედოფილებითა და გაურკვეველი სექტების ინგლისურენოვანი მოპედაგოგო ადამიანებით. ცხრაკლასდამთავრებული უსწავლელი ახალგაზრდა, თუ ატესტაცია გაიარა, უმაღლესში უსახსრობის გამო ვერ ისწავლის... არჩევანი ერთი რჩება – **„ნატოს ჯარში“** მაღალანაზღაურებადი საკონტრაქტო სამსახური. განათლებული ქართველი არც ჩვენს ზედა ეშელონებს და არც ამერიკას სჭირდება.

სულ მაინტერესებდა, რატომ არ შეიძლება **„დემოკრატიის შუქურად“** აღიარებულ საქართველოში, არაერთი დემოკრატიული ქვეყნის მსგავსად, ამ უმსგავსობების წინააღმდეგ **„ანტიგლობალისტური მოძრაობა“** დაიწყოს?! პასუხი დღემდე არ ვიცი, თუმცა ბევრ სხვასავით, ვხედავ, რომ ასეთი ანტიქართული, ანტიმართლმადიდებლური და ანტისახელმწიფოებრივი იდეოლოგიით ქვეყნის მართვა აღარ შეიძლება. რადაც ერთ პოლიტიკურ ჯგუფსაც, საყოველთაო რეფერენდუმის გარეშეც, თუნდაც დიდი დაფინანსების სანაცვლოდ, ქართველი ხალხისთვის გენეტიკური ორიენტაციის შეცვლის უფლება აღარ უნდა მიეცეს! ნატოში შესვლასთან დაკავშირებით ჩატარებული რეფერენდუმიც, ისევე, როგორც არჩევნების შედეგები, ნაციონალებმა გააყალბეს.

იმ პერიოდში ეგზიტპოლების დამკვირვებლად ვიყავი და ხმა **„ნატოსთვის“** 30%-ზე მეტს არ მიუცია. ოფიციალური მონაცემებით, შედეგები 75%-მდე გაზარდეს. **„შუქურამ შექება დაიმსახურა“** და საქართველოს ნგრევაც გააგრძელა.

თუ გარედან მართული ეს ჯგუფი და მისი სატელიტი ოპოზიცია არ შეიცვალა, ეს საქართველოს დასასრული იქნება. შეცვლა კი მხოლოდ მართლა ქართველი ხალხის ნებით უნდა მოხდეს და არა რომელიმე, თუნდაც, ახალი გარეშე ძალის. სააკაშვილი კი ისტორიაში **„მიხეილ დამანგრეველის“** სახელით შევა!

ბაია ამაშუკელი,
საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო “საქინფორმი”

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუდამ მუდამ

ბორჯი მეორე

ოცდაექვს დეკემბერს შესრულდება ამ ანდერძის ავტორი ჩემი დეიდაშვილის წლისთავი, აფხაზეთის სანგრებში ნათრე - ვ,ათას ტყვიას და ჭურვს გამოღწეულ კაცს მოძმის ხელი შეიწირავს სვანეთში, ღათასთან: იარაღისთვის თავდასხმულ ბანდას ემსხვერპლება, ვინაიდან საჭურვლის საცავის გასაღებს არ დაუთმობს გულფოლადი ოფიცერი მომხდურ შინაურს და ყურის ბიბილოსთან აყეფებული ტყვია კეფას ახდის.

იქნებ ერთგვარ ლირიკულ გადახვევად ჩამომერთვას, მაგრამ ჩვენს საერთო სატკივარს ბესიკ მესხიას დღიური რამდენადმე მოჰფენს ნათელს და ხარის კუდზე ნუ გადამიტვრევ მოთმინების დანას, მკითხველო, ნაპო ბიძიასთან სიმინდის გარჩევისა არ იყოს, ამასღა გეკედრები, ამას გეჯები.

ჩვენი სანათესაო ორ ასეულს აჭარბებს მხოლოდ დედ—მამის ხაზით. განშტოებებს თუ მივუმატებთ — მრავალერგასს და ერთობ ნიშანდობლივია ის სტატისტიკა, რომ ამ ბატალიონი მამაკაციდან მხოლოდ სამად სამი ვაჟკაცი იბრძვის აფხაზეთში სა - ქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად.

სამად სამი სისხლხორციღა დგას ქართველი კაცის ღირსების სადარაჯოზე: ჩემი მომდევნო ძმა თენგიზი, ბიძაშვილი ლერი ფეტელავა და დეიდაშვილი ბესიკ მესხია.

პირველს სანგარში გდება, აფხაზეთიდან სამარცხვინო გამობუნძურება, საკმაოდ შეარყევს! მორალურად უფრორე.

მეორეს წელშიც გატეხავს და სულიერა - დაც — სამუდამოდ ჩამოაშორებს ომის ქარტეხილს.

მხოლოდ მესამეს შერჩება არაგველის სიმხნევე, თავგანწირვის აურწყავი ჟინი! მაგრამ როგორი საცოდაობაა — ათასი უბედურების დამტრიალებელი მტრის შურის საძიებლად წარმართულ მეომარს ყაჩაღი — მოძმის„ ტყვიამ მოგისწრაფოს სიცოცხლე;!

ჰაი, დედასა!

ჩვენი ბავშვობა არაფრით გამოირჩევა ფიჩორელი თუ ოტობაიელი ონავრების ცხოვრებისგან, ბესო, როგორც ზემოთ აღვნიშნე! ჩემი მომდევნო ძმის, თენგიზის ხელაა! თანაკლასელი, ყირმიზი სახის, მუდამ მორიდებული და თავჩაქინდრული.

ჩვენი ბაბუები დედით — თომა და ამბროსი — გვერდიგვერდ ცხოვრობენ ბორ - სუს უბანში, ზღვის სიახლოვეს.

თომა უფროსია, თეთრგვრემანი, აშოლტილი ტანის, გადაყოლილი უმცროსი ძმის მრავალრიცხოვან ოჯახს.

— ამროზიქ ვადომღურ, — დაიფიცებს უფროსი ძმა და წყალს არ დალევს.

— თომაქ ვადომღურ, — იტყვის უმცროსი და თოფით რომ დაადგე თავზე! წარბს ვერ შეახრევინებ.

ამბროსი გელენავა ჯმუხი აგებულებისაა, ჩაკირული, ენას უკიდებს შიგადამიგ, ველური ძალ—ღონის პატრონი შინაგანი ენერგიითაც გამოირჩევა, ალბათ, ესეც გახლავთ მიზეზი მისი შვილმრავლობისა.

ჭინჭების გაშრობას ვერ აუდიან მათსას, ჩვილს ჩვილი მოსდევს, საგვარეულო აკ - ვანს მოსვენება დაჰკვარგვია, დღენიადაგ ირწევა ონწე, საამისოდ უფროსი ძმაც აქე - ზებს, თავად ქალ—ვაჟს კმარობს, აი, ნა - ბოლარას კი გამუდმებით აგულიანებს მამრული ორგიებისაკენ, საქეიფოდ და სალხენად განაწყობს, ოქროს თუმნიანს ჩუქნის ოტობაიაში) ძმები ხუფენიების დუქნებისკენ სანადიმოდ წამგზავრებულს, საუკეთესო ცხენზე აამხედრებს, გამორჩეული ჩოხა—ახალუხით დაატარებს.

ამბროსის, თავის ბუნებიდან გამომდინარე, ხშირად გაურბის თვალები ლამაზმანებისკენ, რითაც მოგვიანებით, ჩვენთან,შვილიშვილებში, თავმომწონეობს კიდეც, მაგრამ მაზლის გაუთავებელი ნადიმები, მისი წვრილშვილის კისერზე წამოსკუპება, თან - დათან თანგავს მოამაგე რძალს — მარი ჯალაღონხეს და როცა ერთხელ ფეხს აით - რევს ქალი ამბროსისიანების დაუსრულებელი კმაყოფა—რჩენისკენ, თავზე წამოად - გება გამეხებული ქმარი, რომელიც ყოველთვის — „მუთარეთი„ ინტიმურობის ჟამს ან — „ვერჩქილქოთი„ ოფიციალუ— რობის შემთხვევაში მიმართავს თანამეც - ხედრეს და მიახლის:

— რა იყო ქალბატონო, ცხვირი რისთვის ჩამოგიშვია; ხომ არ დაგღალა ჩემი ძმისშვილების მოვლა—პატრონობამ; თუკი გადაიქანცე, ახლავე შევაბამ ურემში ხარ—კამეჩებს, დაანყვე ზედ შენი მზითევი და მიბრძანდი, საიდანაც მოსულხარო!

ქალი ხვდება, ამაოა მისი გაბრძოლება, კვლავაც უნდა ააქოთქოთოს ასობით კრუ - ხი, რათა წამში მაზლიშვილებმა გაავლონ მუსრი. ძველებურად უნდა ჩამოწველოს ათობით კამეჩ—ძროხა, რომ მერმე მთვა - რისხელა სულგუნებს ხელად გამოუვიდეთ წირვა, ჰოდა, მიედევნება დღეები დღეებს.

აჰა, დარახტული მერნით ეზოში გამო - სულა მისი კაცის ნებიერი ნაბოლარა, მო - სირმული ჩოხა კოჭებამდე დასთრევია, კა - რაკულის ქუდი ახურავს ოტობაიის დუქ - ნებისკენ სანადიმოდ დამიზნებულს, უფ - როსი ძმის ქისას უცდის, თომა გელენავაც ჩვეული გულდინჯობით ჩამოდის აგურით - წყობილ კიბეებზე, ოქროს თუმნიანს ააბ - ზინებს სახლეულების თვალსაჩინოდ:

— წესიერ კაცებთან დახარჯე, ჯიმა! — ეტყვის და წარუძღვება ჭიშკრისკენ,

ფიჩორში ჩამოსახლებული გელენავები გელდი კუპეცის შთამომავლებს კი ეძახიან თავიანთ თავს, მაგრამ ძირითადი შემოსავალი მაინც ბარაქიანი მიწის წყალობაა და კიდევ — თავდაუზოგავი შრომისა.

თოხნასა და თიბვაში ამბროსის ბადალი არ ჰყავს, ჯაფაც ხვავრიელი იცის ამ ენერგიულმა კაცმა, როგორც მოლხენა და ქალებში გავლა—გამოვლა.

ნათლიად თანამოგვარე, ქუთაისის გუბერნატორი ჰყავს, ბევრს ეცდება თომა! მაგრამ სწავლისკენ გულს ვერაფრით აუძ - გერებს, სამივეჯერ გამოიქცევა გიმნაზიიდან, ახლა, როცა დიდი ნათლია მიცვალე - ბულია, მათ ოჯახს დღითი დღე აძაბუნებს სამხედრო ბეგარა.

ჩამოიკლიან სახელმწიფო მოხელენი, გაიმართება მდიდრული სუფრა, ხარს ჩამოჰკიდებენ, გოჭებს ააჭყვიტინებენ, მარილნაჭამ ელარჯს გაწელავენ, ადესას ააქაფქაფე - ბენ, ქისიდან გადმოაჩხრიალებენ ოქროს და ამბროსის გაწვევასაც რამდენიმე ნლით გადაავადებენ, მაგრამ მსწრაფლ თავდება პირობადებული ეს ჟამი და მორიგი ნაკა - დი ახალ გასამრჯელოს ითხოვს, ახალ საზღაურს, წელზე ფეხს იდგამენ, დიახაც.

ქურახანა ბაწარაღებით გუგუნებს, საბუხრე, რკინასავით ულალ აგურს აწრთობენ გელენავები.

რამდენჯერ მიხილავს მეც, ბესოსაც, ძუძუმტესაც, ჩვენი ჯანიანი ბიძები, მათი მა - მების მეთაურობით ტოტებაკარწახებული ფეხებით როგორ ზელავენ წითელ მიწას, ყალიბებით ჩამოამწკრივებენ საგანგებოდ მოფხეკილ ალაგას და მერმე მათ წასაღებად წამოჭრიალებული ურმების წყებას დასასრული არ უჩანს,

შრომით მართლაც გამოირჩევიან ძმები გელენავები, უბატონო გლეხებს უწოდებენ თავიანთ თავს, სვანეთიდან ჩამოვაკებულებს, გელოვანების ნაშიერთ, ბატონის ბეგარა ჯერ კიდევ როდის გადაუგდიათ ქე - დიდან მათ წინაპრებს.

ყუდნათ შარაშიას კაცი წელიწადში ერ - თხელ შემოუვლით ნესვივით გატიკნული გოჭისთვის, მიართმევენ ხელად და გაიხარებს ბატონის მადა, მაგრამ ერთხელ შა - რაშიას ხელქვეითს, ძვაძვალა კიუტს, კოვზი ნაცარში ჩაუვარდება, ღამის დაკანონებული ხარკის წარსატაცებლად მოსულ მო - ხელეს ორმაგი ღობის იქით დაუცდის მასპინძელი, მარჯვენა ფეხით კოჭლია გვაჩ გელენა, ნადირობის დროს ტახმა დაუნაფლეთა, ბარძაყიდან მუხლისთავამდე ხორცი ამოაგლიჯა და ექიმბაშების წყალობით სული ძლივს შერჩენია, გამხმარი ფეხით დაკელენაობს! მაგრამ ბოჭოკი რა ბედენაა გული თუ ფოლადისა გაქვს!

ძვაძვალა ტყუილუბრალოდ როდი შეურქმევიათ მოურავისთვის ფიჩორელებს, ზონზროხაა, სუფრა—სუფრა თრევისგან ღიპ - მოძალებული, სულ დაძუნძულებს შარაში - ას საშოვრებისთვის და ძვაძვალაც ამისთვის შეურქმევიათ.

სიკვდილივით ზარავს გვაჩისთან გამოცხადება, იცის კარგ დღეს არ დააყრის! მაგრამ ერთადერთი ეგღა დარჩენილა სო - ფელში, ვისთვისაც გოჭი არ გამოურთმე - ვია წლეულს და აბა, სხვასთან როგორ მიესვლება;

— გვაჩის ჭირიმა, პატენ ყუდნათს სტუმრები ჰყავს, — ამბობს მორიდებით მოურავი.

— გოჭისთვის მოხვიდოდი, — ლმობიერია გვაჩი, — ნება შენი, მაგას დაგზარდე - ბი; — უღიმის ოჯახის უფროსი, — მაგრამ ჯერ იქნებ მსხლის არაყი გაგვესინჯა!

— სად მცალია გვაჩის ჭირიმა! მეფორიებისგან ქათმები მყავს წასაყვანი, ხასაიებისგან — ინდაური, სიჭინავებთან ყველს და სიმინდის ფქვილს მიხაზირებენ, იქნებ როგორმე გამანთავისუფლო ამ ჭირისგან, არც ვაპირებდი მოსვლას, მაგრამ ხომ იცი! ყუდნათი როგორი ოხერია, მთელს სოფელს ააწიოკებს სტრაუნიკებით.

— განა მენანება რამე ბატონისათვის, ოღონდ ეგ არის, ოსქში სამი წყება გოჭი მიმწყვდევია, ზოგი მომცროა საწკირედ! ზოგი ბურვაკია ლამის, იქნებ თავად ამოგერჩია; — მოსჭრის გვაჩ გელენა და თავს ხრის ღიმილით.

სხვა რა გზა აქვს ძვაძვალას, მოზომილი ნაბიჯებით მისდევს საღორესკენ წახვანხ - ვალებულ მასპინძელს.

ძელურ სათავსში გოჭების ჭყვიტინია, დედა ღორები ლაფში მიწოლილან, გობე - ბი ამოუცარიელებიათ და გოჭების დაძგე - რების მოლოდინში ღუტღუტებენ.

ოჯახის უფროსი ოსქს ურდულს გამო - აცლის და ოდნავ გამოღებული კარიდან გოჭებში შეაჭვრიტინებს მოურავს.

— ხედავ, რა ამბავია! ჯობია თავად ამოირჩიო, ძუნწობა რომ არ დამბრალდეს, ხომ იტყვის ყუდნათი, მჭლე და უდღეური შემოუჩეჩებიაო!

ცდუნდება შარაშიას კაცი, შეჰყოფს თავს ტომრითურთ საღორეში თუ არა, მასპინ - ძელი წიხლს მიაზელს გათვითვინებულ გავაზე.

— დაე, რწყილებმა იჯირითონ შენს იღლიებსა და უკანალში! ჭკვიანად თუ არ მოიქცევი, დედა ღორებსაც შემოვუშვებ და მერე ნახე შენი დღე, ძვლები სანთლით საძებარი რომ გაგიხდება, უბედურო!

— ვაიმე, მაგას ნუ იზამ, — იბღავლებს ძვაძვალა.

— მაშინ იყავი დილამდე გოჭების მეურვედ, არც ეგენი დაგათენებენ უკეთეს დღესს! რძეს მონატრულნი, — ამბობს და მიატოვებს სანეხვეში ისედაც მობურატინ მეაღაფეს, ყუდნათ შარაშიას ზორბა ქვაბით ღომი ჩამოუკიდია შუაცეცხლზე, მეორე წყალს უცვლიან თუხთუხისგან გადაქანცულ ღერღილს, მოურავი კი არა და არ ჩანს, აფრენენ აცვენილ ბიჭებს გელენავე - ბისკენ: ალბათ, რაღაც უხიმანდრა გვაჩმაო, ჰოდა, გამოჩნდებიან თუ არა ჭიშკართან ქაფმოდებული ცხენებით შარაშიას კარისკაცები, ამათ უკვე რიხიანად უხვდება გათარანებული გვაჩ გელენა:

— ჩამობრძანდით ყველანი ცხენებიდან! — უბრძანებს შარაშიას ხალხს,— ეგ თქვენი ზორყანია ძვაძვალა ოსქში დამიმწყვდე - ვია გოჭების ბალნის დასათვლელად, როგორც ჩანს, სანამ თქვენი ბატონის ღომი მოიხარშებოდეს, მარტოკა ვეღარაფრით გაართმევს თავს, დამხმარე ძალა დროზე გამოუგზავნია ყუდნათ პატენს.

— მაგას ნუ იზამ, გვაჩი, — ეხვეწებიან დაფეთებული ბიჭები.

— ჭკუა დამიშლის თუ გონება! მარდად, მარდად! — მისძახის და მილალავს საღორისკენ წამხდრებს.

ამასობაში დედა ღორებს ჯაგარი აშლიათ, საკმარისია ალაგეზე გადმოაბიჯოს ვინმემ, რომ წამში ბდღვირი ადინონ, დაგლიჯონ ლაშებზე ქაფმოდებული ეშვებით.

არის ბღავილი, ძაღლების ყმუილი,გოჭებდასეული ძვაძვალა კიუტის სიცილგარეული ღრიალი, რადგანაც, დამშეული ღუტუნიებს დედების სანაცვლოდ შემოგზავნილი მოურავი კუთხეში მიუმწყვდევიათ და ვის ახსოვს რწყილების კბენა, თურქული კანფეტების ბადალია. წაუყირავებიათ და ხან იღლიაში აძგერებენ დინგს, ხანაც — ბადექონსა და ხვანჯარში. ჰოდა, ამ სურათის შემსწრე პატრონი მეტს ვეღარ გაუძლებს, გამოაცლის კარს ურდულს, გამოთრეულ ძვაძვალას უთავაზებს კვლავაც ბარაქიან პანღურს, თან მეორე ხელით ჩახმახზე შეყენებული კარაბინი არ ეთმობა.

— მობრძანდეს თავად ყუდნათ შარაშია და არც მაგისთვის დავიშურებ რწყილებს დასათვლელად! — ეღიმება სქელ ულვაშში გვაჩ გელენას.

ყუდნათ შარაშია გულდედალი როდია, სწრაფად შეაკაზმვინებს ცხენს, მიეჭრება საქვეყნოდ თავის მომჭრელ ყაზაყს, დაჯირითებს ქაფმოდებულ მერანს ღაბახასთან.

გვაჩის ფიცრულს რომ მოაღწიო, ჯერ ერთი ღობე უნდა გადმოიარო, გამოირბინო ასიოდე მეტრის მინდორი, კვლავ მეორე ღანდა აგესვეტება, დაპობილი შეშისგან აღმართული, სწორედ ისეთი, როგორც ნაპო ბიძიასთან ვიხილეთ, სანამ აქამდე მოფრინდები, ჩუბინი გვაჩ გელენა ცხრაჯერ გაგიხვრეტს შუბლს და სიტყვიერი მუქარითა და გინებით ვითომ გულმოჯერებული ყუდნათ შარაშია მიაბრუნებს სინიბს, იმავე ღამეს გუდა—ნაბადს აუკრავს ცოლ—შვილს და მას აქეთ ვერავინ იხილავს,

იმ დღიდან გადავარდება ფიჩორში ბატონის ბეგარა.

აზნიანი თართაყან ანჩბეია კი ჩამოფუძნდება მოგვიანებით მეზობელ სოფელში! ოტობაიაში, მაგრამ ეს პიროვნება სულ სხვა ყაიდისაა, გლეხების მოქმიაგე და თაყვანისმცემელი, მათი ჭირ—ვარამის გამზიარებელი.

ასეთი ლექსიც მსმენია გვაჩის მემკვიდრე ყვაბან გელენაზე

ქორწილშია კაცი მიპატიჟებული, მაგრამ სტუმრების სიმრავლით თავგზააბნეული მასპინძლები ვერ იცლიან თითოეულის მისახედად, ეს წუთია და ეზოში შემოგელვებულ ყვაბანს არავინ დაუჭერს გაფიცხებუ - ლი რაშის სადავეს, არავინ ეპატიჟება სეფისკენ და აი, ამისთანა დროს მეხივით სჭექს ამაყი ყვაბან გელენა:

მა ვორექ გელენა ყვაბანი,
მე ვარ გელენაყვაბანი,
ფიჩორს გებდორთი დო
ფიჩორში ავდექი და
თეიშახ გეკლებტყაბარი,
აქამდე მოვაღწიე,
ქვარა მიღუ ყამბარი,
მუცელი მაქვს ყავარივით
აქ დახუნალ ვამაშიდუდა
აქ დასაჯდომს თუ ვიშოვი დი,
მეზობელს ულუდ კამპანია,
მეზობელს ჰქონდა ქორწილი,
აქ დახუნალ ქოფშიებუდკონ,
აქ დასაჯდომი რომ მრგებოდა
ჯიბეს მიღუდ მანათიან
ჯიბეში მქონდა მანეთი
კვარკვალია
მრგვალი,
ძოკო რექ თო იაშა,
ძოკო ხარ თუ იაშა,
ჯოღორქ გეიწიკვ კამპანიაშა,
ძაღლმა დაგისვარა ქორწილზე.

მიაძახებს აბაბანებულ მასპინძლებს, სტიკიცავს ქურანას მათრახს და გადააფრენს ჭიშკარს, ხოლო რაც შეეხება მარულას,დოღს და თარჩიას, გელენავებმა მართლაც განუმეორებელი იციან.

— კუჭუ გელენაში ცხენშორო გეითოფურუა, — დაასკვნიან საჭიროებისას სამურზაყანოში.

საქმე ის გახლავთ, რომ გვაჩის ბადიში კუჭუ თავისი მომცრო ტაიჭით თავდაპირ - ველად სტვენას და ყიჟინას იმსახურებს მაყურებელისგან, სულ ბოლოს მიჩანჩალებს ხოლმე ლევანიას მინდორზე გამართულ დოღში, ჰოდა, უკანასკნელი წრე რომ დაიწყება, თავშენახულ რაშს ლაგამს მიანებებს მხედარი! ფაფარში ჩააფრინდება:

— ეჰეჰეი, ეჰეჰეი, ტიჰუა! — ჩასძახის ყურში ბურთივით შეკრულს და ფრთებს შეასხამს აქამდე თითქოსდა მოჩანჩალეს, რამდენიმე წუთში კუჭუ გელენას თეთრონი ცხენების სათავეში მოექცევა და პირველ ჯიღდოსაც უცილობლად ის დაეუფლება,

ასეთი და ამგვარი ხასიათისა გახლავან ჩვენი წინაპრები დედის მხრიდან, მაგრამ უმჯობესია ჯერ ცხენთან დაკავშირებული ფათერაკები სრულფასოვნად ამოვწუროთ არსებითი სათქმელის შემოცურებამდე,

მოქრთამული სახელმწიფო მოხელეები მერამდენედ გამოარიდებენ ამბროსი გელენავას სამხედრო სამსახურს, თუმცა ბოლოს და ბოლოს გულღიად გაუმხელენ:

— არც პურ—მარილი გვინდა შენი, თომა! აღარც — ფული და ძღვენი, უჩივლიათ თქვენს მტრებს უფროსობაში, მეფის ჯარში სამსახურს თავს არიდებს ამროზ გელენაო და დავალებული გვაქვს ხვალ დილით თან წავიყვანოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში! კანონგარეშედ გამოცხადდება და იძულებული შევიქნებით ცოლ—შვილი დავუტყვევოთ, ნუ გაგვაკეთებინებთ ამასო,

თავზარი დაეცემა ნაბოლარას მოამაგე თომა გელენავას,

სად უნდა გაგზავნოს ძმა; ცხრაასთოთხმეტს აგორებულმა ომიანობამ, რუსეთის რევოლუციამ და გერმანიის აბობოქრებამ სიცოცხლე მოუსწრაფა ათასებს, თურქი ასკერები ხიშტწამოცმული კარაბინებით მოჩოჩავენ ბათუმის მხრიდან, ომში წასაყვანი ძმის ცოლ-შვილის რჩენა არაფერში ეპიტნავება თომას, მაგრამ სასაკლაოზე რანაირად გაისტუმროს საკუთარი ხელით შვილივით გამოზრდილი; ვინ, რომელი დაუბრუნებს მოუსავლეთიდან სისხლ-ხორცს; და, აი, მაშინ მუდარით ეწვევა მამაჩემის მამას, ბიქტორ ფეტელავას, თომა ბაბუა,

მეწველ ძროხას უფეშქაშებს ავანსად,ოღონდ რამენაირად გადაურჩინოს ძმა მოსალოდნელი ჯოჯოხეთისგან,

თავად ბიქტორი ახალი დაბრუნებულია პირველი სამამულო ომიდან, იგი პროფესიით ფერშალიაა! როკივით ძელქვა, იმდენი ადამიანის სიცოცხლე უხსნია საველე პირობებში, მისი დასტაქრული გამოცდილება ჭეშმარიტ ქირურგს შეშურ - დება, ჰოდა, მშველელი მის მეტი არავინ ჩანს თომა გელენავას თვალსაწიერზე, სხვა რა ჩარაა, აიკრეფს ალექსევიჩიც აბგას! ბოთლებს. ფაფარგაკრეჭილი და კუდმოკ - ვეცილი ცხენით ქურდებმა თვალი რომ არ დაადგან ბედაურს ეახლება გელენავებს, ადუღებულ წყალს მოსთხოვს მანპინძლებს.

ხელად მოურბენინებენ სოფლის დოხტურს.

მდუღარეს ბოთლებში ჩაასხამს ფერშალი ბაბუაჩემი, ლოგინში ჩაწვენილ ამბროსის შემოულაგებს და რამდენიმე წუთ - ში პაციენტის სიცხე ცელსიუსის ორმოცდაორს მიუკაკუნებს.

მოკლედ, ასწავლის რანაირად აუწიონ სიცხე დეზერტირს, თანაც ყველას არი - გებს, როცა ისინი სახელმწიფო მოხელეებს გულისხმობს ჭიშკარს მოუახლოვდებიან, ბოთლები საიმედოდ გადამალეთ! თორემ ყველაფერს იყნოსავენო:

— ძმასაც დაღუპავთ და ჩემს ცოდვაშიც ჩადგებითო, — ამას ივედრება.

სწორედ იქ ჰკიდებს თურმე თვალს სარძლოდ ყირმიზსახიან დედაჩემს ბიქტორ ბაბუა.

მარტივად რომ ვთქვათ, ყველაფერს ისე მოაკოხტავებენ, როგორც სოფლის ფერშალი დაარიგებთ! მაგრამ წვევამდელების სიაშეუვსებელი მოხელენი შემოუსხდებიან გარშემო ამბროსი გელენავას, იქვე გაამართვინებენ პურ—მარილს და დეზერტირის სიცხეც კატასტროფული სიჩქარით იწყებს ვარდნას, საათნახევარში თუ ორ საათში სრულიად —გამოჯანსაღდება, ბუნებრივი ფერი დაუბრუნდება, ოფლი შეაშრება, შეხედავენ სტუმრები, გაუსინჯავენ მაჯას, შუბლს და, — აბა, ახლა არაფერი გიშავს, სტამბოლის კაჟივით ჯანმრთელი ხარო, — ამ სიტყვებით წამოაგდებენ ლოგინიდან.

იცრემლება ჯალაბი, სხავიან ბავშვები, ამაოდ აჩუმებს სახლეულებს თომა გელენავა.

ჩათბუნებულია მისი ნაბოლარა ძმა, ქამარში ჩატანებულია ოქრო—ვერცხლი, აჰა, ამხედრდება სადაც არის, ატირებული ცოლი, ვალია ჯახაიხე, ლაგამს უჭერს.

მოთმინებიდან გამოსული სტუმრები: ვიჩქაროთ, ვიჩქაროთ, შემოგვათენდებაო! იბღვირებიან შუკიდან და თომაც არ დააყოვნებს, გაჭრილ წინაკას წასცხებს არაბიას კუდუსუნთან, რომელიც ცოცხალ ცხენს კი არა ჭიშკრის სარზე წამოცმულ ხორცშემოცლილ თავისქალას ააჭიხვინებს სიმწ - რისგან.

გური ოტობაია
(გაგრძელება იქნება)

მსოფლიოს დიდი ფეხბურთელები

მას შემდეგ, რაც მე-19 საუკუნეში ინგლისელებმა აღადგინეს სპორტის უძველესი სახეობა, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში იბადებოდნენ დიდი ფეხბურთელები, რომლებიც ქმნიდნენ მთელ ეპოქას და მათი მიღწევები ოქროს ასოებით იწერებოდა პლანეტის სპორტულ ისტორიაში. ისინი გვხიბლავდნენ თავიანი საფეხბურთო საშემსრულებლო ოსტატობით. ეს ხდებოდა მაშინ, როცა ფეხბურთი ის-ის იყო იდგამდა ფეხს მსოფლიოში და ჯერ კიდევ არსად არ იყო აშენებული, არამც თუ გიგანტური, არამედ ათასმაყურებლიანი სტადიონებიც კი. მაგრამ სწორედ მათმა ოსტატობამ დაუდო სათავე სპორტის ამ ულამაზეს სახეობას, რომელსაც დღეს ლამის მთელი მსოფლიო ეთაყვანება. მას შემდეგ უამრავი დიდი ფეხბურთელი მოევლინა სამყაროს, მაგრამ ჩვენი რუბრიკა მაინც წინ აყენებს იმ დიდი სპორტსმენების ხსოვნას, რომელთაც მსოფლიოს განახლებული სახით უძღვნეს ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე დიდი ხნით ადრე ჩინეთში შობილი სანახაობრივი სპორტი – ფეხბურთი! მალე დაინტერესებულ პირთა ვიწრო წრეში აღიარებული ეს სანახაობა მასიურ ღონისძიებად იქცა, რამაც წარმოქმნა შესაბამისი სპორტული ბაზების აშენების აუცილებლობა. სწორედ წარსულის დიდი ფეხბურთელების დამსახურებაა, რომ გვაქვს შესანიშნავი სპორტული კომპლექსები "მარაკანა", "აცტეკა", "ნოუ კამპი", "სანტიაგო ბერნაბეუ", "ლუჟნიკები", "ოლიმპიაშტადიონი", "ჰემპდენ პარკი" და სხვა და სხვა. სწორედ ამ სპორტულ "მონსტრებს" ავსებენ პირთამდე დღევანდელი ფეხბურთის "გრანდები", რომლებიც მონდომებითა და წარმატებით აგრძელებენ თავიანთი დიდი წინაპრების საქმეებს.
ამ რუბრიკით ჩვენ გაგაცნობთ მსოფლიოს ფეხბურთის პიონერებსაც და იმ დიდ თანამედროვე ფეხბურთელებსაც, რომლებიც ქმნიან მსოფლიო ფეხბურთის ისტორიას.

ჯო მერსერი

დაიბადა 1914 წლის 9 აგვისტოს, ინგლისში.

თამაშობდა საფეხბურთო კლუბებში **"ევერტონი"** და **"არსენალი"**.

ჯო მერსერი, რომელიც მსოფლიო საფეხბურთო გარიჟრაჟის ჟამს ამკვიდრებდა მდიდარ სპორტულ ტრადიციებს, ერთხელ **"ევერტონის"** შემადგენლობაში გახდა ინგლისის ჩემპიონი, ორჯერ კი საფეხბურთო კლუბ **"არსენალის"** შემადგენლობაში. თანაც, მის უკანასკნელ საჩემპიონო მატჩზე მინდორში ჯოს გამოშვებაზე ძალზე ეთანაღრებოდათ გული გუნდის მესვეურებს, რადგან მერსერი უკვე 32 წლის იყო და თანაც განუწყვეტლივ აწუხებდა მუხლების ტკივილი. 1950 წელს, **"არტილერისტთა"** (ასე უწოდებდნენ მაშინ კლუბ **"არსენალს"**) შემადგენლობაში ჯო მერსერი ინგლისის თასის მფლობელი გახდა. ორი წლის შემდეგ **"არსენალი"** კვლავ გავიდა ინგლისის თასის გათამაშების ფინალში, მაგრამ ეს გადამწყვეტი მატჩი დაძაბულ ბრძოლაში დათმო, რადგან გუნდი მხოლოდ ათი ფეხბურთელით თამაშობდა. ნაკლებობის მიზეზი ფატალური გახლდათ – ერთ-ერთმა **"არტილერისტმა"** მძიმე ტრავმის შედეგად დატოვა მოედანი, მოთამაშის შეცვლის პრაქტიკა კი იმდროინდელ ფეხბურთში არ არსებობდა. მოგვიანებით ჯო მერსერმა კვლავ გაიმეორა თავისი სათასო წარმატება, მაგრამ, ამჯერად არა მოედანზე მოთამაშედ, არამედ შესანიშნავი კლუბის **"მანჩესტერ სიტის"** მთავარმა მწვრთნელმა. იგი ასევე წარმატებით წვრთნიდა ინგლისის ეროვნულ ნაკრებს, თუმცა საკმაოდ მოკლე პერიოდი – ალფ რამსეისა და დონო რევის შუალედში, რადგან სპოტრის ამ სამყაროში ფეხმოდგმული ინტრიგების გამო იძულებული გახდა მიეტოვებინა როგორც ნაკრები, ასევე სამშობლოც, სადაც რამდენიმე წლის შემდეგ დაბრუნდა, მაგრამ ფეხბურთისაკენ აღარ გაუხედია.

ბილი მერედიტი

დაიბადა 1894 წლის 30 ივლისს, უელსში.

თამაშობდა კლუბებში **"მანჩესტერ სიტი", "მანჩესტერ იუნაიტედი", "მანჩესტერ სიტი"** ინგლისი.

ბილი მერედიტი ასაკით თანამედროვე ფეხბურთის ტოლსწორია, რადგან სწორედ იგი გახლდათ ერთ-ერთი პირველთაგანი, რომელთაც სათავე დაუდეს სპორტის ამ დიდებულ სანახაობას. ეს დაახლოებით ის პერიოდია, როცა საქართველოში ფეხბურთი ის-ის იყო ფეხს იდგამდა და საპორტო ქალაქ ფოთის გარეუბანში მოწყობილ სახელდახელო საფეხბურთო მოედანზე პირველი მატჩები ეწყობოდა ინგლისელ მეზღვაურებთან და თურქ ფეხბურთელებთან. ბილი მერედიტი ბავშვთა გუნდის შემადგენლობაში პირველად ინგლისის ჩემპიონი ათი წლის ასაკში გახდა, თავისი უკანასკნელი მატჩი კი (ინგლისის თასის ნახევარფინალი, სადაც მისი გუნდი დამარცხდა) კი 50 წლის ასაკში ჩაატარა. თავისი ორმოცწლიანი სპორტული კარიერის მანძილზე (არ ითვლება მხოლოდ ის ხუთი წელიწადი, როცა მიმდინარეობდა მეორე მსოფლიო ომი) მან 48 მატჩი ჩაატარა ინგლისის საფეხბურთო ნაკრების შემადგენლობაში და გაიტანა 11 გოლი. საკლუბო დონეზე კი მას ჩატარებული აქვს 1000 მატჩამდე, თუმცა სასჯელსაც ვერ ასცდა, რადგან წინასწარ გარიგებულ მატჩში მონაწილეობის ბრალდებით თითქმის ერთი წელიწადი იყო დისკვალიფიცირებული. ბილი მერედიტმა თავი დაახსომა ფეხბურთის სამყაროს როგორც დაცვის ხაზის საიმედო დარაჯმა, რომელიც ხშირად ერთვებოდა ხოლმე შეტევებში და უხვად ამარაგებდა თავდასხმის ხაზს საგოლე პასებით. მას ჰქონდა იმდენად ძლიერი დარტყმა, რომ პირქარის დროსაც კი მეტოქის კარში ლამის მოედნის ცენტრიდან გაიტანა აუღებელი გოლი. **"პენსიაზე"** გასვლის შემდეგ მერედიტი საფეხბურთო სკოლებში მუშაობდა პედაგოგად.

ჯონი კარი

დაიბადა 1919 წლის 23 თებერვალს ირლანდიაში.

თამაშობდა საფეხბურთო კლუბ **"მანჩესტერ იუნაიტედში"** (ინგლისი).

ჯონი კარი მსოფლიოს ერთ-ერთი პირველი უნივერსალური ფეხბურთელი გახლდათ. მას შეეძლო წარმატებით ეთამაშა დაცველად, ყოფილიყო ასევე წარმატებული ნახევარმცველი, რისხვად მოვლენოდა მოწინააღმდეგის გუნდს თავდამსხმელის ამპლუაში და რამდენიმე მატჩში ასევე წარმატებით შეცვალა ტრავმირებული მეკარე. მას, ამასთან, დიდი წარმატებით შეეძლო დაელაშქრა მეტოქის კარი, პენალტების დარტყმის უბადლო სტილზე რომ არაფერი ვთქვათ. ვერ ვიტყვით, რომ იგი მეტად სწრაფი და მოქნილი სპორტსმენი გახლდათ, მაგრამ ამ დანაკლისს შესანიშნავად ავსებდა შესაშური ფიზიკური მონაცემებით, გასაოცარი ენერგიით და ფილიგრანული საფეხბურთო ტექნიკით.

1944 წელს ჯონი კარი დუბლინის ახალგაზრდულმა გუნდმა შეიძინა 200 ფუნტ სტერლინგად – ეს იმ დროისათვის საკმაოდ ხელსაყრელი ფინანსური გარიგება გახლდათ. ომისშემდგომი პირველი წლების განმავლობაში კარი **"მანჩესტერ იუნაიტედის"** კაპიტანი გახლდათ, მისმა გუნდმა თითოჯერ მოიპოვა ინგლისის ჩემპიონობა და თასი და რამდენჯერმე მეტად ახლოს იდგა ამ სანუკვარ მიზანთან, მაგრამ ბოლო წამებზე ღალატობდა სპორტული ფორტუნა. ჯონი კარი 37-ჯერ თამაშობდა ინგლისის საფეხბურთო ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში და წარმატებით გამოდიოდა ევროპის ნაკრების შემადგენლობაში, როცა მან, 1947 წელს, გამართა საიუბილეო მატჩი ინგლისის ნაკრებთან. მოგვიანებით ჯონ კარი გახლდათ ინგლისის საფეხბურთო გუნდების **"ბლეკბერნისა"** და **"ევერტონის"** მთავარი მწვრთნელი.

გიორგი ჯალაღანია

იუმორი

* * *

მამედა ცოლთან ერთად მიდის ქუჩაში.

– შენ წინ იარე, მე უკან გამოგყვები.

– რატომ, მამედ?! – უკვირს ცოლს, – ხომ იცი, ყურანში წერია, მაჰმადიანის ცოლმა ქმრის უკან უნდა იაროსო.

– როცა ყურანს წერდნენ, მაშინ ნაღმები არ იყო გამოგონებული!

* * *

მოხუცი ქალი აკანკალებული ხმით ეუბნება პოლიციეს:

– შვილო, ქუჩის მეორე მხარეს გადამიყვანე...

– იქ ცხოვრობ, ბებო?

– არა, იქ ჩემი მოტოციკლი დგას. შენ მხოლოდ შემსვი...

* * *

– ქალბატონო, თქვენი შვილის ძიძა მართლა გარდაიცვალა?

– დიახ.

– ძალზე საწყენია. არ შეიძლება მე დავიკავო მისი ადგილი?

– დამკრძალავ ბიუროს უნდა შეუთანხმდე...

* * *

საფრანგეთისა და სენეგალის ეროვნული ნაკრები გუნდების მატჩის შემდგომი კომენტარი:

– თამაშობდნენ ზანგები ზანგების წინააღმდეგ, დამარცხდნენ... ფრანგები.

* * *

– გთხოვთ, სასწრაფოდ დამაპატიმროთ!

– რა დააშავეთ?

– სიდედრს ხელი მოვუქნიე!

– მეტი არაფერი?

– არა.

– წადი, თავისუფალი ხარ!

– ვერ წავალ, კარებთან მელოდება!

გთავაზობთ ნაწყვეტებს ცნობილი ქართველი ხელოვნებათმცოდნისა და ლიტერატორის, ბატონ გივი ბოჯგუას მიერ შედგენილი წიგნიდან "მეგრული ხალხური პოეზია – 100 ლექსი".

ზღვაშე თუთა მედინაფე

ზღვაშე თუთა მედინაფე,
გვალას გეურთუმუ ბჟასი,
გიმე დიხაქ ვაგომიხორცქ,
ეშე ველანჭუა ცასი,
ჩქიმი საიმენდო ვარდი
ასე ალუურე სხვასი,
სახელ ვარდი მიჯოხო დო
ინა ვამკონჩანსი ჯასი.

ნინა

ირ სხეულშე უჭიჭაში
(თინა ორე) კოჩიში ტანს,
მარა იშენ თინა უმონს,
თინა წონუნსი ხოლო შხვას.
მოწამალერ მუშ ლახვარსი –
მისით გურსი გიაშქვანსინ,
დღას მუთუნი ვაახარუ,
გიორინუანს უჩა დღას.
ტყვიაშ ჭყოლირს წამალ ოხვარ,
დოსქიდუ დო გიმწოდირთუ,
მარა ნინაში ნაჭყოლას
მუთუნ წამალ ვემუდირთუ.

ზღვისკენ მთვარე დაკარგულა,

ზღვისკენ მთვარე დაკარგულა,
მთაზე ამოსულა მზე.
ქვეშ მიწა არ გამისკდა,
ზევით ვერ ავწვდი ცას,
ჩემი საიმედო ვარდი
ახლა (გვერდით) უდგას სხვას,
სახელად ვარდი მიქვია და
ის არ აბია ხეს.

ენა

ყოველ სხეულზე უმცირესია
ადამიანის ტანზე.
მაგრამ მაინც ის მეტობს,
ის გადასწონის მაინც სხვას.
თავის მოწამლულ ლახვარს –
ვისაც გულში ჩასცემს,
არასდროს არაფერი შველის,
დააყენებს შავ დღეს.
ტყვიით დაჭრილს წამალი შველის,
მორჩება და წამოდგება,
მაგრამ ენით დაჭრილს
არავითარი წამალი არ მიუდგება.

„საქართველოს კარის" მცველი გარდაიცვალა

2011 წლის 3 მაისს, 74 წლის ასაკში ქართველი ლეგენდარული მეკარე, სერგო კოტრიკაძე გარდაიცვალა. ამ ინფორმაციას საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ავრცელებს. ლეგენდარული კარის მცველი, შვედეთში, ქალაქ სტოკჰოლმში გულის შეტევით გარდაიცვალა.

სერგო კოტრიკაძე 1964 წელს თბილისის **"დინამოსთან"** ერთად საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა. ის საქართველოს 15 ნაკრების სამწვრთნელო შტაბის წევრი იყო და გუნდს **„ლენარტ იოჰანსონის თასი 2011"**-ის გათამაშებაზე ახლდა.

კოტრიკაძე 1957-70 წლებში თბილისის **"დინამოს"** გოლკიპერი იყო. საკავშირო ჩემპიონატებში ჩაატარა 26 მატჩი და 58 საერთაშორისო შეხვედრა.

ჩოხატაურში დაბადებული, მომავალი სპორტსმენის პირველი პროფესიული გუნდი თბილისის **„დინამო"** იყო. 1955-68 წლებში. 1970–იან წლებში კი ქუთაისის **„ტორპედოს"** ღირსებას იცავდა.

სსრკ უმაღლეს ლიგაში 260 მატჩი ჩაატარა. გახდა სსრკ–ს ჩემპიონი 1964 წელს და მესამე პრიზიორი 1959, 62, 67 წლებში.

1962 წელს ის საბჭოთა კავშირის საუკეთესო მეკარედ აღიარეს.

სსრ კავშირის ჩემპიონის ტიტულის გარდა მიღებული აქვს სამი ბრინჯაოს მედალი. 1969 წელს მიენიჭა სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება. **„დინამოს"** მეკარე ოთხჯერ შედიოდა **„33 საუკეთესოს"** სიაში 1960 და 1963 წლებში. ღირსების ორდენის კავალერი, ქართული ფეხბურთის XX საუკუნის სიმბოლური ნაკრების კარის დარაჯია.

ISSN 1987-8966 ილორი
9771987896009
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 მე-4 სართული სარეგ. №01018002930

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
მთ.რედაქტორის მოადგილე: დავით ქობალია
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია

WWW ilori.ge
e-mail: elisabetthal@yahoo.de
რეკლამის განთავსება
34-32-95 893-51-01-71
899-34-37-27